

**ადამიანის უფლებები და  
მართლმსაჯულება საქართველოში:  
საზოგადოების დამოკიდებულება  
და ინფორმირებულობა**

კვლევის საბოლოო  
**ანგარიში**





ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ადამიანის უფლებები ყველასათვის



Empowered lives.  
Resilient nations.

ადამიანის უფლებები და  
მართლმსაჯულება საქართველოში:

საზოგადოების დამოკიდებულება  
და ინფორმირებულობა

## კვლევის საბოლოო ანგარიში

მომზადებულია „ეისითის“ მიერ

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების  
პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით



**act**

თებერვალი, 2017

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ეისითი“. ანგარიშის შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და/ან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

# სარჩევი

1.	ძირითადი მიგნებები.....	6
	ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ.....	7
	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.....	7
	იურიდიული დახმარების სამსახური.....	8
	სახალხო დამცველის აპარატი.....	8
	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები (მედიაცია და არბიტრაჟი).....	8
	სასამართლო, პროკურატურა.....	9
2.	კვლევის მეთოდოლოგია.....	10
2.1	კვლევის მიზანი და ამოცანები.....	11
2.2	კვლევის დიზაინი.....	11
2.3	რესპონდენტების შერჩევა.....	12
2.4	კვლევის მონაწილეთა დემოგრაფია.....	14
2.5	საველე სამუშაოები და მონაცემების ანგარიშგება.....	16
3	კვლევის შედეგები.....	17
3.1	ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ.....	18
3.2	მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.....	26
3.3	პირადი გამოცდილება ადამიანის უფლებების დარღვევასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.....	42
3.4	სასამართლო.....	46
	3.4.1. საერთო, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.....	46
	3.4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....	56
	3.4.3. ადვოკატის მომსახურება.....	58
3.5	პროკურატურა.....	61
3.6	იურიდიული დახმარების სამსახური.....	68
3.7	სახალხო დამცველის აპარატი.....	76
3.8	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.....	82
	3.8.1. პერსონალური მონაცემების აღქმა და მათთან დაკავშირებული რეგულაციები.....	82
	3.8.2. პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.....	98
3.9	მედიაცია.....	102
3.10	არბიტრაჟი.....	106

## შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „ეისითის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირისთვის, პროექტების - „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ და „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ - ფარგლებში.

წინამდებარე კვლევისთვის კომპანია „ეისითიმ“ დამკვეთთან ერთად შეიმუშავა მეთოდოლოგია, შექმნა კვლევის ინსტრუმენტები, განახორციელა საველე სამუშაოები და მოამზადა კვლევის ანგარიში.

წინამდებარე ანგარიში შედგება კვლევის შეჯამების, ძირითადი მიგნებების, მეთოდოლოგიის და კვლევის შედეგების თავებისგან.

## კვლევის შეჯამება

ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირება ხელს უწობს ადამიანის უფლებების დარღვევის და შელახვის პრევენციას, რამდენადაც ის აღჭურავს მათ ცოდნით, უნარებით, ნათელი წარმოდგენებით, რაც თავის მხრივ ანვითარებს მათ დამოკიდებულებას და ქცევას და უბიძგებს მათ მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებების უნივერსალური კულტურის ჩამოყალიბებასა და ხელშეწყობაში.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების შესახებ ქვეყანაში არსებული სტრატეგიები და პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს უფლებების და ვალდებულებების მატარებელ პირებს იცოდნენ მათივე უფლებები. შეუძლებელია ადამიანის უფლებების პატივისცემა თუ საზოგადოებამ არ იცის კარგად თუ რას მოიცავს ის.

პროექტმა გადაწყვიტა ჩატარებულიყო მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლევა „ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა“. აღნიშნული ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დამყარებული და ინფორმირებული პროგრამების აუცილებლობასა და მნიშვნელობას. კვლევა არის ქმე-

დითი საშუალება, იმის გასაგებად, თუ როგორ ესმის ან რას განიცდის ხალხი მათი მდგომარეობის და მათ გარშემო არსებული გარემოს შესახებ.

კვლევის ამოცანა იყო რესპონდენტების ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის შეფასება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით; მდგომარეობის აღქმა და შეფასება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით; დამოკიდებულების გამოვლენა იმ ძირითადი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებების დაცვასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე; ინფორმირებულობის დონის და დამოკიდებულებების იდენტიფიცირება პერსონალურ მონაცემთა აღქმასა და მათ შეგროვებასთან, შენახვასა და გასაჯაროებასთან დაკავშირებით; დავის მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების ცოდნა და მათ მიმართ მოლოდინების გამოვლენა (მედიაცია, არბიტრაჟი).

თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა საქართველოში ჩატარდა 2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე პერიოდში.

ანგარიშში წარმოდგენილი შედეგების ნაწილი შედარდა 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ანალოგიურ კვლევას, აღნიშნულით შესაძლებელი გახდა უფლებების აღქმასთან დაკავშირებული ცვლილებების და ტენდეციების გამოვლენა. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევებისას გამოყენებული განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო ყველა მიგნების შედარება ვერ მოხერხდა. 2012 წელს 2000 ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს მასშტაბით, რომლებიც მოსახლეობის პროპორციულად გადანაწილდა, 2016 წელს კი ინტერვიუების რაოდენობამ 5000 შეადგინა და თითოეულ რეგიონში მინიმალური (300) რესპონდენტის მისაღებად 4 რეგიონში მოხდა რაოდენობების დაკორექტირება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევა არ წარმოადგენს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასებას (რის მანდატიც სხვა ინსტიტუციებს აქვთ) და ის აქცენტს მხოლოდ საზოგადოების აღქმაზე აკეთებს. თუმცა, აღქმა, თვის მხრივ, იქცევა ხოლმე ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასების ინდიკატორად. ასეთი კვლევა შესაძლოა ხშირად ასახავდეს რესპონდენტების მიერ განცდილი უფლების შელახვას, მაგრამ ძირითადად ის მაინც ქვეყანაში ადამიანის უფლებების პატივისცემის კულტურის ეფექტურობასა და მის გამოყენებას აფასებს.

კვლევის შედეგები წარმოადგენს საბაზისო და გაზომვად ინფორმაციას ადამიანის უფლებების და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ცნობადობის შესახებ და მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნებისთვის, სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ, მათ შორის: სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ იმის განსაზღვრის მიზნით თუ სად მუშაობს ან არ მუშაობს

მიმდინარე პროგრამები, ასევე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მიზნებსა და მათ რეალურ შესრულებას შორის არსებული უზუსტობების იდენტიფიცირებისთვის; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის - რათა სწორი აქცენტი გააკეთონ საკითხებზე, რომელიც ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებისთვის, მათ შორის ადამიანის უფლებების შელახვისას ხელმისაწვდომი ქმედითი საშუალებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამომავლო პროგრამების და პროექტების შემუშავებისას ადამიანის უფლებების სფეროში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სფეროებში; და მკვლევარების მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ინფორმირებული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის.

აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგები წარდგენილი იქნება ყველა იმ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომლებიც არიან კვლევით გამოვლენილი ინფორმაციის მთავარ მომხმარებელები.

ადამიანის უფლებების და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებზე ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთობლივი ინიციატივები კვლევის შედეგებს გამოიყენებს, როგორც საბაზისო მონაცემებს სამომავლო ღონისძიებებისთვის, რომელიც აქცენტს აკეთებს, inter alia, ვალდებულების და უფლების მქონე პირებს შორის ადამიანის უფლებებზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და დავის მოგვარების ალტერნატიულ მექანიზმებზე, ცნობიერების ამაღლებაზე, იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებების კულტურის განვითარებას საქართველოში.

# თავი 1.

## ძირითადი მიგნებები



## ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ

- 64% აცხადებს, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში სრულად ან მეტ ნაკლებად დაცულია. 5 წლის წინ იგივე აზრი ჰქონდა 48%-ს, 10 წლის წინ უფლებების დაცულობაზე კი 32% საუბრობდა;
- 50% ინფორმაციას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომად არ თვლის, მათ შორის ეს ინფორმაცია ხელმიუწვდომელია შემდეგი ჯგუფებისთვის: სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვა;
- ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო უმრავლესობისთვის ტელევიზიაა (88%);
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ შეიმჩნევა ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია;
- გამოკითხული მოსახლეობის ფიქრობს, რომ ქვეყანაში ყველაზე ხშირად შრომითი უფლებები ირღვევა - ასე ფიქრობს 27%. ამ მხრივ ყველაზე რადიკალური პოზიციით თბილისი გამოირჩევა (36%);
- მოსახლეობა საკმაოდ კეთილგანწყობილია საპატრულო პოლიციის მიმართ და სხვა ინსტიტუციებთან შედარებით მას ყველაზე მაღალ ნდობას უცხადებს (67%);
- 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესახებ სმენია გამოკითხულთა 10%-ს, 9% კი ამბობს, რომ იცის სამოქმედო გეგმის შესახებაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა საზოგადოების ძირითადი აქცენტი სოციალურ და შრომით უფლებებზე, ასევე სიცოცხლის და თანასწორობის უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები თბილისს, სხვა ქალაქებსა და რეგიონებში შორის თითქმის მსგავსია. მთავარი სხვაობა რეგიონებს შორის შედეგებში გამოვლინდა ქალების უფლებებთან დაკავშირებით. კახეთის რეგიონში ეს საკითხი პრობლემურად 45%-მა დაასახელა, მაშინ როდესაც ქვეყნის

მასშტაბით ქალთა უფლებებზე მხოლოდ 26% საუბრობს.

ასევე დადგინდა, რომ 57% და 59% თვლის, ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები იღვევა. თუმცა, ასევე დადგინდა, რომ ამ უფლებების დარღვევაზე თავად უმცირესობები უფრო ნაკლებად საუბრობენ, ვიდრე ეთნიკურად ქართველები.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

- გამოკითხულთა ნახევარი ფიქრობს, რომ ქვეყანაში პერსონალური მონაცემები დაცულია უკანონო შეგროვების, შენახვისა და გასაჯაროებისგან (47%-48%);
- პირველი ოთხი სექტორი, რომლებიც მოსახლეობამ გამოყო პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების, შენახვის და გასაჯაროების საფრთხის თვალსაზრისით, შემდეგია: ძალოვანი სტრუქტურები (24%), საფინანსო-საბანკო სექტორი (17%), ინტერნეტ სივრცე - ფეისბუქი, ონლაინ შოპინგი და სხვა (12%) და სატელეკომუნიკაციო კომპანიები (10%);
- საქართველოს მოსახლეობის 2/3 (65%) სურს, რომ სახელმწიფომ არ დაუშვას მათ შესახებ პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვება, შენახვა და გასაჯაროება, თუნდაც უსაფრთხოების მოტივით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე სმენია გამოკითხულების 18%-ს;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ტელევიზიაა (84%);
- გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი (54%) ინსპექტორის აპარატის საქმიანობას დადებითად აფასებს.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის უფლებების შემადგენელ ნაწილად სულ ცოტა ხნის წინ იქცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ინფორმირებულობის დონე საკმაოდ მაღალია. მაღალია ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისის ცნობადობა, მიუხედავად იმისა, რომ ის

სამი წლის წინ შეიქმნა. უმრავლესობა პერსონალურ მონაცემთა შელახვას აკავშირებს სამართალდამცავ ორგანოებთან და იგნორირებას ახდებს კერძო სექტორში პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

**იურიდიული დახმარების სამსახური**

- გამოკითხულთა ნახევარს (52%) სმენია, რომ ქვეყანაში შესაძლებელია უფასო იურიდიული დახმარების მიღება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ტელევიზიაა (84%);
- სახელმწიფოს მიერ დაარსებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შეფასებები პოზიტიურია და 6 ქულიან სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით საშუალოდ 4.2 ქულას შეადგენს;
- გამოკითხული პირების 2/3 გამოთქვამს მზადყოფნას, მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურს საჭიროების შემთხვევაში და გამოხატავს ნდობას სამსახურის მიმართ (65%).

მთავარი მიგნება მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობა არ შეცვლილა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, მისი მანდატი გაფართოვდა და ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა.

**სახალხო დამცველის აპარატი**

- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის შესახებ სმენია გამოკითხულთა 68%-ს;
- ომბუდსმენის ოფისზე ინფორმაციის ძირითად წყაროს ტელევიზია წარმოადგენს (90%);
- 3/4 ადამიანიდან, ვისაც სმენია სახალხო დამცველის ოფისის შესახებ, მას ნდობას უცხადებს (75%), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მზად არის მიმართოს 73%;
- მათგან, ვინც იცის ომბუდსმენის ოფისის შესახებ, 40% დარწმუნებულია, რომ უწყებს ბევრს აკეთებს ადამიანის უფლებების და-

საცავად, თუმცა 33%-ის აზრით, ომბუდსმენის აპარატი ხშირად მაინც ვერ ახერხებს ადამიანის უფლებების დაცვას.

სახალხო დამცველის აპარატი ერთ-ერთი ყველაზე სანდო ორგანიზაციაა; ცნობადობა სახალხო დამცველის აპარატის შესახებ ინარჩუნებს მაღალ პოზიციებს ბოლო 5 წლის განმავლობაში; თუმცა 33%-ის აზრით, ომბუდსმენის აპარატი ხშირად მაინც ვერ ახერხებს ადამიანის უფლებების დაცვას, თუმცა ეს შესაძლებელია აღქმის საკითხი იყოს, ამიტომ აღნიშნული თემა უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს.

**დავის გადანაცვების ალტერნატიული მექანიზმები (მედიაცია და არბიტრაჟი)**

- ინფორმირებულობის დონე მედიაციასთან დაკავშირებით დაბალია - მის შესახებ გაუგია საქართველოს მოსახლეობის 14%-ს;
- 84%-მა ინფორმაცია მედიაციის შესახებ ტელევიზიიდან მიიღო;
- მას შემდეგაც, რაც რესპონდენტებს გააცნეს მედიაციის არსი, 34%-მა ვერ შეძლო მის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა, 57% კი გარკვეული ნდობით განიმსჭვალა მედიაციის მიმართ;
- კვლევის შედეგად მედიაციის გამოკვეთილ ნაკლოვანებად დასახელდა დროის დაკარგვა და მაინც სასამართლოში წასვლის აუცილებლობა იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მორიგდებიან (21%);
- ინფორმაციას არბიტრაჟზე ფლობს მოკითხილთა 29%- უფრო მეტი თბილისში (44%), ვიდრე სხვა ქალაქებში (27%) და სოფელში (20%);
- ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არბიტრაჟის შესახებ ტელევიზიაა (87%);
- არბიტრაჟის სპეციფიკის მოკლედ გაცნობის შემდეგ მის მიმართ მკაფიო დამოკიდებულების გამოხატვა მაინც ვერ შეძლო გამოკითხული მოსახლეობის 38%-მა, 39%-მა კი აღნიშნა, რომ არბიტრაჟმა, გარკვეულწილად, აღუძრა ნდობა;
- რისკად კი, ყველაზე მეტად, გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობა მიიჩნიეს (18%).

არბიტრაჟს მოსახლეობა უფრო კარგად იცნობს ვიდრე მედიაციას, მაგრამ ცოდნის დონე მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. კვლევის მიმდინარეობისას, არბიტრაჟისა და მედიაციაზე ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, გამოკითხულები დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ ამ მექანიზმებზე.

### სასამართლო, პროკურატურა

- პირდაპირ შეკითხვის დასმისას გამოსწორდა თუ არა მდგომარეობა სასამართლოებში, რესპონდენტების 38% დადებით პასუხს იძლევა, მაშინ როდესაც მხოლოდ 10% ფიქრობს, რომ მდგომარეობა გაუარესდა;
- გამოკითხული პირების 18% სრულად ენდობა სასამართლოს, მაშინ როდესაც 45% ამბობს რომ ისინი „უფრო ენდობიან ვიდრე არ ენდობიან სასამართლოს“;
- 2016 წელს რესპონდენტების 9% ფიქრობს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება იმ მითითებების შესაბამისად, რასაც მოსამართლეები იღებენ მთავრობისგან. იგივე მაჩვენებელი 2012 წელს შეადგენდა 27%-ს.
- გამოკითხული პირების 30% მიიჩნევს, რომ პროკურატურა მუდმივად ახორციელებს ზეწოლას სასამართლოზე, რესპონდენტების 39%-ი არ გამორიცხავს ამას. ჯამში, რესპონდენტების 8% ფიქრობს რომ სიტუაცია

პროკურატურაში გაუარესდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. 35% და 37%, შესაბამისად ფიქრობს რომ მდგომარეობა ან გაუმჯობესდა ან უცვლელია;

- პროკურატურის სისტემის შეფასება სხვადასხვა მახასიათებლით (სამართლიანობა, კვალიფიციურობა, გამოძიებაზე ზედამხედველობის განხორციელება და სხვა) ზომიერია და 6 ქულიან სკალაზე 3.6-3.7 ქულით განისაზღვრება. მთლიანობაში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში გამოკითხულებისთვის აშკარაა პროკურატურაში პოზიტიური ძვრები ინსტიტუციონალური რეფორმების მიმართულებით.

იმ დროს როდესაც ადამიანის უფლებების შელახვა შემცირდა 18%-ით, მთლიანობაში სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება არ გაუმჯობესდა; მოსახლეობა ძნელად იჭერებს სასამართლო გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსახლეობა მხარს უჭერს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. მაშინ როდესაც დადებითი დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ გაიზარდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მას ჯერ კიდევ მოიხსენიებენ ერთ-ერთ იმ ორგანიზაციად, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს.

# თავი 2.

## კვლევის მეთოდოლოგია

## 2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის, ცოდნის დონის და განწყობების კვლევა ადამიანის უფლებების და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხების მიმართ.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- რესპონდენტების ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის შეფასება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით;
- მდგომარეობის აღქმა და შეფასება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
- დამოკიდებულების გამოვლენა ძირითადი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებების დაცვასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე (სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახალხო დამცველის ოფისი);
- ინფორმირებულობის დონის და დამოკიდებულებების იდენტიფიცირება პერსონალურ მონაცემთა აღქმასა და მათ შეგროვებასთან, შენახვასა და გასაჯაროებასთან დაკავშირებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისა და სახელმწიფოს მიერ

ორგანიზებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ინფორმირებულობის დონისა და მათ მიმართ დამოკიდებულებების იდენტიფიცირება;

- კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმების ცოდნა და მათ მიმართ მოლოდინების გამოვლენა (მედიაცია, არბიტრაჟი).

## 2.2 კვლევის დიზაინი

წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

თვისებრივი კვლევა ჩატარდა ფოკუსური ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევისას გამოყენებული იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა:

- 14 ფოკუსური ჯგუფი მოსახლეობასთან.
- 29 ჩაღრმავებული ინტერვიუ 4 სამიზნე ჯგუფთან: საჯარო სექტორი, კერძო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ლგბთ თემის წარმომადგენლები.<sup>1</sup>
- 5000 პირისპირ ინტერვიუ ქვეყნის ზრდასრულ მოსახლეობასთან (18+).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი მოკლედ წარმოადგენს კვლევის დიზაინს, მისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით

გრაფიკი 1. კვლევის კომპონენტების მიმოხილვა.

ადამიანის უფლებების დაცვის და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმირებულობისა და აღქმის კვლევა საქართველოში			
	რაოდენობრივი კვლევა	თვისებრივი კვლევა	
ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ	ფოკუსური ჯგუფი	ჩაღრმავებული ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	მოსახლეობა (18+)	მოსახლეობა (18+), მათ შორის, სხვადასხვა სამართლებრივ სტრუქტურასთან ურთიერთობის გამოცდილებით	საჯარო სამსახურების, კერძო ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლგბთ თემის წარმომადგენლები
შერჩევის ზომა	5002 ინტერვიუ	14 ფოკუსური ჯგუფი	29 ჩაღრმავებული ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა	მიზნობრივი შერჩევა	მიზნობრივი შერჩევა
კვლევის არეალი	საქართველო	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, გორი, ახალციხე	თბილისი, ქუთაისი, გორი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	40-60 წუთი	120-140 წუთი	40-80 წუთი

1. თავდაპირველად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იყო ლგბთ თემის წარმომადგენლების ჩართვა ჯგუფურ დისკუსიებში, მაგრამ იმისათვის, რომ მათ შეძლებოდათ აზრის თავისუფლად გამოთქმა და უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათთვის მაქსიმალურად ნაკლებად სტრესული გარემო, დამკვეთთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ლგბთ პირებთან ჩატარებულიყო ჩაღრმავებული ინტერვიუები.

## 2.3 რესპონდენტების შერჩევა

### რაოდენობრივი კვლევა

კვლევისთვის გამოყენებული იქნა ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მიდგომა წინასწარი სტრატეგიკაციით.

სტრატეგიკაციის ნიშნებს წარმოადგენდა რეგიონი და დასახლების ტიპი (ქალაქის ტიპის და სოფლის ტიპის დასახლებები).

რეგიონული სტრატეგიკაციის ტიპის მიხედვით შეირჩა 11 ქვე-სტრატა:

- თბილისი
- იმერეთი
- აჭარა
- გურია
- სამეგრელო-ზემო სვანეთი
- კახეთი
- შიდა ქართლი
- მცხეთა-მთიანეთი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
- ქვემო ქართლი
- სამცხე-ჯავახეთი

დასახლების ტიპის მიხედვით შეირჩა 2 ქვე-სტრატა:

- ქალაქი
- სოფელი

სტრატის შიგნით პირველადი შერჩევის ერთეულს წარმოადგენდა კლასტერი (უბანი). ისინი შინამეურნეობების რაოდენობის პროპორციულად შეირჩა. კლასტერის შიგნით მეორადი შერჩევის ერთეული იყო შინამეურნეობები.

პირველადი შერჩევის თითოეულ ერთეულზე გამოიკითხა 10 შინამეურნეობა, ხოლო თითოეულ შინამეურნეობაში - ერთი რესპონდენტი. შინამეურნეობების შერჩევა მოხდა შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით - წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და ბიჭით.

საბოლოო შერჩევის ერთეულს წარმოადგენდა ოჯახის 18 წელზე უფროსი ასაკის წევრი,

რომლის შერჩევაც ბოლო დაბადების დღის პრინციპის მიხედვით განხორციელდა.

შერჩევის ზომად განისაზღვრა 5000 ინტერვიუ. თავდაპირველად, მათი განაწილება მოხდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის პროპორციულად, შემდეგ კი, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, ინტერვიუების რაოდენობა ხელოვნურად გაიზარდა 300-მდე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მონაცემების გაანალიზება რეგიონულ ქრისტიანულში.

**გრაფიკი 2.** ინტერვიუების განაწილება რეგიონების მიხედვით.

ინტერვიუების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	
რეგიონი	N
თბილისი	1270
იმერეთი	620
ქვემო ქართლი	470
სამეგრელო-ზემო სვანეთი	390
აჭარა	380
კახეთი	370
სამცხე-ჯავახეთი	300
გურია	300
მცხეთა-მთიანეთი	300
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	300
შიდა ქართლი	300
<b>ჯამი</b>	<b>5000<sup>2</sup></b>

კვლევის მონაცემების განზოგადებისთვის მიღებული მონაცემები შეიწონა. შეწონვას საფუძვლად საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

ჯამური შერჩევითი ცდომილება ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს 1.5%-ს, კვლევის 95%-იანი საიმედოობით.

### თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარდა 14 ფოკუსური ჯგუფი. მათ შორის, 4 დისკუსია გაიმართა თბილისში, თითო

2. დაგეგმილი 5000 ინტერვიუს ნაცვლად, სავსე საშუალების მიმდინარეობისას ჩატარდა 5002 ინტერვიუ - 1271 ინტერვიუ თბილისში, 1270-ის ნაცვლად და 471 ინტერვიუ ქვემო ქართლში - 470 ინტერვიუს ნაცვლად. შესაბამისად, ჯამურ გრაფიკებზე რაოდენობად მითითებულია 5002 ნაცვლად 5000-ისა.

გორსა და ზუგდიდში, დანარჩენ ქალაქებში კი - ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ახალციხე - ჩატარდა 2 ფოკუსური ჯგუფი თითოეულში.

ფოკუსური ჯგუფების კომპოზიცია შემდეგნაირი იყო:

- თითოეულ ფოკუსურ ჯგუფში მონაწილეობდა 12 რესპონდენტი;
- ჯგუფების მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემები იყო შერეული - სქესის, შემოსავლის, განათლების მიხედვით;
- ჯგუფზე არ დაიშვებოდნენ იურისტები; ასევე ისინი, ვინც მუშაობდა სასამართლოში, პროკურატურაში, პოლიციაში, ჯარში ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში - იმისათვის, რომ გამოგვერიცხა რესპონდენტების ზედმეტად გათვითცნობიერებულობა თემაში და ზეგავლენა ჯგუფის სხვა წევრებზე;
- თითოეულ ჯგუფში მონაწილეობდა 2-4 რესპონდენტი, რომლებსაც ჰქონდათ სასამართლოსთან ან პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება;
- იქ, სადაც ჩატარდა 2 ფოკუსური ჯგუფი, რესპონდენტები გაიყვნენ ორ ასაკობრივ კატეგორიად - 18-35 და 36-55 ასაკობრივ ჯგუფებად;
- იქ, სადაც ჩატარდა ერთი ფოკუსური ჯგუფი,

მასში მონაწილეობა მიიღეს 25-45 ასაკის რესპონდენტებმა;

- თბილისში ჩატარდა 2-2 ჯგუფური დისკუსია 18-35 და 36-55 ასაკის რესპონდენტებთან.

ჩალრმაგებული ინტერვიუებისთვის რესპონდენტები შეირჩნენ დამკვეთთან კონსულტაციის საფუძველზე. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩნენ შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- საჯარო უწყებების წარმომადგენლები (სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები);
- კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც შეეხება აქვთ პერსონალურ მონაცემებთან, არბიტრაჟთან და ასევე შეიძლება ჰქონოდათ სამართალდამცავ უწყებებთან/სასამართლო სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება (საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო, სამშენებლო, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები);
- ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ლგბთ თემის წარმომადგენლები.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი მოკლედ წარმოადგენს თვისებრივი კვლევის მონაწილეთა განაწილებას სამიზნე სეგმენტების მიხედვით.

**გრაფიკი 3.** თვისებრივი კვლევის მონაწილე სამიზნე ჯგუფები


სამიზნე ჯგუფები			
საჯარო უწყებები	კერძო კომპანიები	არასამთავრობო ორგანიზაციები	ლგბთ თემის წარმომადგენლები
ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (2)	საბანკო სექტორი (2)	ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (1)	18-30 წლის ასაკის ლგბთ თემის წარმომადგენელი მამაკაცები (5)
თელავის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (2)	სადაზღვევო სექტორი (2)	პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (1)	
გორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (2)	სამედიცინო სექტორი (2)	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (1)	
საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო (1)	ფიჭური კავშირგაბმულობის სექტორი (2)	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (1)	
საქართველოს მთავარი პროკურატურა (1)	სამშენებლო სექტორი (1)	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2)	
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (1)			
9 ინტერვიუ	9 ინტერვიუ	6 ინტერვიუ	5 ინტერვიუ

## 2.4 კვლევის მონაწილეთა დემოგრაფია

კვლევაში გამოკითხულთა შორის 54% ქალი, 46% კი - მამაკაცია. ისინი თანაბრად არიან წარმოდგენილები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. რესპონდენტების 2/3 დაქორწინებულია

(66%), 21% კი - დაუქახებელი. დანარჩენებს ქვრივები და განქორწინებულები შეადგენენ. ყოველი მესამე გამოკითხულებიდან უმაღლესდამთავრებულია (32%), 38%-ს კი საშუალო განათლება აქვს. საშუალო ტექნიკური განათლების ფლობაზე მიუთითა რესპონდენტების 19%-მა.

გრაფიკი 4. გამოკითხულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები (1)




გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი - 36% თავს უმუშევრად მიიჩნევს, 27% კი დასაქმებულია - 12% კერძო ბიზნეს სექტორში, 9% სახელმწიფო სექტორში, 6% კი თავს თვითდასაქმებულს უწოდებს. პენსიონერები გამოკითხულთა 16%-ს შეადგენენ. გამოკითხულების ნახევარზე მეტი (53%) მიუთითებს, რომ მათი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი

100-დან 600 ლარამდე მერყეობს. ოჯახების 15%-ის შემოსავალი 601-1000 ლარია, 1001-დან 2000 ლარამდე ოჯახური შემოსავლის დეკლარირებას კი გამოკითხულთა 8% ახდენს. 100 ლარზე ნაკლები ან 2000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ოჯახების რიცხვი მცირეა და 7%-ს არ აღემატება.




**გრაფიკი 5.** გამოკითხულთა ოჯახების საშუალო შემოსავალი თვეში



რესპონდენტების 8% აღნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახიდან არის, 4% იძულებით გადაადგილებული პირია, 1% კი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

გამოკითხულთა 90% ქართველია. ეთნიკურ უმცირესობებს შორის ყველაზე მაღალი წილით გვხვდებიან ეთნიკური აზერბაიჯანელები (9%) და ეთნიკური სომხები (3%). რესპონდენტების 85% მართლმადიდებელი ქრისტიანია. მეორე ყველაზე დიდ ჯგუფს მუსლიმები წარმოადგენენ (10%).

**გრაფიკი 6.** გამოკითხულთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები (2)



## 2.5 სავლე სამუშაოები და მონაცემების ანგარიშგება

ფოკუსური ჯგუფები მოსახლეობასთან ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერში. დისკუსიებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა კითხვარი რაოდენობრივი კვლევისთვის და გზამკვლევები ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გათვალისწინებული სავლე სამუშაოები ჩატარდა 2016 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჩაღრმავებული ინტერვიუები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან კი - 2016 წლის დეკემბერში და 2017 წლის იანვარში.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები დამუშავდა სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკურ პაკეტში SPSS 20.0 ვერსიაში. ასევე მომზადდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ტრანსკრიპტები, რომლებიც გამოყენებული იქნა როგორც დამოუკიდებლად, ასევე რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის.

კვლევის მონაცემები გაანალიზდა როგორც ჯამურად, ასევე დამკვეთის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა ქრილის მიხედვით (ქალაქი/სოფელი, ასაკი, სქესი).

დამკვეთის მოთხოვნისამებრ, კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, შედარდა, 2012 წელს სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ ანალოგიურ კვლევას. შედარებისას სირთულეები გამოიწვია, ერთი მხრივ, განსხვავებებმა კითხვებს შორის, მეორე მხრივ კი, დასახელებული კვლევის ორმა განსხვავებულმა დიზაინმა - 2012 წელს ჩატარდა 2000 ინტერვიუ საქართველოს მასშტაბით, რომლებიც მოსახლეობის პროპორციულად გადანაწილდა, 2016 წელს კი ინტერვიუების რაოდენობამ შეადგინა 5000 და თითოეულ რეგიონში მინიმალური (300) რესპონდენტის მისაღებად 4 რეგიონში მოხდა რაოდენობების დაკორექტირება. ამავდროულად, შესაძარებლად გამოყენებული იქნა 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის ანგარიში და არა კვლევის ბაზა. შესაბამისად, დასახელებული ორი კვლევის მონაცემი დარდება ტენდენციების დონეზე, მათ შორის სხვაობის სტატისტიკური სანდოობის მითითების გარეშე.

# თავი 3.

## კვლევის შედეგები


### 3.1 ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ

გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას სმენია ადამიანის ამა თუ იმ უფლებების შესახებ - ყოველი 10 გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა (10%) აღნიშნა, რომ ადამიანის კონკრეტული უფლებების შესახებ საუბარი უჭირს, სხვებმა კი, მინიმუმ, ერთი ასეთი უფლება დაასახელეს.

კვლევამ უჩვენა, რომ ადამიანის უფლებებზე საუბრისას გამოკითხულებს ყველაზე ხშირად

სიცოცხლის (38%) და თანასწორობის (35%) უფლებები ახსენებდათ და, ამ მხრივ, სურათი მსგავსია მთელ საქართველოში - როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ასევე, რესპონდენტები აქტიურად იხსენებენ პირადი ხელშეუხებლობის (28%) და საკუთრების უფლებებს (27%), ყოველ მეხუთე გამოკითხულს კი ასევე სმენია შრომით (21%), საარჩევნო (20%) და თავისუფალი განვითარების უფლებაზე (20%). გამოკითხულ ასაკობრივ ჯგუფებში სხვადასხვა უფლების დასახელების მარჯვენაელი სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე დაბალია 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტებში.

გრაფიკი 1. ადამიანის რომელი უფლებების შესახებ გსმენიათ?




თუ კვლევის მონაცემებს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ სიცოცხლის უფლება აღნიშნული კვლევის დროსაც რესპონდენტების ყველაზე დიდ წილს ახსენებოდა და მასზე გამოკითხულთა 40% მიუთითებდა, 37% კი ასევე საუბრობდა შრომით უფლებებზე, რომლებიც წინამდებარე კვლევისას დამოუკიდებლად რესპონდენტების 21%-მა დაასახელა.

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 52% პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვაზე საპატრულო პოლიციას აკისრებს, 39% კი - ზოგადად შინაგან საქმეთა სამინისტროს. საპატრულო პოლიციის დასახელების მაღალი მაჩვენებელი შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ

მოსახლეობას, სავარაუდოდ, საპატრულო პოლიციასთან პირადი ურთიერთობის მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე შსს-ს სხვა სტრუქტურებთან და ასევე სხვა უწყებებთან. ყოველი მესამე რესპონდენტი კი ადამიანის უფლებების დაცვას სახალხო დამცველის აპარატისგან მოელის (30%). გამოკითხულების 20%-დან 24%-მდე აღნიშნულ პასუხისმგებლობას ასევე აკისრებს პროკურატურას, საქართველოს პარლამენტს და საერთო სასამართლოებს. ტენდენციები, ამ შემთხვევაშიც, მსგავსია და დასახლების ტიპის მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობები არ შეინიშნება, თუმცა თბილისში მეტია მათი რიცხვი, ვინც ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობას საერთო სასამართლოების სისტემას აკისრებს (29%), ვიდრე სხვა ქა-ლაქებსა (16%) და სოფლებში (17%).

**გრაფიკი 2.** თქვენი აზრით, რომელი ორგანიზაციები / უწყებები არიან პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების დაცვაზე?



2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საერთო სასამართლოების პასუხისმგებლობაზე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით გამოკითხულების უფრო მაღალი ხვედრითი წილი - 37% მიუთითებდა, მათი 46% კი, პასუხისმგებლად, საზოგადოდ, პოლიციას მოიხრებდა. სახალხო დამცველის მიმართ მოლოდინები, პრაქტიკულად, არ შეცვლილა - 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით სახალხო დაცველის პასუხისმგებლობაზე 37% მიუთითებდა.

თვისებრივი კვლევის მონაწილე როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონკრეტულად, პატრულის მხრიდან, ერთი მხრივ ძალის გადამეტების შემთხვევებზე საუბრობენ, ხოლო მეორე მხრივ, მათ „გულგრილობაში“ და უფლებამოსილების არგამოყენებაში „ადანაშაულებენ“, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე დისკრიმინაციულ ჯგუფს ეხება (მაგ. როგორცაა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები). როგორც ფოკუსური ჯგუფის მონაწილე რესპონდენტების, ისე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა უკმაყოფილებას იწვევს, ასევე, პატრულის მხრიდან, მათი აღქმით, საფუძველს მოკლებული ჩხრეკა / შემოწმება.

*„პოლიციის სისტემაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას აქვს სერიოზული პრობლემები და იქ ძალის გადამეტების შემთხვევები არის სერიოზული პრობლემა.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„იყო ესეთი ქეისი, მეგობარმა „ფონთი“ ესეთი ბარი გახსნა ლესელიძეზე, იყო მეგობრული გარემო და „ქვეარ ივენთებიც“ იყო ასევე და ერთ კვირაში მოხდა დაკეტვა. პოლიცია გამოიძახა რამდენჯერმე მეზობელმა. პოლიცია მოვიდა და უთხრა, რომ მათ აქვთ უფლება ეს იყოს განაწილებული. მერე ადგნენ და ჩალენეს ვიტ-*

*რინები, მერე ისევ გააკეთეს და მერე ისევ ჩალენეს და პოლიცია ამ დროს არ ჩანს, არ იძიებს ამ საქმეს იმიტომ, რომ პერსონალურად ეთანხმება იმას რასაც ისინი აკეთებენ. ამ დონეზეც პრობლემა გვაქვს.“ [სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი]*

*„ცუდი დამოკიდებულებაა თუნდაც ის, რომ ქუჩაში მიდიხარ და ყოვლად უსაფუძვლოდ, მიზეზების გარეშე მაჩერებს პოლიცია და მეუბნება, რომ უნდა გამიჩხრიკოს ჯიბეები. აი, ეგ მგონია ჩემი უფლებების დარღვევა.“ [სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი]*

ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება ყველაზე მარტივად ითვლება კერძო იურისტებისგან/იურიდიული კომპანიებისგან, სახალხო დამცველის აპარატიდან და პოლიციიდან - გამოკითხულების 56%-დან 59%-მდე მიუთითებს, რომ დასახლებული ორგანიზაციებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება მეტ-ნაკლებად ან ძალიან მარტივია. ყველაზე რთულად კი ინფორმაციის მიღება ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ პარლამენტიდან ეჩვენება - გამოკითხულების 40% ძალიან ან გარკვეულწილად რთულს ინფორმაციის მიღებას სწორედ პარლამენტიდან უწოდებს.

კვლევამ უჩვენა, რომ დასახლების სხვადასხვა ტიპში (თბილისი, სხვა ქალაქები, სოფლები) ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა ორგანოდან და დაწესებულებიდან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, საჯარო უწყებები) დაახლოებით, თანაბრად მარტივად თვლიან. თუმცა, პოლიციის შემთხვევაში, აღმოჩნდა, რომ ამ უწყებიდან ინფორმაციის მიღებას მეტ-ნაკლებად ან ძალიან მარტივად თვლის გამოკითხულების 62% სოფლად, სხვადასხვა ქალაქში კი იგივე მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს. თბილისში ანალოგიურად ფიქრობს გამოკითხულთა 57%.

**გრაფიკი 3.** რამდენად მარტივია ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება შემდეგი წყაროებიდან?

	ძალიან რთულია	გარკვეულწილად რთულია	მეტ-ნაკლებად მარტივია	ძალიან მარტივია	არ ვიცი/ მიჭირს პასუხი
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან	7%	20%	42%	9%	21%
საერთაშორისო ორგანიზაციებისგან	7%	22%	38%	8%	24%
სახელმწიფო დაწესებულებებისგან	7%	26%	42%	8%	17%
სახალხო დამცველის აპრატისგან	6%	18%	45%	11%	21%
სასამართლოსგან (საერთო, საკონსტიტუციო)	7%	23%	39%	8%	23%
პოლიციისგან	6%	22%	46%	11%	15%
იურიდიული დახმარების სამსახურისგან	5%	16%	46%	12%	21%
პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატისგან	5%	16%	31%	7%	41%
კერძო იურისტებისგან/ იურიდიული კომპანიებისგან	5%	15%	46%	13%	22%
პარლამენტიდან	13%	27%	32%	6%	23%


ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება კერძო იურისტებისგან/იურიდიული კომპანიებისგან უფრო ეადვილებათ თბილისში (64%), ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში, რაც შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს ამ უკანასკნელთა როგორც ფინანსურ, ასევე ფიზიკურ ხელმისაწვდომობასთან (განსაკუთრებით, სოფლებში). რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატისგან შესაბამისი ინფორმაციის მიღებას, კვლევამ უჩვენა, რომ რესპონდენტების თითქმის ნახევარს თბილისში, 36%-ს სხვა ქალაქებში და 40%-ს სოფლად აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

წინამდებარე კვლევის შედეგებისას 2012 წელს ჩატარებულ კვლევასთან აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების აღქმა სხვადასხვა ინსტიტუციიდან ინფორმაციის მიღების სიმარტივესთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. მართალია, ამჟამად 11%-13%-ით ნაკლები ამბობს, რომ ინფორმაციის მიღება მარტივია პოლიციიდან და იურიდიული

დახმარების სამსახურიდან, ვიდრე 2012 წელს, თუმცა 2012 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების რამდენადმე განსხვავებული დიზაინის გამო პირდაპირი შედარება შეუძლებელია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2016 წელს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“ მაშინ, როდესაც 2012 წელს პასუხის აღნიშნული ვერსია შეთავაზებული არ ყოფილა.

კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულების ნახევარი (50%) ინფორმაციას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომად არ თვლის. იმის მიუხედავად, რომ ანალოგიური მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალი იყო 2012 წელს და 59%-ს შეადგენდა, მაინც ყურადსაღებია, რომ გამოკითხულების მნიშვნელოვან ნაწილს ინფორმაცია თანაბრად ხელმისაწვდომი არ ჰგონია. სხვადასხვა ასაკის და სქესის რესპონდენტების მოსაზრებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იმეორებს ერთმანეთს.

**გრაფიკი 4.** თქვენი შეფასებით, ინფორმაცია ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ არის თუ არა თანაბრად ხელმისაწვდომი თითოეული მოქალაქისთვის.



მათ შორის, ვინც ინფორმაციას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ არათანაბრად ხელმისაწვდომს უწოდებს, 4 რესპონდენტზე მეტი 10-დან აღნიშნულ ინფორმაციას ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომად თვლის სოციალურად დაუცველებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მსჯავრდებულებისთვის, ხანდაზმულებისა და სოფლის მოსახლეობისთვის (41%-დან 44%-მდე). ამ მხრივ, უფრო რადიკალურები არიან თბილი-

სსა და სოფლის ტიპის დასახლებებში, ვიდრე სხვადასხვა ქალაქში. საზოგადოდ, არც ერთ ქვემოთ დასახელებულ ჯგუფთან მიმართებაში (იხილეთ გრაფიკი 5.) გამოკითხულთა თუნდაც ნახევარს არ გამოუთქვამს აზრი, რომ მათთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია. სხვაგვარად, რესპონდენტები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმართ, ამ ეჭვს დაახლოებით, თანაბრად გამოთქვამენ ყველა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ.

**გრაფიკი 5.** თქვენი შეფასებით, რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ შემდეგი ჯგუფებისთვის.

ჯგუფი	სრულიად არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	ხელმისაწვდომია	სრულიად ხელმისაწვდომია	არ ვიცი/მიჭირს პასუხი
ეროვნული და ეთნიკური უმცირესობისთვის	5%	30%	43%	4%	18%
რელიგიური უმცირესობებისთვის	5%	26%	45%	5%	20%
სექსუალური უმცირესობებისთვის	6%	25%	38%	5%	27%
სოციალურად დაუცველებისთვის	6%	36%	39%	3%	16%
ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის	5%	30%	44%	4%	18%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის	7%	35%	38%	3%	17%
მსჯავრდებულებისთვის	7%	34%	33%	3%	24%
ვეტერანებისთვის	5%	29%	36%	4%	26%
მომხმარებლებისთვის	5%	28%	42%	3%	22%



ბავშვებისთვის	5%	31%	40%	5%	20%
ქალებისთვის	4%	28%	47%	4%	16%
ხანდაზმულებისთვის	7%	35%	36%	4%	18%
ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიშ სამუშაოზე დასაქმებულებისთვის	7%	32%	35%	3%	23%
სოფლების მოსახლეობისთვის	7%	37%	34%	3%	19%

მიღებული მონაცემების შედარება 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებთან შესაძლებელია მხოლოდ სექსუალური უმცირესობების, სოციალურად დაუცველების, რეგიონის მოსახლეობის და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. წინამდებარე კვლევა უჩვენებს იმ რესპონდენტების რაოდენობის კლების ტენდენციას, რომლებიც დასახელებული კატეგორიებისთვის ინფორმაციის მისაწვდომობის შეზღუდულობაზე საუბრობდნენ, თუმცა პირდაპირი გზით შედარება შეუძლებელია, რადგან 2012 წელს რესპონდენტებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა, შესაბამის კითხვებზე ვპასუხობთ „არ ვიცი/მიჭირს პასუხი“.

ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ რესპონდენტები არაერთგვაროვნად არიან ინფორმირებულები. გამოკითხულთა 39%-ს აქვს მცირედი ინფორმაცია თემაზე, ყოველი მესამე კი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებზე ინფორმაციას ფლობს, თუმცა არასრულად (34%). მათი რიცხვი კი, ვინც თავს სრულიად არაინფორმირებულს უწოდებს, 15%-ს არ აღემატება.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტი ქალები და მამაკაცები თავს დაახლოებით, თანაბრად ინფორმირებულად გრძნობენ ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ვლინდება ასევე მონაცემების გაანალიზებისას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო 10-დან 9 გამოკითხულისთვის ტელევიზიაა (88%). მას ბევრად ჩამორჩება ინფორმაციის მიღების მარჯვენაელი სოციალური

ქსელების მეშვეობით, რომელსაც წყაროდ 18% უთითებს. სხვა წყაროების დასახელების მარჯვენაელი კიდევ უფრო მცირეა და არ აღემატება 10%-ს. ტელევიზია თანაბრად პოპულარულია სხვადასხვა ტიპის დასახლებებში, სოციალურ ქსელებს კი ბევრად უფრო ხშირად მოიხმარენ თბილისში (24%), ვიდრე სოფლად (12%), სხვა ქალაქებში კი შესაბამისი მარჯვენაელი 21%-ია.

ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მართლია, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტების 80%-ზე მეტი ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს, მაგრამ რაც უფრო იზრდება ასაკობრივი ჯგუფი, მით მეტი ადამიანისთვის არის წყარო ტელევიზია.

სურათი დიამეტრულად საპირისპიროა სოციალური ქსელებისა და საინფორმაციო ინტერნეტ პორტალების გამოყენებასთან დაკავშირებით - თუ სოციალურ ქსელებს ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებზე ინფორმაციის მისაღებად იყენებს 18-დან 34 წლამდე მოქალაქეებიდან ყოველი მესამე ან უფრო მეტი (18-24 ასაკობრივი კატეგორია - 40%; 25-34 ასაკობრივი კატეგორია - 32%), 35-დან 44 წლამდე კატეგორიაში ასეთია ყოველი მეხუთე გამოკითხული (21%), 45 წლის ზემოთ კი სოციალური ქსელებიდან ინფორმაციას იღებს რესპონდენტების 14% ან ნაკლები. იგივე ითქმის საინფორმაციო პორტალების გამოყენებაზეც - თუ 55 წელს ზემოთ მათ ინფორმაციის წყაროდ იყენებს რესპონდენტების 6% ან ნაკლები, 35-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში მათი რაოდენობა ორმაგდება, 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი მსგავსი გამოცდილება აქვს 22%-ს.

**გრაფიკი 6.** ზოგადად, საიდან იღებთ ინფორმაციას ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ?

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
ტელევიზიის საშუალებით	82%	86%	89%	90%	90%	91%	88%
სოციალური ქსელების საშუალებით	40%	32%	21%	14%	9%	3%	19%
საინფორმაციო ინტერნეტ პორტალების საშუალებით	22%	15%	12%	9%	6%	2%	11%
ბეჭდური მედიის საშუალებით	7%	8%	8%	12%	11%	14%	10%
რადიოს საშუალებით	4%	4%	3%	5%	4%	5%	4%
სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ვებგვერდებიდან	2%	3%	2%	2%	2%	0%	2%
სხვადასხვა ბროშურიდან	3%	1%	2%	1%	1%	1%	1%
სპეცკურსებიდან სასწავლო დაწესებულებებში	4%	1%	1%	0%	1%	0%	1%
შეხვედრებიდან ოფიციალურ პირებთან	2%	1%	1%	1%	1%	1%	1%
იუსტიციის სახლებიდან და საზოგადოებრივი ცენტრებიდან	1%	1%	1%	1%	1%	0%	1%
საგანგებოდ ორგანიზებული საჯარო შეხვედრებიდან	1%	0%	1%	1%	1%	0%	1%
ღია კარის დღეებიდან საჯარო დაწესებულებებში	2%	2%	0%	0%	1%	0%	1%
არასოდეს მიმიღია ინფორმაცია ამ თემაზე	4%	5%	3%	5%	4%	5%	5%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	1%	1%	3%	2%	3%	3%	2%


ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველ წყაროდ ყოველი 10 გამოკითხულიდან 9-სთვის მომავალშიც ტელევიზია რჩება (92%). ყოველი მეხუთე რესპონდენტი კი ბეჭდური მედიიდან ისურვებდა ინფორმაციის მიღებას (19%). რიგით მესამე ყველაზე სასურველი წყარო სოციალური ქსელებია (17%), რასაც საინფორმაციო ინტერნეტ პორტალები მოყვება (12%).

ტელევიზია თანაბრად სასურველი წყაროა ყველა ასაკში - თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მას ასახელებს 87% და მეტი. სოციალურ ქსელებთან და პორტალებთან დაკავშირებით კი მონაცემი იმეორებს ზემოთ აღწერილს სურათს - რაც უფრო მაღალია გამოკითხულების ასაკი, მით უფრო ნაკლებია მათი სურვილი, მიიღონ ინფორმაცია ელექტრონულად - მაგალითად, თუ სოციალური ქსელებიდან ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებზე ინ-

ფორმაციის მიღების მომხრეა 18-24 წლის რესპონდენტების 35%, 35-44 წლის ასაკში ანალოგიური მონაცემი 21%-ს შეადგენს, 55-64 წლის ასაკში კი - 9%-ს.

გამოკითხულები ყველაზე მეტად ინფორმაციის მიღებას შრომით უფლებებზე ისურვებდნენ - ამ აზრის არის გამოკითხულთა 29%. მონაცემებში სერიოზული განსხვავებები გამოვლინდა დასახლების ტიპის მიხედვით - თუ თბილისში შესაბამისი ინფორმაციის მიღების სურვილი აქვს 41%-ს, სხვა ქალაქებსა და სოფლებში შრომითი უფლებებით დაინტერესებული მოქალაქეების რაოდენობა 24%-ს და 26%-ს არ აღემატება. ასევე, საქართველოს მოსახლეობის 19%-24% ისურვებდა მიეღო ინფორმაცია პირადი ხელშეუხებლობის, თანასწორობის, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების შეუვალობის და ჯანმრთელობის დაცვის უფლებებზე.


**გრაფიკი 7.** ადამიანის რომელ უფლებებზე ისურვებდით მეტი ინფორმაციის მიღებას?



კვლევამ უჩვენა, რომ ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროდ აღიქმება სატელევიზიო მედია/ჟურნალისტები (70%), სახალხო დამცველი (65%), სახელმწიფო უწყებები (63%) და კერძო ადვოკატები/იურისტები (62%). ნდობის

გამოცხადებისას ყველაზე თავშეკავებული პოზიციით თბილისში გამოკითხულები გამოირჩევიან, მათი ყველაზე დიდი წილი კი, ვინც სხვადასხვა უწყების მიმართ შედარებით მაღალი ნდობით გამოირჩევა, ცხოვრობს სოფლად.

**გრაფიკი 8.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ენდობით ადამიანის უფლებების შესახებ?



### 3.2 მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოსაზრებები არაერთგვაროვანია, თუმცა შეფასებები კოზიტიურისკენ იხრება. მოსახლეობა დღეს ადამიანის უფლებებს უფრო დაცულს უწოდებს, ვიდრე 5 წლის წინ. თავის მხრივ კი, 5 წლის წინ ადამიანის უფლებები უკეთ დაცულად მიაჩნია, ვიდრე 10 წლის წინ. კვლევამ უჩვენა, რომ:

- ამჟამად ადამიანის უფლებებს უფრო დაცულს, ვიდრე დაუცველს ან სრულიად დაცულს უწოდებს გამოკითხულთა 64%. შესაბამისი მაჩვენებელი თბილისში (60%) მცირედით ჩამორჩება სხვადასხვა ქალაქსა (65%) და სოფელში (67%) მიღებულ მაჩვენებლებს.
- 5 წლის წინ ადამიანის უფლებებს უფრო დაცულს, ვიდრე დაუცველს ან სრულიად დაცულს უწოდებს გამოკითხულთა 46% (18%-ით ნაკლები, ვიდრე ამჟამად). ამ შემთხვევაშიც, თბილისში შესაბამის მოსაზრებას შედარებით ნაკლები გამოკითხული იზიარებს (41%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (47%) და სოფლებში (49%). უნდა აღინიშნოს,

რომ 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის დროს (დაახლოებით, 5 წლის წინ) რესპონდენტების 78% ადამიანის უფლებებს დაცულს უწოდებდა (47% მეტ-ნაკლებად დაცულს, 31% - სრულიად დაცულს). ტენდენციის სახით, 5 წლის წინ გამოკითხულ მოსახლეობის მცირედით მეტ ნაწილს ეგონა ადამიანის უფლებები უფრო დაცული ვიდრე ახლა, თუმცა გასათვალისწინებელი, რომ 2012 წელს ჩატარებული კვლევის დროს რესპონდენტებს არ ჰქონდათ საშუალება,

მეითითებინათ ვერსია „მიჭირს პასუხის გაცემა“.

- 10 წლის წინ ადამიანის უფლებებს საქართველოში დაცულს უწოდებს გამოკითხულთა 1/3 (უფრო დაცულს, ვიდრე დაუცველს - 27%, სრულიად დაცულს - 5%). მათი რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია თბილისში (22%), ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში (შესაბამისად, 34% და 36%). 10-დან 6 გამოკითხული კი 10 წლის წინ ადამიანის უფლებების დაცულობას საქართველოში ეჭვქვეშ აყენებს (59%).

**გრაფიკი 9.** როგორ შეაფასებდით ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს საქართველოში ამჟამად? 5 წლის წინ? 10 წლის წინ?

ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი	ამჟამად			5 წლის წინ			10 წლის წინ		
	დაუცველი	დაცული	არგაცი/მიჭირს პასუხი	დაუცველი	დაცული	არგაცი/მიჭირს პასუხი	დაუცველი	დაცული	არგაცი/მიჭირს პასუხი
თბილისი	37%	60%	3%	54%	41%	4%	71%	24%	5%
ქალაქი	28%	65%	8%	44%	48%	9%	55%	35%	10%
სოფელი	26%	67%	8%	44%	49%	8%	54%	55%	10%
ჯამური	29%	64%	7%	48%	46%	7%	59%	32%	9%

წინამდებარე კვლევისას, კითხვაზე, აქვთ თუ არა განცდა, რომ პირადად მათი უფლებები დაცულია, უპირობო თანხმობა გამოთქვა ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა (20%). რესპონდენტების ნახევარზე ოდნავ მეტი - 57% კი საკუთარ უფლებებს ნაწილობრივ დაცულად მიიჩნევს. სრულიად დაუცველად თავს თვლის გამოკითხულთა 17%. ტენდენცია დასახლების ტიპის და რესპონდენტების ასაკის მიხედვით, ძირითადად, იმეორებს ერთმანეთს, თუმცა თბილისში მოსახლეობა მცირედით მეტად კრიტიკულია, ვიდრე სხვაგან. თუ მიღებულ მონაცემს 2012 წელს ჩატარებულ კვლევას შევადარებთ, აღმოვაჩინებთ, რომ ტენდენციები, დაახლოებით, მსგავსია.

კითხვაზე, შეიცვალა თუ არა რამე ადამიანთა უფლებების დაცულობის თვალსაზრისით ბოლო 5 წლის მანძილზე, კვლევის თვისებრივი

კომპონენტის მონაწილე რესპონდენტები, შეიძლება ითქვას, რომ ერთხმად საუბრობენ ცვლილებების დადებითი და პროგრესული ტენდენციის არსებობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციით, თუ წლების წინ, ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და განსაკუთრებით, თუ ეს ეხებოდა უმცირესობებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მათ მიერ განხორციელებული აქტივობები სერიოზულად არ აღიქმებოდა სახელმწიფოს მიერ, დღეს ვითარება შეცვლილია - მათი მოსაზრებით და გამოცდილებით, შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან აღნიშნული აქტივობების მიმართ რეზონანსი მკვეთრად შესამჩნევია. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აღქმით, მათ გაუჩნდათ განცდა იმისა, რომ რეალურად შესაძლებელია გავლენა მოახდინონ და

ცვლილებები შეიტანონ მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

„პრაქტიკულად დაცინვის ობიექტები ვიყავით, როდესაც ვსაუბრობდით ქალთა უფლებებზე. ძალადობის საკითხები, რეალურად, უძრავი თემა იყო და პასუხსაც არ გცემდა უწყება, ვერც კი გავხადეთ ისინი ვალდებულნი წინა წლებში, რომ უბრალოდ შენუხებულიყვნენ მაინც, როდესაც ქალებს კლავდნენ ქუჩაში, თუ სახლში.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

„ადრე ძალიან ძნელი იყო, გეაქტიურა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას და რაღაც ხელშესახებ მიზანზე გასულიყავი. ხმაურობდი და კარგად ხმაურობდი და შენ იფხანდი გულს, მაგრამ მეორე მხრიდან პასუხი არ იყო ხოლმე არც დამაკმაყოფილებელი და... ხანდახან საერთოდ არ იყო პასუხი. ახლა, ჩემი შეფასებით, მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში დგანან არასამთავრობო სექტორი და სახელმწიფო უწყებები. მინიმუმ მაშინაც კი, როდესაც თქვენ მოინდომებთ ვიღაცის დარწმუნებას, რაღაცის შეცვლას, არის სერიოზული შანსი, რომ რეალურად მოახდინოთ ცვლილება, რაც არის ძალიან კარგი. ზოგადად, სახელმწიფო რომ ცოტა სუსტია, ეს უკეთესია დემოკრატიისთვის, ვიდრე პირიქით, როგორც შეიძლება ითქვას, რომ იყო.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მდგომარეობა საქართველოში წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვა სათანადოდ მაინც არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დარეგულირდა ანტიდისკრიმინაციული და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, მისი ეფექტური აღსრულების თვალსაზრისით, რესპონდენტთა აღქმით, კვლავ არსებობს კითხვის ნიშნები.

„ვიტყობდი, რომ არის გარკვეული გაუმჯობესებები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა ისეთი უფლებები, რომელიც უკავშირდება უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს, მაინც საჭიროებს ძალიან ბევრ მუშაობას იმისთვის, რომ სამომავლოდ იყოს უფრო სრულყოფილი და უფრო მეტად დაცული.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

„ცხადია, შეიცვალა, თუნდაც მოწყვლადი ჯგუფების მიმართაც, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა მივიღეთ, შეიძლება არის პრობლემები ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებით, თუმცა როგორც მინიმუმ რაღაც საბაზისო დონეზე არსებობს კანონმდებლობა. იქამდეც არსებობდა პრინციპში, მაგრამ მიღებულ იქნა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი. მოგეხსენებათ, რომ 2013 წლიდან გვყავს პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორიც. გარკვეულწილად არის გაუმჯობესებები 5 წლის პერიოდთან შედარებით, მაგრამ ვიმეორებ, რომ არის ძალიან ბევრი გამომწვევებიც.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

რესპონდენტების ერთმა ნაწილმა ბოლო წლებში განხორციელებულ ცვლილებებზე საუბრისას აღინიშნა, რომ გაჩნდა დისკრიმინირებულთა საქმეების პრაქტიკა, რაც წარსულში, პრაქტიკულად, არ არსებობდა და იმ დროისთვის მოცემული საკანონმდებლო სისტემა პრეცედენტების შექმნის საშუალებასაც კი არ იძლეოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თვლიან, რომ დღესდღეობით, კანონმდებლობა ამ მიმართულებით მეტად დახვეწილია.

„დადებითისკენ შეიცვალა დისკრიმინაციული საქმეების პრაქტიკამაშინ, როცა დისკრიმინაციულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა არ არსებობდა საერთოდ იმიტომ, რომ არც კანონმდებლობა არ იყო და არც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა არ იყო ისეთი, რომ წარმატებისთვის მიგეღწია. ახლა ასე არ არის, უკვე გვაქვს საწყისი ჩანასახები მსგავსი პრაქტიკის და საკმაოდ კარგიც.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

პენიტენციალურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ სასიკეთო ძვრებზე საუბრობენ როგორც ჯგუფური დისკუსიების მონაწილე რესპონდენტები მოსახლეობიდან, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მათი აზრით, აღნიშნულ სისტემაში მკვეთრად შემცირდა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის ანაგარიშებშიც არის ასახული.

*„მაგალითად პენიტენციალურ სისტემა, საიდანაც აღარ მოდის ინფორმაცია სისტემური წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ და ამის პირველი მთავარი აღმწერი არის სწორედ სახალხო დამცველი და მისი ანგარიშები. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაწილში არის გაუმჯობესება.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში საუბრობენ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ გარკვეული ძალადობის ფაქტებზე, მაგრამ უჭირთ განსაზღვრონ, მათმა რაოდენობამ იმატა, თუ ახლა მათზე ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომია.

*„მონყვლადი უმცირესობების ჯგუფების მიმართულებით ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი პრობლემა გამოჩნდა, რაც წინა 5 წლის წინ არ იყო ასეთი ხილვადი. ვგულისხმობ რელიგიური უმცირესობების, სექსუალური უმცირესობების მიმართ გამოვლენილ არაერთ ძალადობის ფაქტს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავად იმ საზოგადოების მობილიზების თვალსაზრისით, რომელთა უფლებებიც ილახება, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დადებით ტენდენციას ხედავენ და აღნიშნავენ, რომ სწორედ ისინი არიან ინიციატორები და გამოთქვამენ სურვილს, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციამ აღმოუჩინოს დახმარება და დაიცვას მათი უფლებები.

*„ერთი, რომ ჩვენ ვმუშაობთ ამ თემაზე და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ორგანიზაციები და ინტერესდენ და მეორე, რომ ეს ხალხი თავად მობილიზდა ასე თუ ისე, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ რაღაც ტიპის რწმენა მოემართათ.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კიდევ ერთ პოზიტიურ ცვლილებებზე ამახვილებენ ყურადღებას - მათი აზრით, უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა მედიის დადებითი როლი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. მათ შორის, უფრო ხშირად ხდება ტაბუირებული თემების საზოგადოებრივი მსჯელობის საკითხად გარდაქმნაც.

*„მედია მონიტორინგს თუ გავაკეთებთ, ერთ-ერთი ნამყვანი თემა არის გენდერული თანასწორობაზე საუბარი. მესმის, რომ ხარისხთან დაკავშირებით პრობლემები გვაქვს, მაგრამ ის, რომ უკვე ხალხისთვის ყოველდღიურ სასაუბრო თემად გადაიქცა, ეს ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელობამაც მოიმატა და რაღაც ტიპის პასუხისმგებლობებმაც მოიმატა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით, პირდაპირ შემოძლია გითხრათ, რომ საკანონმდებლო თუ პრაქტიკული წინსვლები გვაქვს გარკვეულწილად. მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ადამიანები თავად გააქტიურდნენ და ჩვენ გვაძლევენ საშუალებას, რომ მათი სურვილის შემთხვევაში დავეხმაროთ.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*


თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების აზრით, უკანასკნელი წლების მანძილზე შესუსტდა სახელმწიფო უწყებების გავლენა საზოგადოებაზე, რამაც მეტ-ნაკლებად განაპირობა არასამთავრობო სექტორის გაძლიერება და, თავის მხრივ, დადებითად აისახა ადამიანთა უფლებების დაცვაზეც.

საქართველოს მოსახლეობის აზრით, ქვეყანაში ყველაზე ხშირად შრომითი უფლებე-

ბი ირღვევა - ასე ფიქრობს მათი 27%. თბილისში მათი ხვედრითი წილი, ვინც შრომითი უფლებების დარღვევაზე მიუთითებს (36%), საგრძნობლად აღემატება შესაბამის რაოდენობას სხვა ქალაქებსა (24%) და სოფლებში (22%). ასევე, სიცოცხლის უფლებას შელახულად თვლის ყოველი მე-5 გამოკითხული (19%) და ტენდენციები დასახლების ტიპის მიხედვით მსგავსია. რესპონდენტების 17% თანასწორობის უფლებისა და პატივისა და ღირსების

შეუვალობის დარღვევაზეც საუბრობს. ეს უკანასკნელი მეტ გამოკითხულს აღელვებს თბილისში (24%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (13%) და სოფლებში (15%). სხვა უფლებების დარღვევის ფაქტებზე მითითების სიხშირე ქვეყნის მასშტაბით 15% ან მასზე ნაკლებია. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ხშირ დარღვევაზე საუბრობს 5% გამოკითხულებიდან.

**გრაფიკი 10.** გთხოვთ მითხრათ, თქვენი აზრით, რომელი უფლება ირღვევა ყველაზე ხშირად?





შრომითი უფლებების დარღვევის აღქმა განსხვავებული სიმწვავეთი ვლინდება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. თუ 18-24 წლის ასაკში შრომითი უფლებების დარღვევაზე ყოველი მეხუთე გამოკითხული მიუთითებს (20%), 25-34 წლის ასაკში მათი რიცხვი უკვე 28%-ია. უფრო ზედა ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისი მარკენებლები მცირედით იმატებს, თუმცა თავად მატების ტენდენცია ფიქსირდება (29%-32%) და ისევ იკლებს 65 წელს ზემოთ (20%).

რეგიონების მიხედვით მონაცემების გაანალიზებამ უჩვენა, რომ მათ უმრავლესობაში ისევე, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე მაღალი სიხშირით შრომითი უფლებების დარღვევა აწუხებთ (იმერეთი, გურია, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემოთ სვანეთი). რაც შეეხება სხვა რეგიონებს, მათში ყველაზე მაღალი სიხშირით შემდეგი უფლებების დარღვევაზე გაამახვილეს ყურადღება:

- შიდა ქართლი - პირადი ხელშეუხებლობის უფლება (35%);
- კახეთი - სიცოცხლის უფლება (29%);
- სამცხე-ჯავახეთი - თანასწორობის უფლება (27%), თუმცა ეთნიკურ ჭრილში მონაცემების გაანალიზებამ უჩვენა, რომ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის დამოკიდებულება ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. საზოგადოდ, სხვადასხვა უფლების დარღვევის მიმართ ეთნიკურად ქართველი/არაქართველი მოსახლეობის დამოკიდებულებამ უჩვენა, რომ სხვადასხვა ტიპის უფლებების დარღვევის შესახებ ოდნავ უფრო ხშირად, ძირითადად, სწორედ ქართველი რესპონდენტები მიუთითებენ;
- სამეგრელო ზემო სვანეთი - თანასწორობის (24%) და თავისუფალი განვითარების უფლება (24%);
- აჭარა - პირადი ხელშეუხებლობის უფლება (14%).

რელიგიური თავისუფლების უფლების დარღვევაზე რესპონდენტების მინიმალური რაოდენობა - 5% მიუთითებს. ამ მხრივ, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის რესპონდენტების მოსაზრებები, პრაქტიკულად, იმეორებს ერთმანეთს.

სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას რესპონდენტები, ძირითადად ზომიერ პოზიციას ამჟღავნებენ და აღნიშნავენ, რომ მათი უფლებები ზოგჯერ ირღვევა - პასუხის დასახელებულ ვარიანტს სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებაში ასახელებს რესპონდენტების 43%-დან 52%-მდე (გამონაკლისია სექსუალური უმცირესობები, რომლებთან მიმართებაშიც აღნიშნულ პასუხს ირჩევს გამოკითხულთა 36%). ის ჯგუფები კი, რომელთა უფლებებზეც ყველაზე ხშირად ფიქრობენ, რომ ისინი საერთოდ არ ირღვევა, შემდეგია: რელიგიური (28%), ეროვნული და ეთნიკური (26%) და სექსუალური უმცირესობები (22%) და ბავშვები (23%).

ყველაზე ხშირად კი რესპონდენტები შემდეგი ჯგუფების უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე საუბრობენ: სოციალურად დაუცველთა უფლებები (31%), მსჯავრდებულთა - პატიმრების და პრობაციონერების უფლებები (31%), ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიშ სამუშაოზე დასაქმებულთა უფლებები (29%), სოფლის მოსახლეობის უფლებები (27%), შებლუდული შესაძლებლობების მქონეთა უფლებები (26%), ქალთა უფლებები (25%). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ მამაკაცების შედარებით მეტი როდენობა (29%) ფიქრობს, რომ ქალების უფლებები მუდმივად ან ხშირად ირღვევა, ვიდრე თავად ქალების (21%).

**გრაფიკი 11.** გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ირღვევა ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების უფლებები.

	მუდმივად ირღვევა	ხშირად ირღვევა	ზოგჯერ ირღვევა	საერთოდ არ ირღვევა	არ ვიცი/ მიჭირს პასუხი
ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები	3%	12%	44%	26%	15%
რელიგიური უმცირესობები	3%	12%	43%	28%	14%
სექსუალური უმცირესობები	6%	14%	36%	22%	23%
სოციალურად დაუცველები	7%	24%	48%	10%	12%
ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები)	4%	18%	47%	15%	16%
შებლუდული შესაძლებლობების მქონენი	5%	21%	50%	11%	14%
მსჯავრდებულები (პატიმრები, პრობაციონერები)	7%	24%	44%	7%	18%
ვეტერანები	3%	14%	44%	12%	27%
მომხმარებლები	6%	18%	48%	8%	21%
ბავშვები	3%	13%	48%	23%	13%
ქალები	6%	19%	51%	14%	11%
ხანდაზმულები	5%	18%	52%	12%	13%
ჭანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიშ სამუშაოზე დასაქმებულები	7%	22%	45%	7%	19%
სოფლების მოსახლეობა	7%	20%	48%	9%	16%

რეგიონების მიხედვით მონაცემების გაანალიზებამუჩვენა, რომ სოციალურად დაუცველთა უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე ყველაზე ხშირად რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (44%) და კახეთში (43%) საუბრობენ. დასახელებული ორი რეგიონი ასევე ყველაზე მწვავედ აღიქვამს მსჯავრდებულების (პატიმრები, პრობაციონერები) უფლებების, ჭანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიშ სამუშაოზე დასაქმებულების და შებლუდული შესაძლებლობების მქონეთა უფლებების მუდმივ ან ხშირად დარღვევას სხვა რეგიონებთან შედარებით. კონკრეტულად ქალთა უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე მითითებით კი კახეთი გამოირჩევა - აღნიშნული აზრის მქონე რესპონდენტები აქ თითქმის ნახევარს (45%) შეადგენენ მაშინ, როდესაც შესაბამისი რესპონდენტების ხვედრითი წილი არც ერთ სხვა რეგიონში არ აღემატება 26%-ს.

ეროვნული და ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე რესპონდენტების ყველაზე მცირე რაოდენობა საუბრობს - ქვეყნის მასშტაბით მათი წილი არ აღემატება 15%-ს. მათ შორის, საგულისხმოა, რომ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სხვა რეგიონებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მათი რიცხვი, ვინც ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე საუბრობს - პირველ შემთხვევაში შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი 4%-ს, მეორე შემთხვევაში კი - 6%-ს შეადგენს. შედარებისთვის, სამეგრელოზე სვანეთში გამოკითხული ყოველი მეოთხე რესპონდენტი ფიქრობს, რომ ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები მუდმივად ან ხშირად ირღვევა. მაჩვენებელი ასევე უკიდურესად დაბალია რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევაზე საუბრისას - ქვემო ქართლში ასეთი

შემთხვევების მუდმივ ან ხშირ ხასიათზე რესპონდენტების ისევ 4% საუბრობს, სამცხე-ჯავახეთში კი მათი რაოდენობა მცირედით იმატებს და 9%-ს შეადგენს. მაჩვენებელი არ აღემატება 14%-ს აჭარაშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური არაქართველები ისევე, როგორც გამოკითხული სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები უფრო ნაკლებად ფიქრობენ, რომ ეროვნული და ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების

უფლებები ირღვევა, ვიდრე უმრავლესობაში მყოფი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფი მათ შესახებ. თუმცა, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გამოკითხულ წარმომადგენლებს შორის მეტია ისეთი, ვისაც დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. ეთნიკურად არაქართველ/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის მხოლოდ ყოველი მეათე გამოკითხული საუბრობს მათი უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე (9%-11%).

**გრაფიკი 12.** გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ირღვევა: (1) ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები, (2) რელიგიური უმცირესობების უფლებები.

	ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები		რელიგიური უმცირესობების უფლებები	
	ქართველი რესპონდენტები	არაქართველი რესპონდენტები	მართლმადიდებელი ქრისტიანი რესპონდენტები	სხვა აღმსარებლობის რესპონდენტები
მუდმივად ირღვევა	3%	3%	3%	3%
ხშირად ირღვევა	13%	6%	13%	8%
ზოგჯერ ირღვევა	45%	30%	45%	31%
საერთოდ არ ირღვევა	25%	39%	28%	32%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	14%	22%	12%	26%

თუ წინამდებარე კვლევის მონაცემს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ზემოთ დასახელებული ძირითადი ჯგუფების უფლებების მუდმივ ან ხშირ დარღვევაზე ახლა, საშუალოდ, რესპონდენტების 4%-ით მეტი მიუთითებს (ვეტერანების, მომხმარებელთა, ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიშ საქმეზე დასაქმებულთა, სოციალურად დაუცველი და სოფლის მოსახლეობის გარდა, რომელთა მიმართ შესაბამისი კითხვა არ დასმულა 2012 წელს ჩატარებულ კვლევაში). განსხვავებები მცირეა იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს რაიმე ტენდენციაზე საუბარი, თუმცა შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს სხვადასხვა ჯგუფის უფლებების აქტუალობის ზოგადი ზრდა/გათვითცნობიერებულობის გაზრდა მოსახლეობაში, რადგან კვლევის ზოგადი მონაცემი არ უჩვენებს მოსახლეობის განწყობის ზოგად გაუარესებას. ასევე, საგულისხმოა ისიც, რომ


წინამდებარე კვლევისას რესპონდენტები, უკიდურეს შემთხვევაში, აფიქსირებდნენ პასუხს „მიჭირს პასუხის გაცემა“, 2012 წელს ჩატარებულ კვლევაში კი მათ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

კვლევის მიმდინარეობისას რესპონდენტებს შესთავაზეს სხვადასხვა ინსტიტუციის ჩამონათვალი და სთხოვეს აღენიშნათ, მათგან რომლები იცავენ და რომლები არღვევენ ადამიანის უფლებებს საქართველოში. ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა - თითქმის ნახევარმა (49%) საპატრულო პოლიციის როლზე მიუთითა. რიგით მეორე და მესამე სიხშირით დასახელებული კი სახალხო დამცველის აპარატი (36%) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (31%) აღმოჩნდა. სხვა უწყებების დასახელების მაჩვენებელი 19% ან უფრო დაბალია. უნდა აღინიშნოს, რომ საპატრულო პოლიციისა და შინაგან საქმეთა

სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების დაცვას უფრო სკეპტიკურად უყურებენ თბილისში, სადაც მათზე მითითების სიხშირე, შესაბამისად, 42% და 24%-ია მაშინ, როდესაც

ანალოგიური მაჩვენებლები დასახელებული სტრუქტურებისთვის სხვა ქალაქებში 48% და 34%-ია, სოფლებში კი - 54% და 35%-ს შეადგენს.

**გრაფიკი 13.** თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლები იცავენ ადამიანის უფლებებს?




2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის მონაცემებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც კითხვაზე - რომელი უწყებები იცავენ ადამიანის უფლებებს - შინაგან საქმეთა სამინისტროს დასახელებს - თუ მიმდინარე კვლევისას მათ გამოკითხულთა 31% შეადგინეს, 2012 წელს

მათი რიცხვი 14%-ს არ აჭარბებდა. ასევე, გასული კვლევის დროს რესპონდენტების შედარებით მცირე რაოდენობა - 38% მიუთითებდა, რომ ადამიანის უფლებებს იცავს საპატრულო პოლიცია, სახალხო დამცველის აპარატის როლზე მითითების მაჩვენებელი კი, პრაქტიკულად, არ შეცვლილა (34% - 2012 წელს, 36% - 2016 წელს).

იმ უწყებებს შორის კი, რომლებიც რესპონდენტების აზრით, ყველაზე მეტად არღვევენ ადამიანის უფლებებს, სხვებთან შედარებით მაღალი სიხშირით დასახელდა პროკურატურა (10%), საქართველოს პარლამენტი (10%) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (9%), თუმცა

მთლიანობაში, გამოკითხულთა 70%-ს დასახელებულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (განსაკუთრებით სოფლად, სადაც კითხვაზე პასუხი ვერ გასცა გამოკითხულთა 78%-მა პროცენტმა).

**გრაფიკი 14.** თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლები არღვევენ ადამიანის უფლებებს?



თუ მოცემული კვლევის მონაცემებს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, იკვეთება, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მაშინაც სხვა უწყებებთან შედარებით მაღალი სიხშირით სახელდებოდა, როგორც ორგანოები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებს (შესაბამისად, 17% და 11%), თუმცა სხვაობები ვლინდება სასამართლოს შეფასებისას - თუ 2012 წელს სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევას რესპონდენტების 18% უჩიოდა,

2016 წელს ჩატარებული კვლევისას მათი რაოდენობა 7% აღმოჩნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის კერძო შემთხვევებზე საუბრობენ თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებენ დისკრიმინაციის შემთხვევებზე რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ. როგორც არა-

სამთავრობოები, ასევე ფოკუსური ჯგუფების მონაწილე მოსახლეობა იხსენებს მოქალაქეთა უკანონო დაკავებისა და ჩხრეკის ფაქტებსაც.

*„დისკრიმინაციის ფაქტები იზრდება, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებები უმცირესობების მიმართ სულ უფრო და უფრო ცუდი ხასიათის ხდება. ბოლო პერიოდში ამის გამო რამდენიმე სარჩელი ევროსასამართლოშიც გაიგზავნა. მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ მოხის ინციდენტი<sup>3</sup> რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით და ასევე გამძაფრდა ის პრობლემა, რაზეც ვსაუბრობდით წელან, ადამიანის დაკავების, უმიზეზო რეიდების, შემონმებების და ა.შ., თუმცა, გენერალურ ფორმაში თუ შევაფასებთ ამ ყველაფერს, ვფიქრობ, რომ იგივე მიმართულებით პროგრესიც არის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*


კვლევამ უჩვენა, რომ მოსახლეობა ყველაზე მაღალ ნდობას შემდეგ ინსტიტუციებს უცხადებს: საპატრულო პოლიცია (67%), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (63%), იუსტიციის სამინისტრო (63%), საქართველოს პრეზიდენტი (63%), სახალხო დამცველის აპარატი (60%). გამოკითხულები შედარებით მაღალი უნდობლობით საქართველოს პარლამენტის

(27%), საქართველოს პროკურატურის (26%), შინაგან საქმეთა სამინისტროს (23%) და საერთო სასამართლოების (22%) მიმართ გამოირჩევიან, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუციების შემთხვევაშიც, რესპონდენტების ნახევარზე ოდნავ მეტი (51%-დან 56%-მდე) მათ მიმართ ნდობით არის გამსჭვალული. საკონსტიტუციო სასამართლოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებისას ყოველ მესამე რესპონდენტს, უბრალოდ, უჭირს აზრის გამოთქმა.

სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიმართ ყველაზე მაღალი კრიტიკულობით დედაქალაქის მოსახლეობა გამოირჩევა, ყველაზე ლოიალური კი სოფლების მოსახლეობაა. ეს განსაკუთრებით პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროზე ითქმის, რომელთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი თბილისში 13%-15%-ით ჩამორჩება იგივე მაჩვენებლებს სოფლებში. გამონაკლისია დამოკიდებულება სახალხო დამცველის აპარატის მიმართ, რომლის მიმართ ნდობა, დაახლოებით, თანაბარია როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში - 6 გამოკითხული ყოველი 10-დან (60%). ასევე, დაახლოებით გამოკითხულთა ნახევარი ენდობა საკონსტიტუციო სასამართლოს, დასახლების ტიპის მიუხედავად.

3. 2014 წლის ოქტომბერში ადიგენის მუნიციპალიტეტში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოხდა, სადაც ადგილობრივი მუსლიმები პროტესტს გამოთქვამდნენ მეჩეთის დემონტაჟის გამო.


**გრაფიკი 15.** ენდობით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ უწყებებს? (მოცემულია „დიას“ პასუხების სიხშირეები)



საზოგადოდ, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მოსაზრება მოსახლეობას, ძირითადად, გახმაურებული საქმეებიდან უყალიბდება - ასეთია გამოკითხულთა ნახევრის გამოცდილება (49%). შედარებით უფრო ნაკლებად მიუთითებენ ამაში ახლობლების (37%) ან პირადი (28%) გამოცდილების როლზე.

რაც შეეხება მონაცემებს შორის სხვაობებს დასახლების ტიპის მიხედვით, კვლევამ უჩვენა, რომ თბილისისთვის აზრის ფორმირებისას ცალსახად ბევრად მაღალი მნიშვნელობის მქონე გახმაურებული საქმეები (61%), ვიდრე სხვა ქალაქებისა (45%) და სოფლებისთვის (43%).


**გრაფიკი 16.** რას ეყრდნობა თქვენი შეფასება ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ საქართველოში?



ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესახებ 2014-2020 წლებისთვის სმენია გამოკითხულთა 10%-ს. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ კი სმენია გამოკითხულთა 9%-ს. დასახლების ტიპის მიხედვით მონაცემები, პრაქტიკულად, იმეორებს ერთმანეთს. რეგიონების მიხედვით ყველაზე გათვითცნობიერებული შიდა ქართლის მოსახლეობა აღმოჩნდა, რომელთა შორისაც

გამოკითხულთა 40%-ს სმენოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ან გეგმის შესახებ, თუმცა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტები არ ეცნობოდნენ აღნიშნულ სტრატეგიას ან გეგმას და, შესაბამისად, შეუძლებელია იმის გადამოწმება, რეალურად რამდენად იციან რესპონდენტებმა აღნიშნული სტრატეგია ან გეგმა.

**გრაფიკი 17.** გსმენიათ თუ არა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესახებ 2014-2020 წლებისთვის? გსმენიათ თუ არა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ?





კვლევამ უჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ყველა ის საკითხი, რომლებიც რესპონდენტებს კვლევისთვის შესთავაზეს, მათი აზრით, მნიშვნელოვანია და პრიორიტეტული უნდა იყოს - ასე ფიქრობს, დაახლოებით ყოველი 4 გამოკითხული 5-დან (77%-დან 84%-მდე). სხვებთან შედარებით ოდნავ ნაკლებად პრიორიტეტულად თვლიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას (74%), შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას (75%), მიგრანტთა და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფას (73%), რომელთაც ასევე 70%-ზე მეტი მიიჩნევს მნიშვნელოვნად, მაგრამ ნაკლებად პრიორიტეტულად, მაგალითად, ბავშვთა უფლებების რეალიზებასთან (84%), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან (83%), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით, საკუთარი უფლებების სხვა პირების უფლებების მსგავსად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფასთან (83%) შედარებით. ამ თვალსაზრისით, თბილისში, სხვა ქალაქებში და სოფლებში ტენდენციები მსგავსია, თუმცა სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში მათი რიცხვი, ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს, ყველა პუნქტის შემთხვევაში აღემატება შესაბამის მაჩვენებელს თბილისში (სხვაობები 4%-დან 13%-მდე მერყეობს).

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოსახლეობის ყველაზე დიდმა ნაწილმა - 90%-მა ან მასზე მეტმა - ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ყველა შეთავაზებული პუნქტი პრიორიტეტულად ჩათვალია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც შესაბამის პუნქტებზე პასუხი „დიახ“ ნაკლებია, ეს ხდება არა იმის ხარჯზე, რომ დასახელებულ საკითხებს რესპონდენტები მნიშვნელოვნად არ თვლიან, არამედ იმის გამო, რომ მათ უბრალოდ, არ აქვთ პასუხი შესაბამის კითხვაზე. რესპონდენტების წილი, რომლებსაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ, განსაკუთრებით მაღალია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც თითოეულ საკითხზე პასუხის გაცემა უჭირს ზოგჯერ გამოკითხულთა 1/3-ს, ზოგჯერ კი მათი რაოდენობა ნახევრამდეც იზრდება.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, საჭარო მოხელეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა 2014-2020 წლებისთვის განსაზღვრული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია შეაფასეს. რესპონდენტების მოსაზრებით, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელოს თითოეული სახელმწიფო უწყებისთვის.

კვლევის მონაწილე საჭარო მოხელეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის პროცესში, სხვადასხვა ფორმით მონაწილეობას იღებდნენ როგორც ამა თუ იმ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, ისე არასამთავრობო სექტორში მომუშავე პირები. თვისებრივი კვლევის მონაწილე საჭარო მოხელეების ერთი ნაწილის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია მათ სამუშაო დოკუმენტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ახდენენ ყოველწლიურ ანგარიშგებას სტრატეგიით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს შესახებ.

*„კი ბატონო, ეს სტრატეგიაც ჩვენი სამუშაო დოკუმენტია. ჩვენც გვინევს რეპორტიინგი მუდმივად ამ მიმართულებით, ჩვენს სამინისტროს დიდი როლი აქვს აქ და მუდმივად გვთხოვენ ჩვენც (ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს) და სხვადასხვა უწყებას, რა შესრულდა წლების მიხედვით.“ [საჭარო უწყების წარმომადგენელი]*

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულ მხარეებს წარმოადგენენ როგორც საჭარო უწყებები, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციები, რომელთა აქტივობის ძირითად სფეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე სა-

მუშაო შეხვედრებში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული ფორმატის თვალსაზრისით, არსებობს გარკვეული ხარვეზები. რესპონდენტების აღქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობის ფორმატის ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს მისი არასტრუქტურირებული და არაფორმალური ხასიათი, რაც მათი მოსაზრებით, გარკვეულწილად, აფერხებს პრობლემების სწორად წარმოჩენის და ანალიზის შესაძლებლობას. არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის განხილვის პროცესში, თანამშრომლობის ეს ფორმატი მეტ-ნაკლებად ფასადურ ხასიათს ატარებს და საკმარისად არ ხდება მათი შეთავაზებების და მოსაზრებების გათვალისწინება და ასახვა აღნიშნულ დოკუმენტში.

*„ერთ-ერთი პრობლემა, რაც ამ ფორმატს აქვს, მე ვფიქრობ, არის არასტრუქტურირებული თუ არაფორმალური ხასიათი. პროცედურების დიდი ნაწილი არ არის დარეგულირებული და ხელს ჩვენს გვიშლის, რომ სწორად დავაყენოთ პრობლემები და სწორი გააზრება მოვახდინოთ ამ ფორმატის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„თუ გავზომავთ იმით, რომ რა აღმოჩნდა იქ, შეთავაზებებიდან რა ჩადეს და განსაკუთრებით, ინდიკატორების ნაწილში და მერე რომ უნდა შეფასდეს, პირველად სანამ დაინერებოდა ყოველთვის შეთავაზება იყო, რომ სიტუაციური ანალიზი გავაკეთოთ და ამის მერე ჩადეთ ეს - ესენი არ გაითვალისწინეს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ პარლამენტის როლი აღნიშნულ ფორმატში შედარებით ბუნდოვანია და საკმარისად რეგულირებული არ არის.

*„მეორე, ეს არის ასე ვთქვათ, იმის ნაკლები შესაძლებლობა, რომ სამოქალაქო სექტორმა ჩრდილოვანი ანგარიშები წარუდგინოს პარლამენტს სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით და საერთოდ, პარლამენტის როლი ამ პროცესში ბოლომდე კარგად გამოკვეთილი და რეგულირებული არ არის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის მოსაზრებით, კონკრეტულად, დოკუმენტის ხარვეზად შესაძლოა ჩაითვალოს არც თუ ნათელი ინდიკატორები და შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც სახელმწიფოს ლავირების შესაძლებლობას უტოვებს. მათი გამოცდილებით და მოსაზრებით, რთულია მოცემული ინდიკატორების და შესრულების მაჩვენებლების თვალსაზრისით სახელმწიფო უწყებებთან მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად სრულყოფილად შესრულდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

*„თვითონ დოკუმენტს აქვს პრობლემა იმიტომ, რომ ინდიკატორი და შესრულების მაჩვენებლები არის იმდენად ბუნდოვანი, ძალიან რთულია ედავო სახელმწიფო უწყებას, შეასრულა თუ არა დაკისრებული სამუშაო იმიტომ, რომ ამ ინდიკატორებით მათ ყოველთვის შეუძლიათ ლავირება.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

ერთ-ერთი პრობლემა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილის მოსაზრებით ის არის, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან აღნიშნულ ფორმატში მონაწილე საჯარო უწყებებს წარმოადგენენ ის პირები, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი, გააუღერონ ოფიციალური პოზიცია ან მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

*„კიდევ ერთი პრობლემა, რამდენად წარმომადგენლობითია ეს ფორმატი იმიტომ, რომ როგორც წესი, წარმომადგენლები არიან უწყებების იმ დონის თანამშრომლები, რომ-*

ლებსაც არ შეუძლიათ პოზიციების გაუღერება ან გადანყვეტილებების მიღება.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

მიუხედავად აღქმული ხარვეზებისა, რომლებიც არასამთავრობო სექტორის აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობის ფორმატს უკავშირდება, მათ ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესი არ არის დახურული, რაც გაცილებით არაეფექტური იქნებოდა.

„გარკვეულ საკითხებზე ვერ მოხერხდა შეთანხმება, თუმცა კარგია, რომ იყოს ეს ფორმატი და არ მოხდეს დახურულ რეჟიმში ამის წარმართვა. მე ვფიქრობ, მეტწილად ეფექტური იყო. მთავარია, იმპლემენტაცია რამდენად იქნება.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე საჯარო სამსახურის წარმომადგენელი რესპონდენტების განცხადებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, ისინი კომუნიკაციას აწარმოებენ როგორც საკუთარი უწყების შიგნით, ისე მთავრობის ადმინისტრაციასთან, რომელიც აქტიურად ახდენს უწყებებისგან გარკვეული პერიოდულობით მიღებული დოკუმენტის შეფასებას.

„სტრატეგიის შესრულების ნაწილში კომუნიკაცია გვაქვს სტრუქტურის შიგნითაც, იმ უწყებების და სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ამის შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი და ასევე კომუნიკაცია გვაქვს მთავრობის ადმინისტრაციასთან, რომელსაც ვაწვდით ხოლმე პერიოდულ ინფორმაციებს შესრულებასთან დაკავშირებით. ძალიან ყურადღებით ეცნობიან იმ რეპორტს, რომელსაც ვგზავნით. თუ კი რაღაც არ ემთხვევა და ერთ სიტყვაში არის აცდენა, მაგალითად და არ პასუხობს მთლად იმას, რაც გავაგზავნეთ, ყოველთვის უკან მოგვდის შენიშვნებით და ეს არ არის ფორმალური სტრატეგია. შემოძლია ვთქვა, რომ

შეფასებებიც მოდის, შენიშვნებიც მოდის და ეს თანამშრომლობა არის საკმაოდ აქტიური.“ [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

საჯარო სამსახურების თანამშრომელთა ნაწილის მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულ დონეზე არსებობს ბევრი სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტი, რომლებიც გარკვეულწილად ფარავენ, ზოგიერთ შემთხვევაში, კი ეწინააღმდეგება კიდევ ერთმანეთს - ეს ქმნის რამდენადმე ქაოტურ გარემოს სტრატეგიით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში.

„იცით ალბათ, რომ N რაოდენობის სტრატეგია არსებობს, ზოგადად, ქვეყანაში და ცოტა ქაოსურ სახესაც იღებს იმიტომ, რომ რაღაც სტრატეგიები ერთმანეთს ფარავს, ზოგი ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ამ მიმართულებით ცოტა დასალაგებელია ჩემი აზრით, თუმცა ერთ-ერთი კარგი სტრატეგიაა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია.“ [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შეფასებისას, საჯარო სამსახურის თანამშრომელთა ნაწილი აცხადებს, რომ სტრატეგიის ფარგლებში გაწერილი პროცედურები და კრიტერიუმები, შეიძლება ითქვას, რომ თავად, საჯარო სამსახურის თანამშრომელთა დაცულობას განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მეტნაკლებად განსხვავებული პოზიცია აქვთ, საჯარო მოხელეები სტრატეგიაზე მუშაობის პროცესს და ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან აღნიშნული ფორმატის ფარგლებში წარმოებულ კომუნიკაციას წარმატებულად აღიქვამენ.

„ამ დოკუმენტმა, ჩემი აზრით, გავლენა მოახდინა იმაზე, რომ დღეს პროკურატურის სისტემაში უფრო გამჭვირვალე პროცედურებია და რიგითი პროკურორი უფრო დაცულად გრძნობს თავს, ვიდრე მაგალითად, გრძნობდა წინა წელს. გაიწერა კრიტერიუმები, კოლეგიური ორგანო განიხილავს მის საკითხს და

ა.შ. რამდენად მეთანხმებიან გარედან, არ ვიცი, მაგრამ, ასევე დაიხვეწა კომუნიკაცია სახელმწიფოს სტრუქტურასა და კერძო სექტორს შორის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. ასევე კვლევებში ჩავერთეთ აქტიურად, რაც ამ სტრატეგიის ნაწილი იყო. ჩვენ გავეცანით ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც ჩვენი მისამართით ადგილობრივ არასამთავრობოებს თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუწერიათ და შევეცადეთ, რომ ყველა ის პრობლემა, რომელსაც ხედავენ, ამ სტრატეგიაში ავგვსახა, ამიტომ ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი და კარგი დოკუმენტია.“ [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურობა შეაფასეს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელმა რესპონდენტებმა. მათი უმრავლესობის აღქმით, კანონპროექტის მიღება, პარლამენტის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა. რაც შეეხება ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულებას, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტები, საკმაოდ სკეპტიკურად აფასებენ მას და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად აღნიშნული კანონის ფარგლებში სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევების მცირე რაოდენობას ასახელებენ.

„ყველამ იცის, ამას ხელი იმიტომ მოვანერეთ, რომ ასოცირების ხელშეკრულება გვინდოდა მიგველო ევროკავშირთან. ევროკავშირს არ სურს მისი მოქალაქე რომ ჩამოვა, აქ თავი გაუტეხონ. ამ ცვლილებებმა პოლიტიკის დონეზე არ მოიტანა ცვლილებები. მკვდრადშობილი კანონია - 2014 წელს მიიღეს და ორი „ქეისია“, თუ არ ვცდები, სასამართლომდე მისული.“ [სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი]

„ვინც უნდა აღასრულოს, ისიც ვერ ასრულებს საქმეს, რადგან თვითონაც ფიქრობენ, სამწუხაროდ, რომ ის ხალხი მართალია, რომლებიც სცემენ გეებს. ოჯახური კონფლიქტების დროს ქალის სირცხვილია, როცა დარეკავს პოლიციაში, რომ ქმარი სცემს. როგორ გამოყოფს თავს გარეთ, თუ ქმარს უჩივლა.“ [სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი]

ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების ნაწილის ერთ-ერთი სისუსტე, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტების მოსაზრებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უთანასწორო დამოკიდებულებასა და როგორც ზევით აღვნიშნეთ, თანამდებობრივ გულგრილობაში ვლინდება.

„ვიღაც როცა იჩაგრება, იძახებს პატრულის თანამშრომელს. პირველ რიგში ეგ გახსენდება და ისევ ვიტყვი, რომ მათ დამცინავი ტონი აქვთ. არ არის დანერგილი ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ყველას თანასწორად უნდა ეპყრობოდნენ.“ [სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი]

### 3.3 პირადი გამოცდილება ადამიანის უფლებების დარღვევასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით


მოცემული თავი ასახავს რესპონდენტების პირად გამოცდილებას ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევას უკანასკნელი 5 წლის მანძილზე იხსენებს გამოკითხულებიდან ყოველი მეათე - 9%. ასეთი შემთხვევა ორჯერ უფრო მეტი გამოვლინდა თბილისსა და სხვა ქალაქებში (შესაბამისად, 12% და 11%), ვიდრე სოფლად (6%). მათ შორის, თანაბრად გვხვდებიან ორივე სქესის და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. აღნიშნული შედეგების 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევასთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მაშინ რამდენადმე მეტი რესპოდენტი - 18% იხსენებდა საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევას.

დარღვეულ უფლებებს შორის ცალსახად ღიადერობს შრომითი (ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო შრომითი პირობების ჩათვლით) უფლებების დარღვევა - ყოველი მეოთხე მათგან, ვინც დასახელებ

ბული უფლების დარღვევაზე საუბრობს, სწორედ შრომითი უფლებების დარღვევას უნივის (24%). ფოკუსური ჯგუფების მუშაობამ უჩვენა, რომ რესპონდენტები ამაში გულისხმობენ დასაქმებისას ასაკობრივ ცენზს, დაბალ ანაზღაურებას, შრომის დაუცველ პირობებს და სხვა. სიხშირით რიგით მეორედ დასახელებული კი სოციალური უზრუნველყოფის უფლების დარღვევაა (15%). ფოკუსური ჯგუფის მონაწილე რესპონდენტებმა განმარტეს, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა

სოციალური სტატუსის მინიჭების სისტემით და მას, ძირითადად, უსამართლოდ თვლის. ასევე, დაახლოებით ყოველი მეათე მათგანი, ვინც თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, მიუთითებს ცხოვრების ღირსეული პირობების უფლების, პირადი ხელშეუხებლობის, საკუთრების და პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის დარღვევაზე (9%-დან 11%-მდე). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს უფლების დარღვევაზე საუბრობს 11 გამოკითხული.

**გრაფიკი 18.** გთხოვთ მითხრათ, კონკრეტულად, თქვენი რომელი უფლება დაირღვა?




2012 და 2016 წელს ჩატარებული კვლევების შედარებამ უჩვენა, რომ ძირითადი ტენდენციები მსგავსია - 4 წლის წინ ჩატარებულ კვლევაშიც იმ რესპონდენტების 29%, ვინც აღნიშნავდა, რომ მისი უფლებები დაირღვა, შრომითი უფლებების დარღვევაზე გამოთქვამდა უკმაყოფილებას, 25% კი სოციალური უზრუნველყოფის უფლების დარღვევას უჩიოდა.

იმ გამოკითხულების 1/3-ს, ვინც თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, უჭირს განსაზღვროს, კონკრეტულად ვინ/რომელი ინსტიტუციაა ამაში დამნაშავე (31%). დასახელებულ დამრღვევ სუბიექტებს შორის კი საპატრულო პოლიცია (12%) და დამსაქმებლები (10%) ლიდერობენ. ასევე 7% ადანაშაულებს პროკურატურას, 6%-6% კი შინაგან საქმეთა სამინისტროს, საერთო სასამართლოებსა და საქართველოს პრეზიდენტს. საპატრულო პოლიციის მხრიდან უფლებების დარღვევის ფაქტზე 41 რესპონდენტი საუბრობს, დამსაქმებლების მიერ საკუთარ უფლებებს კი შელახულად აღიქვამს 48 რესპონდენტი. სხვა ინსტიტუციების მიერ საკუთარი უფლებების დარღვევაზე საუბრობს 27 რესპონდენტი ან მასზე ნაკლები.

ჩატარებული კვლევა უჩვენებს, რომ საკუთარი უფლებების დარღვევისას შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვის ფაქტები, რომლებსაც (ორგანოებს) თავად რესპონდენტები ადეკვატურად თვლიან საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად, არც თუ ისე ხშირია - შესაბამის ორგანოს მიმართ იმ რესპონდენტების 31%-მა, რომლების უფლებებიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე დაირღვა. ამ თვალსაზრისით, თბილისში, სხვა ქალაქებში და სოფლებში მიღებული ინფორმაცია, პრაქტიკულად, იმეორებს ერთმანეთს. მათ შორის, კი, ვინც არავის მიმართა დასახმარებლად, ამის ყველაზე ხშირი მიზეზი იმის არცოდნაა, თუ ვინ შეიძლება გაუწიოთ დახმარება (28%), ყოველი მეხუთე კი მიმართვისგან თავს იკავებს იმ მიზეზით, რომ არ არის დარწმუნებული შესაბამისი ორგანოების მიერ დახმარების გაწევაში (21%). თუ მათ რიცხვს იმ 11%-საც დავუმატებთ, ვინც პირდაპირ აცხადებს, რომ არ ენდობა შესაბამის ორგანოებს, ცხადი ხდება, რომ სკეპტიციზმი პოტენციურად იმ ინსტიტუციების მიმართ, რომლებიც შეიძლება მოიხმარებოდნენ დამხმარედ უფლებების დარღვევის პროცესში, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია, რის გამოც მოქალაქეები თავს იკავებენ მათდამი მიმართვისგან.

**გრაფიკი 19.** რატომ არ მიმართეთ შესაბამის ორგანოს თქვენი უფლებების დარღვევის ფაქტზე?



(სხვა ორგანოებისადმი მიმართვის გამოცდილება კი აქვს 24 რესპონდენტს ან უფრო ნაკლებს<sup>4</sup>). სასამართლოს მომსახურებით 30% კმაყოფილი, 58% კი უკმაყოფილო დარჩა. დასახელებული რესპონდენტებიდან 38% თვლის, რომ სასამართლომ დაიცვა მისი უფლებები (სრულად დაიცვა ან უფრო დაიცვა, ვიდრე არა). საჭიროების შემთხვევაში, მას ხელახლა მიმართავდა გამოკითხულთა მეოთხედი, რომელიც თვლის, რომ ქმედითი დახმარება მიიღო.

უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ყოველ მეათე გამოკითხულს (11%) სმენია, რომ დაირღვა მისი ნაცნობის უფლებები. გამოკითხულების ინფორმაციით, მათმა 41%-მა მიმართა ვინმეს საკუთარი უფლებების დასაცავად, რის შედეგადაც თითქმის ნახევარმა (47%) მიიღო სასურველი დახმარება (სრულად ან უფრო მეტად დაიცვეს მისი უფლებები).

4. შესაბამისი შემთხვევების სიმცირის გამო, პროცენტული მაჩვენებლები დათვლილია შეუნონავი მონაცემიდან.

### 3.4 სასამართლო

#### 3.4.1. საერთო, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო


ინფორმაცია სასამართლოსთან დაკავშირებით და დამოკიდებულებები, რომლებსაც მოსახლეობა აღნიშნული ინსტიტუციის მიმართ ავლენს, არაერთგვაროვანია. რიგ შემთხვევებში დამოკიდებულება გამოხატავს ვითარების გაუმჯობესებას ინსტიტუციაში და მოსახლეობის კეთილგანწყობას მის მიმართ, ზოგჯერ კი შეფასებები არც თუ სახარბიელოა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული, როგორც არასამთავრობო, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი რესპონდენტები თანხმდებიან სასამართლო სისტემაში ბოლო წლებში განხორციელებულ პოზიტიურ ძვრებზე. თუმცა, ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებით, სა-

სამართლო სისტემა დღემდე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე და საუბარია არაერთ ხარვეზსა თუ პრობლემაზე, რომელსაც დავის განხილვის პროცესში აწყდებიან მხარეები.

მოსახლეობაში ყოველი მესამე გამოკითხული (34%) თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში, იცის პროცედურა, თუ როგორ უნდა მიმართოს სასამართლოს. მათი რაოდენობა თბილისსა და სხვა ქალაქებში მცირედით აღემატება იგივე მაჩვენებელს სოფლებში (შესაბამისად, 37%, 36% და 30%). შესაბამისი პროცედურის ცოდნაზე ოდნავ უფრო მაღალი სიხშირით მიუთითებენ ქალები (37%), ვიდრე მამაკაცები (32%). ასაკობრივი განაწილების მიხედვით სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურა ყველაზე უკეთ 45-დან 64 წლამდე მოსახლეობამ იცის (37%-38%), ყველაზე ნაკლებად კი მასში 65 წელს გადაცილებული გამოკითხულები ერკვევიან (29%).

გრაფიკი 20. საჭიროების შემთხვევაში, იცით თუ არა პროცედურა, როგორ უნდა მიმართოთ სასამართლოს?



მთლიანობაში კვლევამ უჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ნაკლებად გათვითცნობიერებულია სასამართლოს მუშაობის სპეციფიკასა და ნიუანსებში. თბილისში მეტი ინფორმაცია აქვთ სასამართლოების შესახებ, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

- მოსახლეობის 36% დარწმუნებულია, რომ სასამართლოსადმი მიმართვისას ყველა

შემთხვევაში ფული უნდა გადაიხადონ - მათ შორის, ასე ყველაზე მეტად თბილისში გამოკითხულები ფიქრობენ (43%), ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი ყველაზე მეტად ამ მოსაზრებას 45-54 წლის რესპონდენტები იზიარებენ. მათი რიცხვი, ვინც ამბობს, რომ სასამართლოსადმი მიმართვა ფასიანია, თუმცა არა სისხლის სამართლის საქმეებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, არ აღემატება 12%-ს.



- ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში სასამართლო 3 ინსტანციისგან შედგება, აქვს მოსახლეობის 37%-ს. შესაბამის ინფორმაციას გაცილებით მეტი ადამიანი ფლობს თბილისში (55%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (34%) და სოფლებში (26%). ინფორმირებულობის დონე თანაბარია სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანებში.
- საქართველოს მოსახლეობის ნახევარი (53%) ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სტრასბურგის (ადამიანის უფლებათა ევროპულ) სასამართლოს შეუძლია მიმართოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურავს ქვეყნის შიგნით უფლების დაცვის ყველა ეფექტურ მექანიზმს (ყველა ინსტანციის სასამართლო). ამასთან დაკავშირებით მეტად

ინფორმირებულები არიან თბილისში (64%), ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში (47% და 48%). სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გამოთქმულ მოსაზრებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ ვლინდება, თუმცა ყველაზე ნაკლები ინფორმაცია თემაზე 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს აქვთ (47%).

- ყოველმა მესამემ გამოკითხული მოსახლეობიდან იცის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიმართოს მაშინ, როდესაც კანონი (ნორმატიული აქტი) არღვევს მის უფლებებს (34%). მათი რაოდენობა მეტია თბილისში (41%), ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში (32% და 31%).

**გრაფიკი 21.** სწორი ინფორმაციის ფლობა სასამართლოსთან დაკავშირებით.

	დიახ %
არის თუ არა სასამართლოსადმი მიმართვისას გადასახდელი ბაჟი?	
✓ დიახ, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა + დიახ, თუ პირი არ არის მოწყვლადი ჯგუფიდან	12% (5% + 7%)
რამდენი ინსტანციისგან შედგება სასამართლო საქართველოში?	
✓ სამი ინსტანციისგან	37%
რა შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სტრასბურგის სასამართლოს?	
✓ როდესაც ჩემი უფლებები დარღვეულია და ამოწურული მაქვს ქვეყნის შიგნით უფლების დაცვის ყველა ეფექტური მექანიზმი	53%
რა შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს?	
✓ როდესაც კანონი (ნორმატიული აქტი) არღვევს ჩემს უფლებებს	34%

საქართველოს მოსახლეობის 2/3 თვლის, რომ სასამართლოსადმი მიმართვა ადვოკატის გარეშე შეუძლებელია - 29%-ის აზრით იმიტომ, რომ ადვოკატის ყოლა სასამართლოში სავალდებულოა კანონით, 38% კი უბრალოდ, სასამართლოს პროცედურებს თვლის იმდენად რთულად, რომ საკუთარი ძალებით მათში გარკვევა, საჭიროების შემთხვევაში, ძალიან რთულად ეჩვენება.

ამჟამად ქართულ სასამართლოს ენდობა (სრულად ენდობა, ან უფრო ენდობა, ვიდრე არა) საქართველოს მოსახლეობის 2/3 (63%), უნდობლობას კი მას 27% (უფრო არ ენ-


დობა, ვიდრე ენდობა ან სრულად არ ენდობა) უცხადებს. 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, უნდობლობას სასამართლოს ასევე 28% უცხადებდა, 72% კი აღნიშნავდა, რომ მას ნაწილობრივ ან სრულად ენდობოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, აღსანიშნავია, რომ 2012 წელს რესპონდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეცათ პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“.

თავად მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ყველაზე დიდ როლს იმას ანიჭებენ, თუ „ვის მხარეს არის სიმართლე“


(37%). ყოველი მეათე რესპონდენტი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადვოკატის სიძლიერეს და მეორე მხარის გავლენიანობას სასამართლოში. მოსამარ-

თლის შინაგანი რწმენის როლზე საუბრობს გამოკითხულთა 6%, თუმცა აღნიშნული ასევე შეიძლება მოვიაზროთ იმის შემადგენელ ნაწილად, თუ ვის მხარეს არის სიმართლე.

**გრაფიკი 22.** ვნდობით თუ არა ქართულ სასამართლოს?



**გრაფიკი 23.** თქვენი აზრით, საქართველოს სასამართლოებში უფრო ხშირად რის მიხედვით იღებენ მოსამართლეები გადაწყვეტილებას?



თუ მიღებულ მონაცემს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ტენდენცია მსგავსია და 2012 წელს რესპონდენტებს შორის ასევე ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ფიქრობდა, რომ გადაწყვეტია, ვის მხარეს არის სიმართლე (51% 2012 წელს, 37% 2016 წელს იმ 6%-თან ერთად, ვინც მოსამართლის შინაგან რწმენაზე საუბრობს). ასევე, ტენდენცია უჩვენებს, რომ 2016 წელს საგრძნობლად იკლო მოსაზრებამ, რომ გადაწყვეტილების მიღება ხდება იმის მიხედვით, თუ რას დაავალდებენ მოსამართლეს მთავრობიდან (2016 წელს - 9%, 2012 წელს - 27%), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღქმულმა პოზიტიურმა ძვრებმა ვერ შეძლო საზოგადოებრივი აზრის ამალღება სასამართლოს მიმართ.

საშუალოდ, ქართველი მოსამართლეების 56% იღებს სამართლიან და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას - ასეთია კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის აზრი. უნდა ითქვას, რომ მიღებული შედეგი, პრაქტიკულად, ზუსტად იმეორებს 2012 წელს მიღებულ შედეგებს, როდესაც „სამართლიანი მოსამართლეების“ პროცენტული მაჩვენებლები მთელ მათ ერთობლიობაში, საშუალოდ, ასევე 56%-ით განისაზღვრა. საგულისხმოა, რომ 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, იმ მოსამართლეების საშუალო რაოდენობა, რომლებსაც კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას მიაწერენ, ყველაზე მაღალია 18-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში (58%), ყველაზე დაბალი კი (51%) – 65+ ასაკობრივ ჯგუფში. მიღებული მონაცემები ისევ ადასტურებს იმას, რომ მოსამართლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის კვალიფიკაციის და ობიექტურობის მიმართ მოსახლეობაში კვლავაც არსებობს შეკითხვები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილი სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხს სკეპტიკურად აფასებს - მათი აღქმით, მოსამართლეთა ნაწილს მნიშვნელოვანი დავების წარმოების პროცესში აკლია გაბედულება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

---

*„სასამართლო ნამდვილად არის დაკნინებულ მდგომარეობაში იმიტომ, რომ ვერ წყვეტს არსებითად მნიშვნელოვან საკითხებს თვითონ და ვილაცებს ეკითხება აზრს, რაც არის სავალალო კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. რაღაც მნიშვნელოვანი დავა როდესაცაა, ვიცით, ამას ვერ გადაწყვეტს ეს მოსამართლე და ამას ვერ გაბედავს ეს მოსამართლე, ეს გაბედულების მომენტი და დაკნინებულობის მომენტი ჩვენს გვაზარალებს, იურისტებს და ასევე ბიზნესებს.“*  
[კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

---

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად მოსამართლეებისთვის საქმის განაწილების ფორმატს ასახელებენ. აღნიშნული პროცესის პროგრამული მართვის სისტემით უზრუნველყოფა, განსხვავებით ამჟამად არსებული საქმის განაწილების სქემისა, ბიზნესის წარმომადგენელთა მოსაზრებით, გამორიცხავს მოსამართლის მიზნობრივად შერჩევის ფაქტებს და ამავდროულად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დანერგვა სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გაზრდის წინაპირობად აღიქმება. შესაბამისად, დასახელებული რესპონდენტები მიესალმებიან აღნიშნული ცვლილების მოსალოდნელ დანერგვას სასამართლოში.

---

*„რაც შეეხება რეფორმებს, ერთ-ერთი მომენტი იყო საქმეების დაწერა მოსამართლეებზე როგორ ხდება. ეს არ უნდა ხდებოდეს ვილაცის მითითებით, მაგ. ერთ კონკრეტულ მოსარჩელეს, რომელსაც ე.წ. კარგად და მოგვარებულად ჰქონდა საქმე სასამართლოში, ერთი და იგივე მოსამართლეს ეწერებოდა მუდმივად მისი საქმე. ეს უნდა იყოს ელექტრონულად ალფაბეტით და უნდა მოხდეს, ასე ვთქვათ, შემთხვევითი შერჩევა - უნდა დაეწეროს არა კონკრეტულ მოსამართლეს, რომელიც აგვარებს ამ ერთი მოსარჩელის საქმეებს.“*  
[კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

---

თვისებრივი კვლევის მონაწილე ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელი რესპონდენტების აღქმით, არსებობს დავები, სადაც სასამართლო თავისუფალია პოლიტიკური წნეხისა და გავლენებისგან, თუმცა შეიმჩნევა „სოციალისტური მიდგომები“ მოსამართლეების მხრიდან, რაც ძირითადად ბიზნეს ორგანიზაციებთან დავაში მყოფი ფიზიკური პირების მიმართ არსებულ ტენდენციურ დამოკიდებულებაში/მათ მიმართ თანაგრძობაში გამოიხატება.

*„მინდა გამოვყო დავები, რაზეც არის წნეხი, შერჩევითი საქმეები, რომელზეც მოსამართლე უძღურია, ძალიან რომ უნდოდეს ვერ დაეხმარება ვერანაირ მოქალაქეს და არის დავები, სადაც არ ერევა წნეხი და არის უფრო ე.წ. სუსტი მხარის მხარეს. სოციალისტური ელფერი აქვს გადანყვეტილებებს და არა უფრო ბიზნესური და კაპიტალისტური. ეს მომენტები შეინიშნება, მაგრამ გააჩნია საქმეს და ვინ არის ჩარეული.“*  
[კერძო ბიზნესი წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაცემების მიხედვით, სასამართლო სისტემის კრიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს მოსამართლეთა კვალიფიკაციის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს რამდენიმე გარემოება. როდესაც რესპონდენტები საუბრობენ სასამართლო სისტემაში წლების წინ არსებულ მნიშვნელოვან დარღვევებზე და მოსამართლეთა მიერ გამოცხადებულ არაკვალიფიციურ გადაწყვეტილებებზე, იქვე აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით სასამართლო დაკომპლექტებულია იმავე საკადრო რესურსებით და ეს ფაქტი, საერთო ჯამში, მოსამართლეთა კვალიფიკაციის შეფასებაზე ნეგატიურად აისახება. ამასთანავე, მკაცრი და სკეპტიკურია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასება, რომელთაც მუშაობა, რიგ შემთხვევებში, სასამართლოზე დისკრიმინირებული ჯგუფების წარმომადგენლობას გულისხმობს. მათი მოსაზრებით, სექსუალურ, რელიგიურ თუ სხვა უმცირესობებთან დაკავშირებული ცნობიერების დაბალი დონე, რაც ზოგადად, საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს,

ანარეკლის ეფექტით აისახება სასამართლო სისტემაშიც და გავლენას ახდენს საქმის წარმოების პროცესზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტენდენციის სახით, მოსამართლეთა კვალიფიკაციას შედარებით უფრო პოზიტიურად აფასებენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, გამოკვეთილი კრიტიკით კი არასამთავრობო სექტორი გამოირჩევა.

*„მოსამართლეები, ბუნებრივია, ყველას არ ეხება, ძალიან აშკარად ავლენენ იმას, რომ მათი კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება გადასაწყვეტი საქმის სირთულეს და ხშირად, ძალიან სასაცილო რამეს წერენ გადაწყვეტილებაში. ამ პრობლემას მხოლოდ დაგეგმილი ტრენინგები, რომელსაც უტარებენ ხოლმე მოსამართლეებს, ვერ აგვარებს.“* [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

მოსამართლეთა კვალიფიკაციას რამდენადმე ეჭვქვეშ აყენებენთვისებრივი კვლევის იმ რესპონდენტების ნაწილი, რომლებიც ჯანდაცვის და სადაზღვევო სფეროს წარმომადგენენ. მათი გამოცდილებით, საგრძნობია კვალიფიკაციის ნაკლებობა სამედიცინო სამართლის კუთხით და არა მხოლოდ მოსამართლეებში, არამედ ადვოკატებშიც, რაც მიმდინარე დავებსა და პროცესებზე ნეგატიურ გავლენად ახდენს.

*„სამედიცინო სამართალი და სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობები სამართლებრივი კუთხით მაინცდამაინც დახვეწილი არ არის. დიდი სფეროა ეს სამედიცინო ურთიერთობები, მაგრამ სამართლებრივად და სასამართლოში ამის სპეციალიზაცია არ მომხდარა. სამედიცინო სამართალი, როგორც ასეთი, არც დარგად არსებობს და ამის ჩამოყალიბების და დახვეწის პროცესში ვართ იურისტები. ერთმანეთს ვასწავლით ადვოკატები დამოსამართლეებისამედიცინოურთიერთობებში რა ხდება, როგორ და რანაირად იმიტომ, რომ ვისაც მეტი შეხება აქვს პრაქტიკულად, სამედიცინო ურთიერთობიდან გამომდინარე, იმან უფრო მეტი იცის, მეტი ინფორმაცია აქვს და მეტად არის კონცენტრირებული ამ საკითხზე.“*  
[კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობის მოსაზრებით, სასამართლოში ერთ-ერთ გამოკვეთილ სირთულეს წარმოადგენს სამართალწარმოების ვადები, რაც მათი აზრით, ძირითადად, საკადრო რესურსის სიმცირით არის გამოწვეული. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა დაკვირვებით, პერმანენტული ხასიათი აქვს სასამართლოს მხრიდან საქმის განხილვისთვის წინასწარ დადგენილი ვადების კორექტირებას. ისინი იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც როდესაც სარჩელის შეტანიდან სხდომის ჩანიშვნამდე, ზოგჯერ შესაძლოა წლებიც გავიდეს.

*„ერთადერთი ძირითადი პრობლემა, რასაც ვაწყდებით, ეს არის ვადები - რამდენად დროულად ხდება რეაგირება, რამდენად დროულად ხდება განხილვა, პროცედურულად გადატვირთულია... საკმაოდ დიდი რაოდენობის საქმე არის, მაგრამ ეს არ უნდა ახდენდეს გავლენას იმაზე, რომ მოქალაქეს, რომელიც ცდილობს საკუთარი უფლებები დაიცვას, მისი უფლებების დაცვის საქმე გაუჭიანურდეს.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

მიუხედავად საქმის წარმოების ვადებთან დაკავშირებული პრობლემების და ხარვეზებისა, რესპონდენტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სასამართლოსადმი მიმართვა სირთულეს არ წარმოადგენს და პროცედურულად საკმაოდ გამართულია. თუმცა, კვლევის მონაწილე ის რესპონდენტები, რომლებიც ზოგჯერ სასამართლოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს წარმოადგენენ, აცხადებენ, რომ ის მინიმალურად არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე. ეს უკეთეს შემთხვევაში, მათ საქმის განხილვაზე დასწრებას აფერხებს, უარეს შემთხვევაში კი, საერთოდ სასამართლოსადმი მიმართვას ხდის შეუძლებელს. იგულისხმება როგორც ინფრასტრუქტურული გაუმართაობა (მაგ. პანდუსები), ასევე სხვა ტექნიკური ხარვეზები (მაგალითად, უსინათლოს არ შეუძლია შეავსოს ელექტრონული განაცხადი; სმენის პრობლემების მქონე პირს არ შეუძლია კომუნიკაციის დამყარება სასამართლოში საქმის განხილვამდე და სხვა).

*„მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები გათავისუფლებულები არიან ბაუის გადახდისგან, ვერც ერთი მათგანი ვერ მიმართავდა სასამართლოს, დარწმუნებული იყავით. ეს არის ძალიან კარგი, რომ გათავისუფლებულები არიან, მაგრამ მეორეს მხრივ, მე შენ გათავისუფლებ, მაგრამ შენ ვერასდროს შემოხვალ ჩემთან. პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით არის სრულიად შეუღწევადი და ადამიანს აქვს ორი არჩევანი - მივიდეს და ღირსებაშელახულმა თავი ააყვანინოს და აზიდინოს, როგორც ტვირთი ან არ მოვიდეს და მისი საქმე განიხილონ მის გარეშე, რაც არასწორია აბსოლუტურად. აღარ ვლაპარაკობ უსინათლოებზე, აღარ ვსაუბრობ სმენის პრობლემის მქონე ადამიანებზე, რომელთათვის აბსოლუტურად მიუწვდომელია სასამართლო სისტემა.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

საინტერესო შედეგები აჩვენა კითხვამ იმის თაობაზე, რამდენად აქვს მოქალაქეს შანსი, მოიგოს პროცესი სასამართლოში სხვადასხვა ტიპის დავებში - სახელმწიფოს წინააღმდეგ, ფიზიკური პირის წინააღმდეგ, კორპორაციების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე. ყველა დასახელებულ შემთხვევაში, გამოკითხულების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ფიქრობს, რომ მოგების მაღალი შანსია მაშინ, თუ სიმართლე შენს მხარეს არის, თუმცა თუ ფიზიკური პირის წინააღმდეგ საქმისას ამაში დარწმუნებულია თითქმის ნახევარი, კორპორაციების და სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმეებთან მიმართებით იგივე აზრი აქვს გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლებს. რიგით მეორე ყველაზე დიდი სიხშირით დასახელებული ფაქტორი ყველა ტიპის დავისას ძლიერი ადვოკატის ყოლაა (მიუთითებს 20% დან 27%-მდე თითოეული დავის შემთხვევაში). აღსანიშნავია, რომ პასუხის ვერსიას „რაც არ უნდა მართალი ვიყო, მაინც არანაირი შანსი არ მექნება“ - ყველაზე ხშირად ირჩევენ სახელმწიფოს წინააღმდეგ დავაზე საუბრისას - თუ სხვა სახის დავების განხილვისას ასე პასუხობს გამოკითხულთა 7%-დან 15%-მდე, სახელმწიფოს წინააღმდეგ დავაში ყველანაირი იმედი გადანურული აქვს მოსახლეობის 22%-ს. ზემოთ აღწერილ სასამართლო დავებში მოგების შანსების აღქმა გამოკითხულ ქალ და მამაკაც რესპონდენტებში, პრაქტიკულად, იდენტურია.

**გრაფიკი 24.** თქვენ რომ მოგიწიოთ სასამართლოში დავა, როგორ ფიქრობთ, გექნებათ თუ არა შანსი, რომ მოიგოთ პროცესი შემდეგ შემთხვევებში?

	მოპასუხე მხარე/საქმის ტიპი			
	სახელმწიფოს წინააღმდეგ	ფიზიკური პირის წინააღმდეგ	კორპორაციების წინააღმდეგ	სისხლის სამართლის საქმეზე
რაც არ უნდა მართალი ვიყო, მაინც არანაირი შანსი არ მექნება	22%	7%	15%	11%
თუ დიდ ქრთამს გადავიხდი, შეიძლება მქონდეს შანსი	2%	2%	2%	2%
ჩემი შანსები 50-50-ზე იქნება	19%	21%	20%	19%
თუ ძალიან ძლიერი ადვოკატი დავიქირავე, ალბათ შევძლებ მოგებას	20%	24%	26%	27%
თუ მართალი ვიქნები, მოგების მაღალი შანსი მექნება	30%	45%	31%	39%
თუ მყავს გავლენიანი ნაცნობობა, მოგების მაღალი შანსი მექნება	5%	6%	7%	7%
თუ თანამდებობის პირი ვარ, მოგების მაღალი შანსი მექნება	3%	2%	4%	3%
თუ ჩემი საქმე გახმაურებულია, მაშინ შეიძლება შევძლო მოგება	2%	1%	2%	2%
არ ვიცი / მიჭირს პასუხი	17%	15%	19%	19%

თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ დავის წარმოებისას მოქალაქის მხარეს არსებულ შანსებზე არასამართლო ორგანიზაციებსა და ბიზნესებში მოსაზრებები იყოფა. ერთი მხრივ, მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციულ დავებში სახელმწიფოს წინააღმდეგ მოგებული საქმეების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათივე აღქმით ყოველივე ეს დაკავშირებულია დიდ ძალისხმევასთან, განსაკუთრებულ მომზადებასთან საქმის განხილვისთვის და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადვოკატების ჩართულობასთან საქმეში, რაც თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომ გარემოებებს არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, დასახელებულ ჯგუფებში თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი სასამართლო სისტემას კვლავ სახელმწიფოსადმი ლოიალურობაში ადანაშაულებს. გამოკითხულების ამ ნაწილის აზრით, სასამართლო უმეტესწილად სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელ ორგანოს წარმოადგენს.


მოსახლეობასთან ჩატარებულმა კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ თბილისში, დავის ტიპის/მეორე მხარის მიუხედავად, მოსახლეობას მეტად სჯერა, რომ სასამართლოში საქმის მოგების საწინდარი ძლიერი ადვოკატია - მათი რიცხვი, ვინც ასე ფიქრობს, თბილისში, 7-14%-ით აღემატება იგივე მოსაზრების მქონეთა წილს სხვა ქალაქებში და 10%-14%-ით უსწრებს მსგავს კოზიციანზე მყოფთა რაოდენობას სოფლებში. სხვადასხვა ასაკის რესპონდენტებს, დაახლოებით, თანაბრად სწამთ, რომ თუ მართლები იქნებიან, შეძლებენ საქმის მოგებას, ძლიერი ადვოკატის ფაქტორის მნიშვნელოვნებაში კი ყველაზე მეტად ეჭვი 65+ ასაკობრივ ჯგუფში ეპარებათ - მათი ხვედრითი წილი, ვინც ძლიერი ადვოკატის როლზე მიუთითებს, ყველა დავის შემთხვევაში 3%-9% პროცენტით ჩამორჩება ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელს.

სხვადასხვა პარამეტრით სასამართლოს შეფასებისას ვლინდება, რომ აღნიშნული ინსტიტუციის შეფასება საშუალოზე მაღალია - 6 ქულიან სისტემაში შეფასების მაჩვენებლები 3.7-3.9 ქულას შორის მერყე-

ობს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, შეინიშნება კლების ტენდენცია სასამართლოს სხვადასხვა მაჩვენებლით შეფასებისას - კვალიფიციურობის, არაკორუმპირებულობის, ქმედითობის შეფასებისას საშუალო ქულები 2012 წელს 4.5-დან 4.9-მდე მერყეობდა, მიმდინარე კვლევისას კი იგივე ინდიკატორების საშუალო შეფასება 3.8-3.9 ქულაა. სასამართლოს დამოუკიდებლობას სკალაზე კი დაახლოებით, თა-

ნაბრად აფასებენ ორივე კვლევისას - 3.7 ქულა. მიღებული შედეგები რამდენადმე წინააღმდეგობაში მოდის იმ შედეგებთან, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით სასამართლოში ვითარების გაუარესებაზე გამოკითხულთა მხოლოდ 10% საუბრობს (იხილეთ ქვემოთ). თუმცა, შესაძლოა, კრიტიკული შეფასებები 2016 წელს სასამართლოს მიმართ რამდენადმე გაზრდილი მოლოდინებით და არაკონკრეტული ნეგატივის გაზრდით იყოს განპირობებული.


**გრაფიკი 25.** სასამართლოს შეფასება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (საშუალო ქულა 6 ქულიან სკალაზე).



პროკურატურის მხრიდან სასამართლოზე მუდმივ ან ხშირ ზეწოლაზე რესპონდენტების მცირე რაოდენობა - 13% საუბრობს, თუმცა ყოველი მესამე გამოკითხული ფიქრობს, რომ ამას ზოგჯერ მაინც აქვს ადგილი. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის 39%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს. პროკურატურისგან სასამართლოს დამოუკიდებლობაში კი 16%-ია დარწმუნებული. სასამართლოზე პროკურატურის მუდმივ ან ხშირ ზეგავლენას ყველაზე ხშირად ხაზს უსვამენ 65 წელზე მაღალ ასაკობრივ ჯგუფში (18%), ყველაზე იშვიათად კი - 25-დან 34 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (10%).

პირდაპირ კითხვაზე, როგორ შეიცვალა ვითარება სასამართლოში უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, მოსახლეობის 38% პასუხობს, რომ ის გაუმჯობესდა. მათ ერთ მესამედს აქვს განცდა, რომ ვითარება უცვლელია და მხოლოდ საკმაოდ მცირე ნაწილი - ყოველი მეათე გამოკითხული უჩივის სასამართლოში სიტუაციის გაუარესებას (ძალიან გაუარესდა - 1%; გაუარესდა - 9%). გამოკითხულ ასაკობრივ ჯგუფებში შედარებით თავშეკავებული პოზიციით 18-24 წლის რესპონდენტები გამოირჩევიან, რომელთაგან სისტემაში ვითარების გაუმჯობესებაზე 30% საუბრობს, 35 წელს ზემოთ კი მსგავსი აზრი აქვს გაკითხულთა 39%-41%-ს.

**გრაფიკი 26.** თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა ვითარება სასამართლოში უკანასკნელი 5 წლის მანძილზე?



კვლევის თვისებრივი კომპონენტის მონაწილე ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, სასამართლო სისტემაში განხორციელებული სასიკეთო ძვრები თვალსაჩინოა სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონტროლის ხარისხის შემცირების თვალსაზრისით. მათი აღქმით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ძალების მხრიდან კვლავ შეინიშნება მნიშვნელოვანი საქმეებით დაინტერესება, კონტროლის მასშტაბები საგრძნობლად შემცირებულია. ნაწილობრივ, სწორედ ამას თვლიან სასამართლოს მიმართ მოსახლეობის რამდენადმე გაზრდილი ნდობის მიზეზად, თუმცა აღინიშნება ისიც, რომ ამ მხრივ სისტემას კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

*„აღარ ხდება სასამართლოს ტოტალური კონტროლი, არამედ ხდება შერჩეულ საქმეებზე. ანუ შემცირდა რიცხვი ასეთი საქმეებისა... ეს განსხვავებაა...“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

*„იყო პერიოდები, ვთქვათ, 6 წლის, 7 წლის წინ მაგალითად, როდესაც ყველანაირად ითრგუნებოდა მხარე და ადვოკატი სასამართლოში, ბერლინის კედელივით ემნიშვნენ რაღაცეებს, იქ რაღაცის შეტანა არ შეიძლებოდა. ისეთ მარაზმამდე მიდიოდა წინა ხელისუფლება, ბოლო ორ წელიწადს ვგულისხმობ განსაკუთრებით, რომ უკვე მობილურის შეტანა აღარ შეიძლებოდა არც ადვოკატის მხრიდან, არც არავის მხრიდან. რაც*

*შეიცვალა ხელისუფლება, ეს თემები მოხსნა. იმას რა თქმა უნდა თავისი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა ან გაუცხოება იყო, მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური აზრია, დაშორება და ნელ-ნელა უკვე კედლებიც იმართებოდა და ახლა უკვე ეს კედლები მოხსნილია და თავისუფლად სუნთქავს სასამართლოში ადამიანი.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

*„საქმეები მასიურად მომრავლდა სასამართლოში. ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს ამას: ერთი, თვითონ საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერება ამაღლდა ისე, რომ სიტყვიერი ნდობის საფუძველზე აღარ ხდება და ურთიერთობები წარიმართა სამართლებრივ რეჟიმში და მეორე, სასამართლოსადმი გამოცხადებული ნდობა. ვსაუბრობ უფრო სამოქალაქო მიმართულებით, სისხლის სამართლის მიმართულებით არ მეყოფა გამოცდილება.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბიზნესების წარმომადგენლები ასევე საუბრობენ გაუჭობესებაზე სასამართლო სისტემაში ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რაც საქმის ელექტრონულ წარმოებაში გამოიხატება (ელემენტარული დოკუმენტების მიღების და ჩაბარების წესი, გადაწყვეტილებების არქივირება, სხვა).

ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიც არის საქმის განხილვის ვადები, მოსამართლეთა კვალიფიკაცია, პროკურა-




ტურისგან დამოუკიდებლობა და ობიექტური გადაწყვეტილებები - ვითარების უცვლელობაზე საუბრობს გამოკითხულთა 1/3 მოსახლეობასთან ჩატარებულ კვლევაში, გაუმჯობესება კი სახეზეა მოსახლეობის 28%-37%-სთვის (მათ შორის, 37% სასიკეთო ცვლილებებს ხედავს ობიექტური გადაწყვეტილებების თვალსაზრისით). ამ შემთხვევაშიც, ასაკობრივ ჯგუფებში სხვებთან შედარებით უფრო მოკრძალებულ პოზიციას 18-24 წლის რესპონდენტები გამოხატავენ, როდესაც სხვაობა მოსაზრებებში უფრო ასაკის ჯგუფებთან შედარებით 10%-საც კი აღწევს.

სასამართლოს იმიჯის მათგან გამომდინარეობს ორი მთავარი ფაქტორი სასამართლოს გადაწყვეტილებები (35%) და მედიით გავრცელებული ინფორმაცია (23%). ყველა სხვა ფაქტორის

როლი სახელდება რამდენიმეჯერ ნაკლები სიხშირით. რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, მედია უნდა აშუქებდეს სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს (56%) და სასამართლო პროცესების მიმდინარეობას (47%). როგორც ერთის, ისე მეორის გაშუქების წინააღმდეგი კი, დაახლოებით, ყოველი მეთექვსმეტე გამოკითხულია. როგორც სასამართლოში მიმდინარე მოვლენების, ასევე სასამართლო პროცესების მედიაში გაშუქების გამოკვეთილი მომხრეა 65 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობა - სასამართლო პროცესების გაშუქების მომხრეები აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში 7%-13%-ით მეტნი არიან, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სასამართლო პროცესების გაშუქების მომხრენი კი სხვა ასაკის თანამოაზრეებს 65+ კატეგორიაში 8%-10%-ით აჭარბებენ.

**გრაფიკი 27.** თქვენი აზრით, უნდა აშუქებდეს თუ არა მედია სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს? სასამართლო პროცესების მიმდინარეობას?



თვისებრივი კვლევის მონაწილეების (მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუსური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები) ნაწილის აზრით, სასამართლოს იმიჯი მნიშვნელოვნად დაზარალდა გასულ წლებში, რეაბილიტაციის პროცესი კი რთულია, რადგან არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი საკადრო გადახალისება. რესპონდენტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ წლების წინ პოლიტიზირებული სასამართლო, შეიძლება ითქვას, რომ დღეს უმეტესწილად, გათავისუფლებულია „პოლიტიკური საცეცხებისგან“, თუმცა ერთეულ შემთხვევებში,

როდესაც საქმე ეხება ხელისუფლებისთვის სენსიტიურ, გახმაურებულ საქმეებს, ნათლად იგრძნობა „ფარული ხელი“, რაც პირველ რიგში სასამართლოს იმიჯს აზიანებს.

საქართველოს მოსახლეობის 87% უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ დასწრებია სასამართლო პროცესს არც ერთ რანგში. თუ მიღებულ შედეგს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, როდესაც სასამართლოზე დასწრების გამოცდილება ჰქონდა გამოკითხულთა ერთ მესამედს, შე-

იძლება ითქვას, რომ სახეზეა შესაბამისი გამოცდილების კლების ტენდენცია. წინამდებარე კვლევის მიხედვით, სასამართლოზე დასწრების გამოცდილება მამაკაც და ქალ რესპონდენტებში, დაახლოებით, თანაბარია.


### 3.4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების შესახებ იცის 2-მა გამოკითხული 3 რესპონდენტიდან (63%). განსხვავებები საკმაოდ რადიკალურია დასახლების ტიპის მიხედვით - თბილისში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების შესახებ ინფორმირებულია მოსახლეობის 76%, სხვა ქალაქებში 64%, სოფლად კი ამის თაობაზე იცის გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარმა

(52%). ინფორმირებულობის მაჩვენებელი თანაბრად მაღალია 18-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში (63%-67%), 65 წელზე მაღალი ასაკის რესპონდენტებში კი მკვეთრად ეცემა და 52%-ს შეადგენს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას ყოველი მესამე ნაფიც მსაჯულს მიაწერს (33%), 28% კი ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება ნაფიცი მსაჯულებისა და სასამართლოს მიერ ერთობლივად მიიღება. მოსამართლე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიმღები ჰგონია გამოკითხულთა 7%-ს. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის აღქმა დაახლოებით, მსგავსი იყო 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევაშიც.

**გრაფიკი 28.** თქვენი აზრით, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ბრალეულობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე?



საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (46%) იცის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობა მოქალაქეობრივი ვალდებულებაა, რომელზეც კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, უარის თქმა არ შეიძლება, თუმცა შეთავაზების შემთხვევაში, მესამედი არ არის მზად, იყოს ნაფიცი მსაჯული. ამის სურვილს გამოთქვამს

რესპონდენტების 28% მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც რამდენადმე ჩამორჩება ნაფიცი მსაჯულობის მსურველთა რაოდენობას 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევიდან (39%). ქალი და მამაკაცი რესპონდენტების თანაბარი რაოდენობაა მზად, იყოს ნაფიცი მსაჯული. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ვლინდება

სხვადასხვა თაობის რესპონდენტებშიც, თუმცა სხვებთან შედარებით მცირედით მაღალ მზაობას 18-24 წლის (31%) და 35-44 წლის (32%) გამოკითხულები ამჟღავნებენ. თავის მხრივ, იმაზე, რომ ნაფიც მსაჯულობაზე უარის თქმა შეუძლებელია, უფრო მეტად ინფორმირებულები არიან თბილისში (52%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (42%) და სოფლებში (45%).

ფაქტობრივი ინფორმაციიდან ასევე ქვეყნის მოსახლეობის 30%-მა იცის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, 37% კი აღნიშნავს, რომ ბრალდებულს თავად შეუძლია აირჩიოს, გაასამართლოს ერთმა მოსამართლემ, თუ ნაფიცმა მსაჯულებმა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულებიდან კი გამოსაყოფია შემდეგი:

- საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თვლის უფრო დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად (50%) და სამართლიანად (54%). ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქმეს არა ერთი, არამედ 12 „მოსამართლე“ განიხილავს. ოდნავ ნაკლები რესპონდენტი კი იმ აზრსაც იზიარებს, რომ ნაფიც მსაჯულთა მოსყიდვა უფრო რთულია (46%). ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვა უფრო რთული ჰგონიათ თბილისში (50%), ვიდრე სოფლებში (42%).
- ამავდროულად, გამოკითხულების 41% ეჭვქვეშ არ აყენებს მოსამართლეთა უფრო მაღალ კომპეტენციას ნაფიც მსაჯულებთან

შედარებით, რადგან მათ აქვთ იურიდიული განათლება და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება. რჩება შთაბეჭდილება, რომ რესპონდენტების ნაწილი, უბრალოდ ემოციურად უკეთ არის განწყობილი ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რადგან მათგან მეტ თანაგრძნობას და გულისხმიერებას მოელის და ამავდროულად, მათი სიმრავლიდან გამომდინარე, ობიექტურობის მეტ შანსს ხედავს (ეს ფოკუსური ჯგუფების მონაწილეებმაც დაადასტურეს). შესაძლოა, ამის გამოხატულებაა ყოველი მესამე რესპონდენტის პასუხი, რომ ბრალდების შემთხვევაში არჩევდა, ნაფიც მსაჯულებს გაესამართლებინათ (32%). იურიდიული განათლების გამო, მოსამართლეთა უფრო მაღალი კომპეტენცია ნაფიც მსაჯულებთან შედარებით უფრო მეტად არის აღიარებული თბილისში (46%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (41%) და სოფლებში (37%).

- გამოკითხულები უფრო მეტად იზიარებენ იმ აზრს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც აპრობირებული ინსტიტუტი, საქართველოში გაამართლებს (40%), ვიდრე იმ აზრს, რომ ის ნაკლებად გაამართლებს, რადგან აქ ყველა ერთმანეთის ნაცნობია (23%).

საზოგადოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შეფასება მოსახლეობას უჭირს - ყველა ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 38%-დან 59%-მდე მოსახლეობას.

**გრაფიკი 29.** გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი/თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით.

	დიახ	არა	არ ვიცი / მიჭირს პასუხი
ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება საქართველოს მოქალაქის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა (უარს ვერ იტყვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	46%	15%	38%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია, ვიდრე ტრადიციული სასამართლო	50%	10%	40%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო სამართლიანია, რადგან საქმეს არა ერთი, არამედ 12 ადამიანი განიხილავს	54%	7%	39%
მოსამართლის გადაწყვეტილება უფრო კომპეტენტურია, რადგან მას აქვს იურიდიული განათლება ნაფიცი მსაჯულებისგან განსხვავებით	41%	17%	42%
მოსამართლის გადაწყვეტილება უფრო კომპეტენტურია, რადგან მას აქვს სასამართლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება	41%	17%	42%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოსყიდვა უფრო რთულია, ვიდრე მოსამართლის	46%	8%	46%
ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს ემოციურ შეფასებებს, მოსამართლე კი უფრო გამოცდილია და გადაწყვეტილება იღებს მტკიცებულებებზე დაყრდნობით.	35%	17%	48%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამართლებს/გაამართლებს, რადგან ის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული	40%	8%	52%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ამართლებს/არ გაამართლებს, რადგან საქართველოში ყველა ერთმანეთის ნაცნობია	23%	24%	53%
ბრალდებულს თავად შეუძლია აირჩიოს, გაასამართლოს ერთმა მოსამართლემ, თუ ნაფიცმა მსაჯულებმა	37%	11%	52%
შემოთავაზების შემთხვევაში, მზად ვარ ვიყო ნაფიცი მსაჯული	28%	35%	38%
მე რომ ბრალდებული ვიყო, ვარჩევდი, რომ გამასამართლონ ნაფიცმა მსაჯულებმა	32%	15%	53%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს	30%	10%	59%

### 3.4.3. ადვოკატის მომსახურება

გასული 5 წლის მანძილზე ადვოკატის მომსახურებით უსარგებლია საქართველოს მოსახლეობის 6%-ს. მათ შორის, თითქმის ნახევარმა (44%) კონკრეტულ ადვოკატს ნაცნობის რჩევით მიმართა. ყოველი 10 გამოკითხულიდან, ვინც 2016 წელს ადვოკატს მიმართა, 7 მისი მომსახურებით კმაყოფილია (73%). თუ მიღებულ მონაცემს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ტენდენცია მსგავსია - ადვოკატისადმი ნაცნობის რჩევით მიმართვის პრაქტიკა მაშინაც


რამდენიმეჯერ აღემატებოდა მისი სხვა გზებით შერჩევის გამოცდილებას.

ადვოკატთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ყოველი 10 გამოკითხულიდან 6-სთვის ტელევიზიაა (58%), ადვოკატების შესახებ ინფორმაციას კი საერთოდ არ იღებს 22%. მათ შორის, 45 წელზე უფროსი რესპონდენტების 60%-ზე მეტი აღნიშნულ ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს, 18-24 წლის ასაკში კი ადვოკატებზე ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს 42% და სოციალური ქსელებიდან 13%. 45+ ასა-

კობრივ ჯგუფში ადვოკატების შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან იღებს გამოკითხულთა არა უმეტეს 5%-ისა. თავის მხრივ, თბილისში ადვოკატთა აქტივობის შესახებ ინფორმაციას ტელევიზია აწვდის მაცხოვრებელთა 42%-ს, სხვა ქალაქებსა და სოფლებში კი - გამოკითხულთა დაახლოებით, 1/3-ს.

ადვოკატების მიმართ დამოკიდებულების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მათ მიერ განხორციელებული საქმიანობაა, რომლის შესახებაც სმენიათ - გამოკითხულთა 1/3-ზე მეტი სწორედ ამას თვლის მნიშვნელოვნად (36%). ტრადიციულად, მაღალია მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის როლიც (20%).

**გრაფიკი 30.** ძირითადად, რა განსაზღვრავს თქვენს დამოკიდებულებას ადვოკატების მიმართ?



ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ მოსახლეობა ადვოკატების საქმიანობას, ძირითადად, წარმატებულს უწოდებს (62%). დასახელებული მონაცემი იმეორებს 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის ტენდენციას.

ადვოკატების მომსახურებას გამოკითხული მოსახლეობის 2/3-ზე მეტი აღიქვამს როგორც ძვირს (69%) და ამავედროულად, 60%-ზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ ადვოკატის ანაზღაურება იზრდება საქმის სირთულესთან და მის მიერ მოგებულ საქმეებთან ერთად. თუმცა, მათი ბევრად ნაკლები რაოდენობა - 39% ფიქრობს, რომ მომსახურების დაბალი ფასის მქონე ადვოკატისგან მაღალი ხარისხის მომსახურებას არ უნდა ელოდო.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მომსახურების სიძვირებზე თბილისში მეტი ადამიანი ამახვილებს ყურადღებას (76%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (67%) და სოფლებში (65%). ასევე, თბილისში მეტად ფიქრობენ, რომ ადვოკატის მომსახურება საქმის სირთულის მიხედვით იანგარიშება, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში (შესაბამისად, 70%, 62% და 57%).

ადვოკატების დაბალ კვალიფიკაციაზე საუბრობს 2 ყოველი 5 გამოკითხულიდან (41%), თუმცა, ეს შეიძლება კავშირში იყოს აღქმასთან, რომ ადვოკატი ვერ ახერხებს მოქალაქის დაცვას სასამართლო სისტემაზე ზეწოლის გამო (45%). ადვოკატთა კვალიფიკაციაში მეტად შეაქვს ეჭვი თბილისის (46%), ვიდრე სოფლების მოსახლეობას (36%). თუ მიღებულ

მონაცემებს შევადარებთ 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევას, აღმოჩნდება, რომ ტენდენციის სახით, ახლა ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ ადვოკატი ვერ ახერხებს მოქალაქის დაცვას, ვინაიდან სასამართლო არ არის დამოუკიდებელი (2016 წელს - 45%, 2012 წელს - 67%, თუმცა ყოველმა მესამე რესპონდენტმა წინამდებარე კვლევისას ვერ მოახერხა კითხვაზე პასუხის გაცემა. 2012 წელს გამოკითხულებს არ ჰქონდათ შესაბამისი პასუხის გაცემის შესაძლებლობა).

თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტები ადვოკატთა კვალიფიკაციას არაერთგვაროვნად აფასებენ. ამას ნაწილობრივ, ადვოკატთა დიდი კორპუსი განაპირობებს, ნაწილობრივ კი ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმართ, რომელიც ადვოკატს შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას ნაკლებად აძლევს. ზოგიერთი რესპონდენტისთვის აღქმული მიკერძოებული სასამართლო არა მხოლოდ ადვოკატის კვალიფიკაციას აყენებს ეჭვქვეშ, არამედ მის დემოტივაციასაც იწვევს.

„რაც არ უნდა კარგი ადვოკატი იყო, კარგად იცავდე შენს კლიენტს და კარგად იცოდე კანონი და წარმოაჩინო საქმე, ამას არ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მოსამართლე არის მიკერძოებული. ეს, რა თქმა უნდა, მოტივაციას აკლებს თვითონ ადვოკატებშიც.“ [ბიზნესის წარმომადგენელი]

ადვოკატთა კვალიფიკაციის შეფასებისას არასამთავრობო ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი რესპონდენტები მნიშვნელოვან კრიტერიუმებად ეთიკურობის შეგრძნებას, კომპეტენციას და მოქალაქის უფლებების და ღირსების მიმართ მაღალ სტანდარტებს ასახელებენ. ადვოკატის კვალიფიკაციის შეფასებისას, ასევე მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების უნარი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება კლიენტის მიმართ.

„ადვოკატს უნდა ჰქონდეს ლოგიკური აზროვნების უნარი, უნდა ჰქონდეს ძალიან კარგი პირის აპარატი და მეტყველების უნარი. ეს მეტყველება მის ლოგიკურ აზროვნებას უნდა ებმებოდეს და შინაგანად კეთილსინდისიერი უნდა იყოს.“ [ბიზნესის წარმომადგენელი]

გამოკითხული მოსახლეობის მოსაზრებები იყოფა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ნიშნავს ადვოკატის ბევრი საქმე/დაკავებულობა იმას, რომ ის ვერ შეძლებს კვალიფიციური მომსახურების გაწევას - ასეთ საშიშროებაზე საუბრობს გამოკითხულთა 35%, 26% კი ამ ორ გარემოებას შორის კავშირს ვერ ხედავს. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს (45%) ასევე ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ადვოკატთა უმრავლესობა კეთილსინდისიერია და არ იტყუება. თავის მხრივ, ადვოკატთა კეთილსინდისიერებაში უფრო მეტად დარწმუნებულები არიან სხვადასხვა ქალაქსა და სოფლებში (48%), ვიდრე თბილისში (38%).

**გრაფიკი 31.** ეთანხებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს?

	დიახ	არა	არ ვიცი / მიჭირს პასუხი
ადვოკატების უმრავლესობა წარმატებით საქმიანობს	62%	15%	23%
ადვოკატის მომსახურება ძალიან ძვირია	69%	7%	25%
ადვოკატების უმრავლესობა ნაკლებად კვალიფიციურია	41%	25%	34%
ხშირად ადვოკატი ვერ ახერხებს მოქალაქის დაცვას, ვინაიდან სასამართლო არ არის დამოუკიდებელი	45%	18%	38%
მომსახურების დაბალი ფასის მქონე ადვოკატი მაღალი ხარისხის მომსახურებას ვერ გაგიწევს	39%	25%	35%
ადვოკატის მომსახურება იანგარიშება საქმის სირთულის მიხედვით	62%	6%	32%
რაც უფრო მეტი საქმე აქვს მოგებული ადვოკატს, მით მაღალია მისი მომსახურების საფასური	61%	7%	32%
ადვოკატი, რომელსაც ბევრი საქმე აქვს, მაღალი კვალიფიკაციის მომსახურებას ვერ გაგიწევს	35%	26%	39%
ადვოკატთა უმრავლესობა კეთილსინდისიერია და არ იტყუება	45%	18%	37%

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა უჩვენა, რომ ისინი ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის მთავარ ფუნქციად ადვოკატთა იმიჯის ამაღლებას და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას თვლიან. ერთი მხრივ, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ადვოკატთა ასოციაციაში ტარდება ტრენინგები, რომლებიც მათი არა მხოლოდ კვალიფიკაციის, არამედ პროფესიული ეთიკის სტანდარტების ამაღლებასაც ისახავს მიზნად, თუმცა, მეორე მხრივ, გამოითქვა მოსაზრება, რომ იმ ტრენინგების მრავალფეროვნება, რომელსაც ასოციაცია სთავაზობს წევრ ადვოკატებს, დამაკმაყოფილებელი არ არის, განსაკუთრებით კი კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატებისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, რიგ შემთხვევებში, ტრენინგს უძღვებიან არასაკმარისად მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრენერები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის მოსაზრებით, ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა არ არის ძალიან აქტიური, მისი მაღალი შესაძლებლობებისა და კავშირების მიუხედავად.

*„ადვოკატების იმიჯი იხლიჩება შუაზე, აზრთა სხვადასხვაობა... არიან ადვოკატები, რომლებიც მაღალი ნდობით სარგებლობენ და არიან ადვოკატები, რომლებიც, ცოტა არ იყოს, არ იქცევიან კარგად კლიენტებთან, არასწორ ინფორმაციად აწვდიან, ცრუ დაპირებებს აძლევენ და ამიტომ ასეთი ნაწილის მიმართ ნდობა ნაკლებია. თუმცაღა, დღესდღეობით ადვოკატთა ასოციაციის მხრიდანაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, ტრენინგები, ეთიკის ტრენინგები ტარდება, რომლებსაც უკეთესობისკენ მიყავთ ადვოკატთა კორპუსის მდგომარეობა.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

*„რეალურად არის უკონკურენტო ორგანიზაცია, აქედან გამომდინარე აქვს ძალიან დაბალი ინტენსივობა საქმიანობის, მიუხედავად იმისა,*


*რომ უამრავი რესურსი აქვს ადვოკატებისგან და, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, დონორებისგან და განსაკუთრებით ამერიკის ადვოკატთა ასოციაციისგან.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„არის ძალიან ცოტა ადვოკატი, რომელიც არის კვალიფიციური და ძალიან ქვეყნის, მცოდნე და ისენი არიან უმცირესობა, მაგრამ ასოციაციაში მრავლად არიან ისეთი ადვოკატებიც, რომლებიც არ გამოირჩევიან კვალიფიკაციით.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

### 3.5 პროკურატურა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის პროკურატურისადმი დამოკიდებულებასა და აღქმებთან დაკავშირებით. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, მოქალაქეს შეუძლია მიმართოს პროკურატურას ყოველთვის, როდესაც მისი უფლებები ირღვევა - ასე ფიქრობს გამოკითხულთა 58% ქვეყნის მასშტაბით, ყოველ მეოთხეს კი უჭირს, პასუხი გასცეს კითხვას, რა შემთხვევაში შეუძლია მოქალაქეს მიმართოს პროკურატურას (24%). გამოკითხულთა 13%-მა იცის, რომ პროკურატურას მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში უნდა მიმართო. უკანასკნელ მოსაზრებას უფრო მეტად იზიარებენ თბილისში (21%), ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში (9% თითოეულში). ასევე, თბილისში გამოკითხულთა მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობა თვლის, რომ პროკურატურას შეუძლია მიმართოს ყოველთვის, როდესაც მისი უფლებები ირღვევა (46%), ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 60%-ს აღემატება (62% და 64%). მონაცემები ადასტურებს, რომ პროკურატურის მუშაობის სპეციფიკაში თბილისის მოსახლეობა უკეთ არის გათვითცნობიერებული.

**გრაფიკი 32.** თქვენი ინფორმაციით, რა შემთხვევაში შეუძლია მოქალაქეს, რომ მიმართოს პროკურატურას?




18-24 წლის ასაკის რესპონდენტები მეტად არიან გათვითცნობიერებულები, თუ რა შემთხვევაში უნდა მიმართონ პროკურატურას, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანები, თუმცა განსხვავება არ არის ძალიან საგრძნობი - დასახელებულ ასაკობრივ კატეგორიაში 17% ფიქრობს, რომ პროკურატურას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში უნდა მიმართოს, სხვა ჯგუფებში კი შესაბამისი მაჩვენებელი 3-6%-ით უფრო დაბალია. ასევე თუ ამ ჯგუფში ნახევარზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ პროკურატურას ნებისიერი უფლების დარღვევის დროს უნდა მიმართოს (52%), სხვა ჯგუფებში შესაბამისი მაჩვენებელი 57%-დან 61%-მდე მერყეობს.

მოსახლეობის 1/4-მა, საქიროების შემთხვევაში, იცის პროკურატურისადმი მიმართვის პროცედურა (24%). დასახლების ტიპის, სქესის ან ასაკის მიხედვით მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ ვლინდება.

პროკურატურის სისტემის შეფასება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით მოზომილია და 6 ქულიან სკალაზე საშუალოზე ოდნავ მაღალი ქულით-3.6 ან 3.7-ით გამოიხატება. ეს თანაბრად ეხება მახასიათებლების საკმაოდ ფართო სპექტრს, დაწყებულს მისი სამართლიანობის ან კვალიფიციურობის აღქმით, დასრულებულს ლოიალურობით და გამოძიებაზე სათანადო ზედამხედველობის აღსრულებით.



გრაფიკი 33. პროკურატურის შეფასება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (საშუალო ქულა 6 ქულიან სკალაზე).



თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა პროკურატურის სისტემაში, მისი საქმიანობის მიმართ კითხვის ნიშნები კვლავაც არსებობს. მათი ნაწილი ფიქრობს, რომ პროკურატურაში დღემდე არსებობს ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის დეფიციტი და პოლიტიზირების რისკები. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში პროკურატურის სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, მაინც დადებით კონტექსტშია აღქმული თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მიერ. კვლევის მონაწილეთა შეფასებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლოა გაცილებით თვალსაჩინო გახდეს იმ რეფორმების შედეგები, რაც შიდა ორგანიზაციულ და კონსტიტუციურ დონეზე ხორციელდება.

„რა თქმა უნდა, შეიცვალა რაღაცეები. მათ შორის, შიდა ორგანიზაციულ დონეზე და რაღაც სიახლეები კონსტიტუციურ დონეზეც არის და ალბათ დროა საჭირო იმის შესაფასებლად, რამდენად იმოქმედებს ეს რეფორმები საბოლოო ჯამში პროკურატურის

დამოუკიდებლობაზე და მის იმიჯზე.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროკურატურა მიკერძოებული და პოლიტიზირებულია დისკრიმინაციული დანაშაულის იდენტიფიცირების თვალსაზრისით. მათი მოსაზრებით, აღნიშნული მიდგომა ნაკარნახევია მაღალი პოლიტიკური ინსტანციებიდან, სტატისტიკური მონაცემების დამახინჯების მოტივით.

„ჩემთვის და იურისტების უმრავლესობისთვის, პროკურატურა არის ორგანო, რომელიც არაა ადეკვატურად რეაგირებს დისკრიმინაციულ დანაშაულებზე და არაა ადეკვატურია ხოლმე ბრალდების მომენტშიც. ზოგადად, ასეთი რაღაცეები რეგულირდება სისხლის სამართლებრივი პოლიტიკით, რომელსაც მთავარი პროკურორი ადგენს ყველაზე დაბალ დონეზე, ყველაზე მაღალ დონეზე პრეზიდენტი, პარლამენტის თავჯდომარე და რამდენიმე მინისტრი შეიძლება.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

პროკურატურის დამოუკიდებლად ფუნქციონირების მიმართ არსებულ კითხვის ნიშნებს, შეიძლება ითქვას, რომ გახმაურებული საქმეების მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესი და გამოძიების ეტაპების შესახებ დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის / პირებისთვის ინფორმაციის აღქმული დეფიციტი განაპირობებს.


„არის კითხვის ნიშნები ამ ორგანოს დამოუკიდებლად ფუნქციონირების მიმართ... ის, რომ გარკვეული საქმეების მიმართ არსებობს მაღალი ინტერესი და არ ხდება მათი გამოძიების ეტაპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკმარისად, კითხვის ნიშნებს აჩენს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე, ბიზნეს სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრებით, სამართლებრივი პროცედურების მიმართ დამოუკიდებულება და მიდგომა, დღესდღეობით, პროკურატურაში მკვეთრად გაუმჯობესებულია. ამასთანავე, მათი აღქმით, პროკურატურა კანონის ფარგლებში მოქმედებს და მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას პირნათლად ასრულებს.

„რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედებებს, ინფორმაციის გამოთხოვის წესს, რადიკალურად შეცვლილია. პროკურატურა არის იმ ჩარჩოებში ჩამჭდარი, რომელიც აუცილებელია და რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს... კანონის ფარგლებში ყველაფერს იცავს, არ გაურბის პასუხისმგებლობას.“ [ბიზნეს ორგანიზაციის წარმომადგენელი]

კვლევამ უჩვენა, რომ მოსახლეობას არ აქვს მკაფიო წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება ასრულებდეს პოლიტიკურ დაკვეთას საქართველოს პროკურატურა. ამას მოწმობს გამოკითხულთა ის 41%, რომელსაც უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. რესპონდენტების 1/3 კი ფიქრობს, რომ პროკურატურა ზოგჯერ ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთას საქმის შინაარსის მიუხედავად (16%) ან გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით (18%). მათ შორის, გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით ასეთ მოსაზრებას მეტად გამოთქვამენ თბილისში (25%), ვიდრე სხვა ქალაქებში (16%) და სოფლებში (15%). მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ პროკურატურა ყოველთვის ასრულებს დაკვეთას (როგორც რიგითი, ასევე გახმაურებული საქმეების დროს) ქვეყნის მასშტაბით 13%-ს არ აღემატება.

**გრაფიკი 34.** თქვენი აზრით, ასრულებს თუ არა საქართველოს პროკურატურა პოლიტიკურ დაკვეთას?



პროკურატურის იმიჯთან დაკავშირებით, თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებული გადაცდომების და პოლიტიკური გავლენების მიუხედავად, დღესდღეობით პროკურატურა ცალსახად უფრო ნაკლებად ხასიათდება, როგორც რეპრესიული მანქანა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, თუმცა მათი მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტორი საკმარისი არ აღმოჩნდა საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად.

---

*„შეიძლება მიგუთითოთ, რომ მცირედით მაინც შეიძლება პროკურატურამ დაკარგა ის სრული რეპრესიის სახე, რომელიც მას ჰქონდა, თუმცა არსებითად ვერ ვიტყვით, რომ რამე გარდამტეხი ძვრები იყო საზოგადოების ნდობაში ან პროკურატურის იმიჯში საზოგადოების თვალში.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„იმიჯი ზუსტად ეს არის, რომ შეიძლება გავლენები იყოს პროკურატურაში. პოლიტიკურ გავლენებს ვგულისხმობ, თავისთავად ცხადია და ამას ხელს უშლის ისიც, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ყველაფერს და გამოიძიებს მათ მიერ ჩადენილ გადაცდომებს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*


*„სახელმწიფო დაკვეთების და დაშინებების მომენტი უფრო ნაკლებად არის, ასევე უსაფუძვლოდ საქმის აღძვრები, ვიდრე ადრე. ეს მომენტი არის გაუმჯობესებული.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

---

საქართველოს მოსახლეობაში სჭარბობენ ისინი, ვისაც პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება ფულის გადახდის სანაცვლოდ თავისუფლების ყიდვის საშუალება ჰგონია - ასე ფიქრობს გამოკითხულთა 40%, თუმცა, დაახლოებით ამდენივეს (38%) თემაზე აზრის გამოთქმა უჭირს. მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო შეთანხმება თავისუფლების ყიდვის საშუალებაა, იზიარებს თბილისში გამოკითხულების თითქმის ნახევარი (49%), სხვა ქალაქებში და სოფლებში კი მათი ხვედრითი წილი, ვინც ასე ფიქრობს, შედარებით ნაკლებია (38% და 37%). ასაკობრივ ქრილში მიღებული მონაცემები ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ყველაზე დაბალ (18-24 წლის) და ყველაზე მაღალ (65+) ასაკობრივ ჯგუფებში შედარებით ნაკლებს ჰგონია, რომ საპროცესო გარიგება - ეს არის ფული თავისუფლების წილ (36%-37%), საშუალო ასაკის რესპონდენტებში კი შესაბამის პოზიციებზე 41%-დან 45%-მდე.

რესპონდენტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ თუ პროკურატურას სურს მათი მონმედ გამოკითხვა, ისინი მოვალენი არიან, აუცილებლად გამოცხადდნენ გამოკითხვაზე - ასე ფიქრობს 6 ყოველი 10 გამოკითხულიდან (59%). მათი რაოდენობა კი, ვინც ფიქრობს, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია ან ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს, თანაბარია და თითოეულ შემთხვევაში 20%-21%-ს შეადგენს. დასახლებების სხვადასხვა ტიპსა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მონაცემები, პრაქტიკულად, იმეორებს ერთმანეთს, რაც თემაში მათ დაახლოებით მსგავს გათვითცნობიერებულობაზე მიუთითებს.


**გრაფიკი 35.** თქვენი ინფორმაციით, თუ პროკურატურას სურს თქვენი მოწმედ გამოკითხვა, თქვენ...?



კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულების ზუსტად ნახევარს (50%) არ აქვთ ჩამოყალიბებული აზრი იმასთან დაკავშირებით, პროკურატურა ითხოვს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი როდესაც არსებობს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, თუ ითხოვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. დანარჩენებს შორის სჭარბობენ ისინი, ვინც თვლის, რომ პროკურატურა ითხოვს პა-

ტიმრობის გამოყენებას მხოლოდ იმ დროს, როდესაც შეუძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება - ასე ფიქრობს, დაახლოებით, ყოველი მესამე გამოკითხული (30%), მათ 20%-ს კი ჰგონია, რომ პროკურატურის პოლიტიკა საპირისპიროა. დასახელებულ თემაზე აზრის გამოთქმა უფრო მეტად უჭირთ სხვადასხვა ქალაქსა (58%) და სოფელში (51%), ვიდრე თბილისში (41%). სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხულები კი საკითხის მიმართ მსგავს პოზიციას ამჟღავნებენ.

**გრაფიკი 36.** ქვემოთ დასახელებულთაგან, რომელი გამოხატავს თქვენ მოსაზრებას ყველაზე უკეთ?



მთლიანობაში, ადარებენ რა პროკურატურაში ამჟამად არსებულ ვითარებას 5 წლის წინანდელ მდგომარეობას, რესპონდენტების დაახლოებით, თანაბარი რაოდენობა ფიქრობს, რომ ის იგივე დარჩა (37%) ან გაუმჯობესდა (35%). პროკურატურაში ვითარებას გაუარესებულად გამოკითხულთა მხოლოდ მცირე რაოდენობა - 8% აღიქვამს. დასახლების ტიპის და რესპონდენტების ასაკის მიხედვით მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ ვლინდება, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი, რაც მაღალია რესპონდენტების ასაკი, მით უფრო მკვეთრად არის გამოხატული პროკურატურაში ვითარების გაუმჯობესების აღქმის ტენდენცია. თუმცა, ამავადროულად, კითხვაზე, ენდობა თუ არა პროკურატურას, 2012 წელს ჩატარებული კვლევისას უარყოფითი პასუხი გასცა 32%-მა და დადებითი - 68%-მა, 2016 წელს კი, შესაბამისად, 27%-მა და 59%-მა (ამჯერადაც, პასუხის „მიჭირს პასუხის გაცემა“ დაფიქსირება შესაძლებელი იყო მხოლოდ 2016 წელს). ისევე, როგორც სასამართლოს შეფასებისას, მთლიანობაში მიღებული მონაცემები შესაძლებელია იმას გამოხატავდეს, რომ მოსახლეობა ხედავს ძვრებს სისტემაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მის მიმართ ნდობის/კეთილგანწყობის ჩამოსაყალიბებლად.

კვლევამ უჩვენა, რომ პროკურატურის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდ გავლენას ორი ფაქტორი - გახმაურებული საქმეები (31%) და მედიით გავრცელებული ინფორმაცია (25%) ახდენს. დასახელებული ფაქტორები თანაბრად მაღალი მნიშვნელობის მქონეა როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. იმასთან დაკავშირებით, მედია პროკურატურაზე ახდენს დადებით, თუ უარყოფით გავლენას, გამოკითხულების აზრი, პრაქტიკულად, თანაბრად იყოფა (შესაბამისად, 30% და 27%), რესპონდენტების 1/3-ს კი დასახელებულთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმა უჭირს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ არასამთავრობოებს აქვთ ინფორმაცია პროკურატურაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. ისინი დადებითად აფასებენ პროკურორის არჩევის პრინციპს, თუმცა საზოგადოდ, შიშობენ, რომ პროკურატურის სისტემაში განხორციელებული რეფორმები

ნაკლებად არის პირდაპირ შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური. მთავარი გამოწვევა, რაც პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს გააჩნდა, ექსპერტების მოსაზრებით, მის დამოუკიდებლად და მთავრობისგან დისტანცირებულ ფუნქციონირებას უკავშირდებოდა, აღნიშნული მოლოდინები კი, რესპონდენტთა მოსაზრებით, ამ ეტაპზე გამართლებული არ არის.

---

*„რეფორმას ვერ დავარქმევდი, რამდენიმე სტრუქტურული ცვლილება ჰქონდათ ბოლო პერიოდში, რამაც შედეგი არ მოიტანა საერთოდ, გარდა იმისა, რომ შტატები გაეზარდათ რამდენიმე ათეული თანამშრომლით.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„ჩვენი მოსაზრება ყოველთვის იყო, რომ პროკურატურა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მთავრობისგან იქნებოდა დისტანცირებული. სამწუხაროდ, რეფორმებმა, რომლებიც ბოლო წლებში გატარდა, ამ შედეგამდე ვერ მიგვიყვანა და პროკურატურა სრულად დისტანცირებული არ არის მთავრობისგან (მათ შორის, პოლიტიკური ფიგურების გავლენებისგან).“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შორის, მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება, თუმცა ის ერთეული რესპონდენტები, ვისაც შეხება ჰქონია აღნიშნულ უწყებასთან, მიღებული მომსახურებით და კადრების მომზადების დონით კმაყოფილია.

---


*„საკმაოდ თავაზიანი, ზრდილობიანი ხალხი აღმოჩნდა, თავისი საქმის მცოდნეც. თვითონ ის საქმეც ბოლომდე მიიყვანეს, გამოიძიეს ასე ვთქვათ შემჭიდროვებულ ვადებში. სხვა ქეისებს ვერ ვიხსენებთ, სადაც დიდად ჩართულები ვიყავით ჩვენ. შემოძლია ვთქვა, რომ იმ გამოცდილების ფარგლებში, რაც გვქონდა, კმაყოფილი დავრჩი მომსახურებით, რაც გავვიწიეს.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

### 3.6 იურიდიული დახმარების სამსახური

უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ფლობს ინფორმაციას და მას იყენებს კიდევ. კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარმა (52%)

იცის შესაბამისი შესაძლებლობის შესახებ - მათ შორის, უფრო მეტმა თბილისსა და სხვა ქალაქებში (57%-58%), ვიდრე სოფლად (44%). უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმირებულობის ზოგადი მაჩვენებელი მსგავსი იყო 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევაშიც.

გრაფიკი 37. გსმენიათ თუ არა უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ?




უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ ნახევარზე მეტს სმენია ყველა ასაკობრივ ჯგუფში (51%-56%), გარდა 65 წელზე მაღალი ასაკის რესპონდენტებისა, რომელთა შორის დასახელებული მომსახურების ცნობადობა 42%-ია.

რესპონდენტები, ვისაც სმენია უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, ყველაზე ხშირად ასახელებენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას - მის თაობაზე იცის 2/3-მა (66%). 30% კი საზოგადოებრივ ადვოკატს/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ იურიდიული

დახმარების სამსახურს იხსენებს. სხვა სამსახურების დასახელების მაჩვენებელი ბევრად მცირეა და 12%-ს არ აღემატება. საზოგადოებრივი ადვოკატის/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ თანაბრად სმენიათ როგორც ქალ, ისე მამაკაც რესპონდენტებს. ასევე, დაახლოებით თანაბრად იციან მის შესახებ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა ყველაზე მაღალი ცნობადობით სამსახური 18-24 წლის მოსახლეობაში (35%), შედარებით დაბალი ცნობადობით კი - 65 წელზე მაღალ ასაკობრივ კატეგორიაში გამოირჩევა (27%).

**გრაფიკი 38.** რომელი უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ გსმენიათ?




2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულმა კვლევამ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან მიმართებაში მსგავსი ტენდენცია გამოავლინა - ის რამდენიმეჯერ უფრო ხშირად სახელდება, ვიდრე ყველა სხვა უფასო იურიდიული დახმარების სამსახური, თუმცა 4 წლის წინ მისი დასახელების მარჯვენა მხარე წინამდებარე კვლევასთან შედარებით უფრო ნაკლებს - 44%-ს შეადგენდა. რაც შეეხება საზოგადოებრივ ადვოკატს/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ იურიდიული დახმარების სამსახურს, მისი ცნობადობა დაახლოებით, იგივე დარჩა - 2012 წელს გამოკითხულთა 13%-მა იურიდიული დახმარების სამსახური, 15%-მა კი საზოგადოებრივი ადვოკატი დაასახელა (შესაბამისი ვერსიები მიმდინარე წელს გაერთიანებული იყო პასუხის ვარიანტში „საზოგადოებრივი ადვოკატი / სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური“).

იმ მოსახლეობის 3/4, რომლებმაც იციან უფასო იურიდიული დახმარების სამსახურების შესახებ, თანახმაა ნებისმიერ შემთხვევაში მიმართოს მათ (73%), ყოველი მე-10 კი მიმართავდა ყოველთვის, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა (10%). გამოკითხულების რიცხვი, რომლებიც კატეგორიულად არ უშვებენ იურიდიული სამსახურისთვის მიმართვის ალბათობას, 17%-ს არ აღემატება. ამ უკანასკნელთა შორის შედარებით მაღალია 65 წელს გადაცილებულთა წილი (24%). სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მათი წილი, ვინც გამორიცხავს უფასო იურიდიული სამსახურებით სარგებლობას, 15%-დან 19%-მდე მერყეობს. 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულმა კვლევამ დაახლოებით, მსგავსი ტენდენცია გამოავლინა - შესაბამისი საჭიროებისას, 80% თანახმა იყო, მიემართა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურებისთვის.

იურიდიული დახმარების სამსახურებს შორის, რომლებსაც რესპონდენტები საქიროების შემთხვევაში მიმართავდნენ, ცალსახად ყველაზე პოპულარული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა - მას არა მხოლოდ იცნობს, არამედ დახმარების სათხოვნელადაც მიაკითხავდა 2 ყოველი 3 გამოკითხულიდან (64%), რომლებმაც იციან უფასო იურიდიული დახმარების არსებობის შესახებ. დასახელების სიხშირით მეორეა საზოგადოებრივი ადვოკატი/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, რომლისადმი მიმართვის მზადყოფნას 23% გამოთქვამს - ქალების 27% და

მამაკაცების 21%. მათი ხვედრითი წილი მეტია სოფლების (29%), ვიდრე თბილისის (18%) და სხვა ქალაქების (24%) მოსახლეობაში. ყოველი მე-10 გამოკითხული (10%) ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრსაც მიაკითხავდა, სხვა ორგანიზაციების დასახელების მარჯვენებელი კი 4%-ს არ აღემატება. 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევისას დასახელებული მარჯვენებლები, პრაქტიკულად იდენტურია - 63%-ს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, 11%-ს იურიდიული დახმარების სამსახურის, 10%-ს კი - საზოგადოებრივი ადვოკატის იმედი აქვს.

**გრაფიკი 39.** რომელ უფასო იურიდიულ დახმარებას მიმართავთ?



გამოკითხულთა იმ მცირე ნაწილში, რომლებიც არ მიმართავდნენ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს, ამის ძირითადი მიზეზი უნდობლობაა (22%). განსაკუთრებულ მაღალ უნდობლობას ამჟღავნებს 55-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი (34%), რომელშიც სკეპტიკოსთა წილი 15%-ით მეტია, ვიდრე 18-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში და 20%-ით მეტი, ვიდრე 65 წელს გადაცილებულ გამოკითხულებში. ფოკუსური ჯგუფის მონაწილე რესპონდენტებმა უნდობლობა, გარკვეულწილად, იმით ახსნეს, რომ ადვოკატი, რომელსაც სახელმწიფო უნიშნავს დაცვის ქვეშ მყოფს, შესაძლოა, სწორედ სახელმწიფოს (ბრალდების) და არა კლიენტის

მიმართ იყოს ლოიალური. მიზეზებში ასევე შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება ეჭვი უფასო ადვოკატის კვალიფიკაციასა და იმაში, რომ ის კლიენტის წარმატებაში იქნება დაინტერესებული (შესაბამისად, 15% და 14%). უნდობლობა უფრო ძლიერად არის გამოხატული თბილისში (27%), ვიდრე სოფლებში (22%) და სხვა ქალაქებში (18%). მოსახლეობასთან ჩატარებულმა ფოკუსურმა ჯგუფებმა უჩვენა, რომ რესპონდენტების ნაწილის აზრით, თუ ადვოკატის ანაზღაურება საქმის წარმატებაზე არ არის მიბმული, მას არ აქვს საკმარისი მოტივაცია, იბრძოლოს კლიენტის ინტერესებისთვის, თუმცა იმავე ფოკუსურ ჯგუფებზე მონაწილეებმა იცოდნენ



მაგალითები, როდესაც უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატმა მოქალაქეს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

საქართველოს ყოველ მესამე ზრდასრულ მოსახლეს (32%) სმენია სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, რომელიც ეწევა უფასო იურიდიულ მომსახურებას. მათ შორის, ყველაზე ინფორმირებული 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფია (37%), ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული კი - 65 წელზე ხანდაზმული გამოკითხულები (27%). სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის დაახლოებით, იგივე ცნობადობა გამოავლინა 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულმა კვლევამ - გამოკითხულთა 33%-ს სმენოდა შესაბამისი სამსახურის შესახებ.

სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (84%) ტელევიზიიდან მიიღო. ტელევიზიის როლი განსაკუთრებულად მაღალია სოფლად - 10-დან 9-მ მათ შორის, ვინც იცის ამ ორგანიზაციის შესახებ, ინფორმაცია სწორედ ტელევიზიიდან მიიღო (91%). სხვადასხვა ქალაქში სატელევიზიო არხები ინფორმაციის მიღების წყარო გამოკითხულთა 85%-სთვის აღმოჩნდა, თბილისში კი - 76%-სთვის. სოციალური ქსელები, პირიქით, მეტად აღმოჩნდა ინფორმაციის წყარო თბილისისთვის (19%), ვიდრე სხვა ქალაქებისა (15%) და სოფლებისთვის (13%), თუმცა განსხვავებები არ არის დიდი. ნაცნობებისგან კი ინფორმაცია მიიღო 18%-მა მათგან, ვინც იცის სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ.

მონაცემების ასაკობრივ ქრილში გაანალიზებამ კი უჩვენა, რომ ტელევიზიიდან ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ყველაზე ნაკლებად მიიღო 18-24 წლის მოსახლეობამ (75%), ყველაზე მეტად კი - 45 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა (86%-91%). სოციალური ქსელების შემთხვევაში ვითარება დიამეტრულად საპირისპიროა და უჩვენებს ინფორმაციის აღნიშნული წყაროს მნიშვნელოვნების განუხრელად კლების ტენდენციას ასაკის მატებასთან ერთად - 27% 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 15% 35-44 ასაკობრივ ჯგუფში, 2% 65 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში.

როგორ შეიტყვეთ იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის შესახებ?


**გრაფიკი 40.** როგორ შეიტყვეთ იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის შესახებ?

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
ტელევიზიიდან	75%	85%	81%	91%	86%	89%	85%
რადიოდან	2%	4%	4%	6%	4%	6%	5%
ბეჭდური მედიიდან	6%	6%	4%	7%	8%	12%	7%
სოციალური ქსელების საშულებით (FACEBOOK, TWITTER და ა.შ.)	27%	24%	15%	13%	10%	2%	15%
ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან	6%	6%	4%	2%	6%	1%	4%
ნაცნობებისგან	20%	21%	20%	20%	16%	12%	18%
მათგან, ვინც შესაბამისი სამსახურის მომსახურებით ისარგებლა	2%	4%	6%	4%	3%	1%	3%
ამ სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან	3%	1%	2%	1%	2%	0%	1%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	2%	0%	3%	1%	2%	3%	2%

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის სპეციფიკას, კვლევამ უჩვენა, რომ 7-მა გამოკითხულმა 10-დან, რომლებმაც იციან სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, იცის, რომ სამსახურში შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე (73%). 11%-მა კი იცის, რომ ისინი იცავენ პირის ინტერესს სისხლის სამართლის პროცესში. იგივე რაოდენობა თვლის, რომ მათ შეუძლიათ წარმომადგენლობის განწვევა სასამართლოში

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებთან დაკავშირებითაც. კვლევამ ასევე უჩვენა, რომ ნახევარზე მეტს (58%) მათგან, ვინც იცის სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, არაბუსტი წარმოდგენა აქვს ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფზე და ჰგონია, რომ ის ყველა მსურველს ემსახურება. იმაზე, რომ სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახური დახმარებას უწევს მხოლოდ სოციალურად დაუცველ, გადახდისუუნარო მოქალაქეებს, იცის მათმა 29%-მა.


**გრაფიკი 41.** თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რა მომსახურებების განწვევა შეუძლია იურიდიული დახმარების სამსახურს?



სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობას რესპონდენტები საკმაოდ დადებითად აფასებენ - 6 ქულიან სკალაზე სხვადასხვა პარამეტრით შეფასებები აღემატება 4-ს და 4.1-4.3 ქულებს შორის მერყეობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევის დროს საშუალო შეფასებები რამდენადმე უფრო მაღალი იყო და 4.7-დან 5.3-მდე მერყეობდა.

ამავდროულად, დასახელებული შეფასებები სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით უფრო მეტად ვარიირებდა, ამჟამად კი საკმაოდ მოკლე დიაპაზონში მერყეობს. ისევე, როგორც სხვა ინსტიტუციების შეფასებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების მხედველობაში მიღება, რომ ჩატარებულ ორ კვლევას შორის მეთოდოლოგიური და დიზაინის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების გამო, შესაძლებელია მათი შედარება მხოლოდ ტენდენციების დონეზე.

**გრაფიკი 42.** სახელმწიფოს მიერ დაარსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შეფასება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (საშუალო ქულა 6 ქულიან სკალაზე).



თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა უმრავლესობა, ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ დაარსებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციონირების შესახებ და მის საქმიანობას საკმაოდ პოზიტიურად აფასებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილე რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის შესახებ ინფორმირებული. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციით, იურიდიული დახმარების სამსახურის პრეროგატივას, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მომსახურებასთან ერთად, წარმოადგენს იმ პირების იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელთაც აღნიშნული სერვისი დაუყოვნებლივ ან უალტერნატივოდ ესაჭიროებათ.

*„ძალიან დიდ შრომას წვევენ და მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მათი დამოუკიდებლობის მიმართ რაღაც არსებითი ხასიათის კითხვები არ არსებობს. როგორც ვიცი, ძირითად შემთხვევებში, ეს არის ან სოციალურად დაუცველები ან არის შემთხვევები, როდესაც სავალდებულო სამართლებ-*

*რივი დაცვის განხორციელება და, ასეთ შემთხვევაში, ერთგება იურიდიული სამსახური.“*  
*[არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

კვლევის შესაბამისი ნაწილის დასასრულს, ინტერვიუებზე ყველა რესპონდენტს გააცნეს სახელმწიფოს მიერ დაარსებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მოკლე აღწერა და უკვე შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე სთხოვეს აზრის გამოთქმა.

*იურიდიული დახმარების სამსახური სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას სოციალურად დაუცველი, გადახდისუნარო მოქალაქეებისათვის. სამსახური 2007 წლის ივლისში შეიქმნა და დღეისათვის იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს. უფასო იურიდიული დახმარება გულისხმობს ისეთ მომსახურებას, როგორცაა:*

- უფასო იურიდიული კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე;
- სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხა-


დება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენა;

- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ასევე გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

კვლევამ უჩვენა, რომ სათანადო ინფორმაციის გაცნობის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის 2/3 გამოთქვამს მზადყოფნას, ისარგებლოს შესაბამისი სამსახურის მომსახურებით (65%). ამდენივე ადამიანი (65%) სახელმწიფოს მიერ დაარსებულ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს სანდოსაც უწოდებს (სრულიად ენდობა ან უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა). ორგანიზაციისადმი როგორც ენდობით, ასევე

მისი მომსახურების მიღების მზადყოფნით გამოკითხული მამაკაცები ოდნავ აჭარბებენ ქალებს (5%-6%-ით). ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე მაღალი მზაობა, ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ დაარსებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით, გამოხატეს 45-54 წლის ასაკის რესპონდენტებმა (70%), სხვებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად მოტივირებულები კი 65-ს გადაცილებულები აღმოჩნდნენ (61%). სამსახურის მიმართ ყველაზე მაღალი ნდობით 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი გამოირჩევა (70%), რომლებიც 10%-ით მეტნი არიან, ვიდრე ნდობით განმსჭვალული რესპონდენტები 65+ ასაკობრივ კატეგორიაში (ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი).

**გრაფიკი 43.** აღწერის მოსმენის შემდეგ, ისარგებლებთ თუ არა იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით? ენდობით თუ არა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს?



საქართველოს მოსახლეობის 3/4 მხარს უჭერს, გახდეს იურიდიული დახმარების სამსახური საყოველთაო (74%) იმ არგუმენტით, რომ ის ყველას სჭირდება. 1/4-ია იმ რესპონდენტების საერთო რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ეს სამსახური საყოველთაო არ უნდა გახდეს, რადგან ეს სახელმწიფოს მხრიდან რესურსების არარაციონალურ ხარჯვას გამოიწვევს (24%). ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის აზრით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არის რისკი, რომ სახელმწიფოს ხარჯზე ისინიც მიიღებენ მომსახურებას, ვისაც შემოსავალი საშუალებას აძლევს, საკუთარი სამართლებრივი საჭიროებები თვითონვე დააფინანსოს. მართალია, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მოსახლეობის თითქმის ნახევარი ამბობს იმასაც, რომ ვისაც აქვს ფინანსური საშუალება, მათ შეიძლება არც

გამოიყენონ ეს რუსურსი (47%), მაგრამ 1/3 აზრის გამოთქმას აღნიშნულ თემაზე ვერ ახერხებს (31%).

იმასთან დაკავშირებით, უნდა ჰქონდეთ თუ არა იურიდიული დახმარების სამსახურით სარგებლობის საშუალება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გარდა სხვა სამიზნე ჯგუფებსაც, თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის აზრია, რომ ის უნდა დარჩეს ფოკუსირებული კონკრეტულ სამიზნე სემინტზე, რომელსაც უფასო იურიდიული დახმარება ყველაზე მეტად ესაჭიროება, თუმცა გამოწვევად რჩება პრობლემები სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების პროცედურებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით არსებული კითხვის ნიშნები, რაც

გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს იური-  
დიული დახმარების სამსახურის მხოლოდ  
სოციალურად დაუცველთა სამიზნე ჯგუფზე  
ორიენტირებას.

---

„სოციალურად დაუცველობის სისტემა არის  
ცალსახად იმდენად არაეფექტური, შეიძლება  
იყო რეგისტრირებული ამ ბაზაში, მაგრამ  
ჩემს გვერდით იყოს ადამიანი, რომელსაც  
უფრო მეტად აქვს ფინანსური გამოწვევები.“  
[არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომად-  
გენელი]

---

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმო-  
მადგენელთა მოსაზრებით, უფასო იური-  
დიული სამსახურის შეზღუდულ სამიზნე აუ-  
დიტორიასთან მუშაობა მიზანშეწონილი და  
გამართლებულია იქიდან გამომდინარე, რომ  
აღნიშნულ სამსახურს აქვს შეზღუდული რე-  
სურსები, რომელიც სასურველია მიმართული  
იყოს იმ მოქალაქეების დასახმარებლად,  
რომელთა ფინანსური მდგომარეობა არასა-  
ხარბიელოა. ასევე, იურიდიული დახმარების  
სამსახურის მომსახურების გაფართოების  
მოწინააღმდეგეთა არგუმენტს წარმოადგენს  
სახელმწიფო და კერძო იურიდიული სამსა-  
ხურების და იურისტების კონკურენტულ სი-  
ვრცეში გადანაცვლება, რაც შესაძლოა არა-  
ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის წინაპირობა  
გახდეს.

---

„არც რესურსი ეყოფათ და მაშინ ყველა ად-  
ვოკატი უნდა გადავიდეს იურიდიული დახ-  
მარების სამსახურში... სახელმწიფო იღებს  
თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ დაიცვას  
სუსტი მხარე და ეს უნდა იყოს სუსტი მხარის  
დაცვისთვის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის  
წარმომადგენელი]

„ძალიან ფაქიზი დამოკიდებულება უნდა იყოს  
ამ სამსახურის მიმართ, როდესაც კერძო ან  
კომერციული ადვოკატის კონკურენტი ორ-  
განიზაცია ხდება, რაც ძალიან ცუდია და  
ინვესტს ჩარევას სახელმწიფოს ეკონომიკურ  
პოლიტიკაში, რაც ყველა შემთხვევაში ცუდია  
- პროფესიულადაც ცუდია და კონკურენციის  
და ეკონომიკური თვალსაზრისითაც ორმაგად  
უფრო ცუდია.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის  
წარმომადგენელი]

---

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების  
მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობების  
მქონე პირები, ძალადობის მსხვერპლი  
ქალები იმ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ,  
რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების  
წარმომადგენელთა ერთი ნაწილის მოსაზრე-  
ბით, სასურველია სარგებლობდნენ უფასო  
იურიდიული სამსახურის მომსახურებით,  
ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ზე-  
მთ ჩამოთვლილ სამიზნეს ჯგუფებს მეტ-  
ნაკლებად ისედაც ემსახურებიან უფასო იური-  
დიული სერვისის მქონე არასახელმწიფო  
ორგანიზაციები.

საქართველოს მოსახლეობის მოსაზრებები  
დაახლოებით, თანაბრად იყოფა იმასთან  
დაკავშირებით, იურიდიული დახმარების სამ-  
სახურის საყოველთაოობა გამოიწვევს თუ არა  
ოპერატიული და ეფექტიანი მომსახურების  
მიღების გართულებას მათთვის, ვისაც არ აქვს  
ფასიანი მომსახურების მიღების საშუალება  
და შეძლებს თუ არა ის ამდენი კვალიფიციური  
იურისტის მოზიდვას. ამ შემთხვევაშიც, გამო-  
კითხულთა დიდი ნაწილი (40%-ზე მეტი) ვერ  
ახერხებს აზრის გამოთქმას.

მოსაზრებას, რომ იურიდიული დახმარების  
სამსახური უნდა გახდეს საყოველთაო, შედა-  
რებით უფრო მეტად იზიარებენ მამაკაცი (79%),  
ვიდრე ქალი (73%) რესპონდენტები. სხვადასხვა  
ასაკობრივ ჯგუფში, ამ თვალსაზრისით, მოსა-  
ზრებები, პრაქტიკულად, იდენტურია.


**გრაფიკი 44.** არსებობს მოსაზრება, რომ იურიდიული დახმარების სამსახური გახდეს საყოველთაო (არა მხოლოდ სოციალურად დაუცველებისა და გადახდისუნარო მოსახლეობისთვის). გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით.

	დიახ	არა	არ ვიცი / მიჭირს პასუხი
იურიდიული დახმარების სამსახური უნდა გახდეს საყოველთაო, რადგან ის ყველას სჭირდება	76%	7%	18%
იურიდიული დახმარების სამსახური რომც გახდეს საყოველთაო, მას მაინც არ გამოიყენებენ ისინი, ვისაც ფასიანი იურიდიული მომსახურებით სარგებლობის საშუალება აქვს	47%	22%	31%
იურიდიული დახმარების სამსახური არ უნდა გახდეს საყოველთაო, რადგან ეს სახელმწიფოს მხრიდან რესურსების გაუმართლებელი ხარჯვა იქნება	24%	42%	34%
თუ იურიდიული დახმარების სამსახური გახდება საყოველთაო, შესაძლოა ოპერატიული და ეფექტიანი მომსახურება ვეღარ მიიღონ მათ, ვისაც არ აქვს ფასიანი იურიდიული კონსულტაციის მიღების საშუალება	30%	29%	41%
თუ იურიდიული დახმარების სამსახური გახდება საყოველთაო, ის ვერ უზრუნველყოფს ამდენი კვალიფიციური იურისტის მოზიდვას	29%	30%	42%

სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის (მათ შორის, სახაზინო ადვოკატის) მომსახურებით უსარგებლია საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 5%-ს. მათ შორის გვხვდებიან სხვადასხვა ასაკის და სქესის რესპონდენტები. მათ შორის, ვისაც შესაბამისი გამოცდილება არ აქვს, ამის ძირითადი მიზეზია შესაბამისი საჭიროების არქონა (87%). 40%-მა მათგან, ვინც ისარგებლა იურიდიული

დახმარების სამსახურის (მათ შორის, სახაზინო ადვოკატის) დახმარებით, მათი მომსახურების შეფასება ვერ შეძლო, 38%-მა კი მიღებული გამოცდილება უფრო დადებითად შეაფასა, ვიდრე უარყოფითად - მათ შორის, სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება უფრო მეტმა მამაკაცმა (44%) შეაფასა კარგად, ვიდრე ქალმა (33%).

**გრაფიკი 45.** როგორ შეაფასებდით იურიდიული დახმარების სამსახურის (მათ შორის, სახაზინო ადვოკატის) მომსახურებას?



### 3.7 სახალხო დამცველის აპარატი


საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებები საკმაოდ პოზიტიურია, თუმცა მისი ცნობადობა არც თუ ისე მაღალია. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის შესახებ სმენია

გამოკითხულთა 68%-ს. მათი ხვედრითი წილი ბევრად მაღალია თბილისში (80%), ვიდრე სხვა ქალაქებში (68%), თუ სოფლებში (61%). მათგან, ვინც იცის ომბუდსმენის აპარატის შესახებ, 40% თვლის, რომ სახალხო დამცველი ბევრს აკეთებს ადამიანის უფლებების დასაცავად, 1/3 კი ფიქრობს, რომ ის ხშირად მაინც ვერ ახერხებს ადამიანის უფლებების დაცვას (33%). დასახლების ტიპის მიხედვით

დამოკიდებულებები სხვადასხვაგვარია- სოფლად მაცხოვრებელთა ბუსტად ნახევარი ფიქრობს, რომ ომბუდსმენის ოფისი ბევრს აკეთებს ადამიანის უფლებების დასაცავად

ქვეყანაში. შესაბამისი პოზიციის მქონეთა წილი უფრო ნაკლებია სხვადასხვა ქალაქში (38%), თბილისში კი ასე გამოკითხულთა მესამედი (32%) ფიქრობს.

**გრაფიკი 46.** თქვენი აზრით, რამდენად წარმატებით იცავს სახალხო დამცველის ინსტიტუტი ადამიანის უფლებებს საქართველოში?



მოსახლეობასთან ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ დაადასტურა, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მიმართ დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, გამოითქმის აზრი, რომ ის ნაკლებად ეფექტურია, რასაც ძირითადად, მის შეზღუდულ უფლებამოსილებას მიაწერენ, თუმცა მათი ნაწილი აპარატს ნაკლებ ექტიურობაშიც ადანაშაულებს. დისკუსიის მონაწილეთა მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ ომბუდსმენის აპარატი აკეთებს მაქსიმუმს საკუთარი მანდატის ფარგლებში. ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციას პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში მისი სააშკარაოზე გამოტანა წარმოადგენს, პრობლემის გადაჭრას, კი უკვე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივად თვლიან.

თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი ომბუდსმენის აპარატს ცალსახად მაღალ შეფასებას აძლევენ. მათი აზრით, საქართვე-

ლოს სახალხო დამცველის აპარატი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გარდა ამისა, ომბუდსმენის ოფისის ერთ-ერთ პრივილეგიას წარმოადგენს როგორც დახურულ სისტემებზე, ისე სხვადასხვა ტიპის საქმეებზე წვდომა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორისთვის. სახალხო დამცველის აპარატს მიაწერენ საკმაოდ მაღალ ავტორიტეტსაც სახელმწიფო სტრუქტურებში. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა არც თუ სახარბიელოა ბავშვთა უფლებების დაცვის ნაწილში და აღნიშნული ჯერ კიდევ წარმოადგენს აპარატისთვის სერიოზულ გამოწვევას.

*„სახელმწიფო ორგანოების, სხვადასხვა დაწესებულების კონტროლის თვალსაზრისით (ომბუდსმენის ოფისი) ძალიან მნიშვნელოვანია. მე იმასაც გეტყვით, რომ სამოქალაქო საქმეებზეც მნიშვნელოვანია, დამცველს აქვს*

დამთავრებული საქმის გაცნობის უფლებაც და შესაძლებელია მასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გააკეთოს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოქალაქის უფლებების დასაცავად და მიაღწიოს, მაგრამ რა თქმა უნდა, დამცველი საბოლოო დავას ვერ გადაწყვეტს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

„სახალხო დამცველი არის ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის, საჯარო დაწესებულებათა შორის, რომელსაც დღემდე შემორჩა გარკვეული ავტორიტეტი ყველა ორგანოსთან. ამიტომ, მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და გამოსადეგი ნებისმიერი მხარისთვის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

„ბავშვების თემა არის ის თემა, რომელიც ჩემი აზრით, საერთოდ ვერ მუშაობს, ეს არის სტაგნაცია ძალიან სერიოზული, პირდაპირ ვეუბნებით, ეს არ არის დაფარული, სრულიად ჩავარდნილი სფეროა ომბუდსმენის ნაწილში, ამ ნაწილში გამოწვევა აქვთ.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

იმ რესპონდენტების ნახევარმა, რომლებსაც სმენიან სახალხო დამცველის აპარატის შესახებ, იცის, რომ ორგანიზაციას აქვს ოფისები სხვადასხვა ქალაქში (48%). რესპონდენტების 31%-მა იცის ისიც, რომ მათი მომსახურება უფასოა, მათ ნახევარს კი უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, მოუწევთ თუ არა ფულის გადახდა, თუ ომბუდსმენის ოფისს მიმართავენ (53%).

სხვადასხვა დებულებით სახალხო დამცველის აპარატის შეფასებებმა უჩვენა, რომ აღნიშნული ინსტიტუციის უფრო სჯერათ და მის მიმართ კეთილგანწყობა მეტია სოფლებში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, თბილისში გამოკითხულები კი ზომიერი პოზიციებით გამოირჩევიან.

მთლიანობაში, იმ რესპონდენტების 2/3, ვინც იცის სახალხო დამცველის ოფისის შესახებ, მას ეფექტიან საშუალებას უწოდებს ადამიანის უფლებების დასაცავად (67%), მათი

ნახევარი კი დარწმუნებულია, რომ სახალხო დამცველის გარეშე, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მდგომარეობა უფრო მძიმე იქნებოდა (50%). თუმცა, 46% ამბობს იმასაც, რომ ომბუდსმენი იძლევა მხოლოდ რეკომენდაციებს და რეალური ბერკეტები არ გააჩნია. თუ თბილისში ომბუდსმენის ოფისს ეფექტიან საშუალებას უწოდებს 57%, სხვა ქალაქებში მათი რაოდენობა 67%-ს, სოფლებში კი - 76%-ს აღწევს. იმაში, რომ სახალხო დამცველის ოფისის გარეშე ვითარება უფრო სავალალო იქნებოდა, სოფლად 55%-ია დარწმუნებული, სხვადასხვა ქალაქში 52%, თბილისში კი მათი რიცხვი 43%-ს არ აღემატება.

ომბუდსმენის აპარატს უფლებების დასაცავად ეფექტიან საშუალებად ყველაზე მეტად თვლიან 18-24 წლის გამოკითხულები, მოსაზრებას იმის თაობაზე კი, რომ აღნიშნული ორგანიზაცია აუმჯობესებს ფონს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, თანაბრად იზიარებენ ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

იმ გამოკითხულთა ნახევარი, ვისაც სმენია ომბუდსმენის აპარატის შესახებ, თვლის, რომ სახალხო დამცველის აპარატი, ძირითადად, გახმაურებული საქმეებით ინტერესდება (53%), თუმცა ამავედროულად, ყოველი 6 რესპონდენტი 10 აღნიშნულ კატეგორიაში გამოკითხულიდან სახალხო დამცველს აღიქვამს, როგორც თავისი და თავისნაირი მოქალაქეების დამცველს (58%). ამასთან, ყოველი მესამე მათგან ეთანხმება რამდენადმე აგრესიულ დებულებას, რომ სახალხო დამცველი, ძირითადად, სხვადასხვა სახის უცირვრობებს და არა უმრავლესობას იცავს (34%). ამ უკანასკნელ მოსაზრებას უფრო აქტიურად იზიარებენ 55-64 (41%) და 45-54 (38%) წლის ასაკობრივ კატეგორიაში გამოკითხული რესპონდენტები.

იმ რესპონდენტებს შორის, ვინც იცის ომბუდსმენის აპარატის შესახებ, სახალხო დამცველს საკუთარი და თავისნაირი ადამიანების უფლებების დამცველად ბევრად მაღალი წილი აღიქვამს სოფლად (66%), ვიდრე სხვადასხვა ქალაქში (57%) და თბილისში (49%).



**გრაფიკი 47.** ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოცემულ დებულებებს?

	დიახ	არა	არ ვიცი / მიჭირს პასუხი
სახალხო დამცველის აპარატი ეფექტიანი საშუალებაა ადამიანის უფლებების დასაცავად	67%	17%	16%
სახალხო დამცველის აპარატი იძლევა მხოლოდ რეკომენდაციებს, რეალურად კი ადამიანის უფლებებს ვერ იცავს	46%	31%	24%
სახალხო დამცველის აპარატი განიცდის ზეგავლენას ხელისუფლებისგან	33%	27%	39%
სახალხო დამცველის აპარატი, ძირითადად, ინტერესდება, გახმაურებული საქმეებით	53%	19%	28%
სახალხო დამცველის აპარატის მომსახურება ფასიანია	16%	31%	53%
სახალხო დამცველი, ძირითადად, სხვადასხვა სახის უმცირესობებს და არა უმრავლესობას იცავს	34%	27%	39%
სახალხო დამცველი ჩემი და ჩემნაირი მოქალაქეების დამცველია	58%	17%	25%
რომ არა სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ბევრად სავალალო მდგომარეობა იქნებოდა	50%	15%	35%
სახალხო დამცველის აპარატს აქვს ოფისები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში	48%	5%	47%

მოქალაქეების გარდა, თავად ადამიანის უფლებათა დაცვის თემებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვისაც, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ კომფორტულ და ხელმისაწვდომ წყაროს სწორედ სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ისეთ დახურულ დაწესებულებებს, როგორც, მაგალითად, პენიტენციური სისტემა.

მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ის საკმაოდ ეფექტურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, გენდერული ძალადობის მსხვეპლთა, პროკურატურასთან ან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამა თუ იმ დავაში მყოფ პირთა, ასევე ბავშვთა უფლებების დასაცავად (გარკვეული ხარვეზების მიუხედავად).

*„ინდივიდუალური მოქალაქეების გარდა, ჩვენც, უფლებადამცველი ორგანიზაციებიც ხშირად ვიყენებთ სახალხო დამცველთან კომუნიკაციის რესურსს იმისთვის, რომ დახურული ტიპის ინსტიტუციებში უფლებების მდგომარეობის შესწავლა მოხდეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან დატვირთულები არიან.“  
[არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„ჩვენ ხშირად გადავვიმისამართებთ სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეები. ძირითადად, რაც ჩვენ ვიცით, არის საპატიმროდან მოსული წერილები, სადაც მათი განცხადებით არასათანადო მოპყრობის ფაქტები ფიქსირდება. ამას ჩვენ ვუგზავნით სახალხო დამცველს და ისინი სწავლობენ შემდეგ ამ საქმეებს.“  
[არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*


თუ ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილე რესპონდენტებისთვის ომბუდსმენის აპარატი, ძირითადად, სასჯელსრულების დაწესებულებაში მყოფ და სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების დაცვასთან ასოცირდება, ადამიანთა უფლებების დაცვაზე

იმ რესპონდენტებს შორის, რომლებსაც სმენიანთ ომბუდსმენის აპარატის შესახებ, მისი შეფასებები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორებიც არის გულისხმიერება, სამართლიანობა, კვალიფიციურობა, მომსახურების სისწრაფე და სხვა, საშუალოაზე

მაღალია, რაც რამდენადმე ადასტურებს უწყების მიმართ მეტ კეთილგანწყობას, ვიდრე არაკეთილგანწყობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც, 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულ კვლევასთან შედარე-

ბამ უჩვენა, რომ პარამეტრების მიხედვით შეფასებები ამჟამად არა მხოლოდ კლების ტენდენციას ამჟღავნებს, არამედ უფრო მეტად ერთგვაროვანიც არის. 2012 წელს შეფასებები მერყეობდა 4.3-5.3 ქულის დიაპაზონში.


**გრაფიკი 48.** სახალხო დამცველის აპარატის შეფასება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (საშუალო ქულა 6 ქულიან სკალაზე).



ისევე, როგორც სხვა ინსტიტუციების შემთხვევაშიც, სახალხო დამცველის ოფისზე ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს 10-დან 9-სთვის იმ გამოკითხულებიდან, ვისაც სმენია ომბუდსმენის აპარატის შესახებ, ტელევიზია წარმოადგენს (90%), რომელსაც ასახელებს მით უფრო მეტი რესპონდენტი, რაც უფრო იზრდება მათი ასაკი. 2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებული კვლევაც ანალოგიურ ტენდენციას უჩვენებს, სადაც გამოკითხულთა 89%-სთვის ტელევიზია

ასევე უალტერნატივო წყაროს წარმოადგენდა. თავად ომბუდსმენის აპარატის მიმართ დამოკიდებულებას კი, ძირითადად, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა (41%) და მედიით გავრცელებული ინფორმაცია (30%) განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისითაც, 2012 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, ცვლილებები, პრაქტიკულად, არ შეინიშნება (ომბუდსმენის აპარატის საქმიანობა - 46%, მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია - 28%).


**გრაფიკი 49.** ძირითადად, რა განსაზღვრავს თქვენს დამოკიდებულებას სახალხო დამცველის აპარატის მიმართ?



მთლიანობაში, სახალხო დამცველის აპარატს ნდობას უცხადებს იმ გამოკითხულების დიდი უმრავლესობა, ვისაც სმენია მის შესახებ - 75% (უფრო ვენდობი - 64%, სრულიად ვენდობი - 11%). მათ შორის, აპარატს, 9%-11%-ით მეტად ენდობიან სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, ვიდრე თბილისში. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში კი ნდობა აღნიშნული ინსტიტუციის მიმართ თანაბრად მაღალია. ნდობას ომბუდსმენის აპარატის მიმართ ამტკიცებს ისიც,

რომ მათგან, ვინც იცის მისი საქმიანობის შესახებ, 3/4 მზად არის, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სახალხო დამცველს (73%). დასახლების ტიპის და ასაკის მიხედვით ტენდენციები, დაახლოებით, იმეორებს ნდობისას გამოვლენილ ტენდენციას. 2012 წელს გაეროს განვითარების ფონდისთვის ჩატარებულმა კვლევამ ასევე უჩვენა მსგავსი ტენდენცია სახალხო დამცველის ოფისისადმი მიმართვის მზაობასთან დაკავშირებით.

**გრაფიკი 50.** მთლიანობაში, ენდობით თუ არა სახალხო დამცველის აპარატს?



კვლევის დასკვნები

მათგან, ვისაც სმენია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შესახებ, 80%-მა იცის ისიც, რომ ომბუდსმენი უნა ნანუაშვილია. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის ვინაობის შესახებ ინ-

ფორმაციას ყველაზე ნაკლებად 18-24 წლის გამოკითხულები ფლობენ - ამის შესახებ იცის მათმა 66%-მა მაშინ, როდესაც ყველა სხვა ჯგუფში შესაბამისი მაჩვენებელი 76%-დან 85%-მდე მერყეობს.

**გრაფიკი 51.** გთხოვთ, დაასახელოთ, ვინ არის საქართველოს სახალხო დამცველი.

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
უნა ნანუაშვილი	66%	76%	80%	85%	84%	82%	80%
სხვა	3%	1%	3%	2%	3%	1%	3%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	21%	17%	17%	18%	21%	17%	17%

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სახალხო დამცველის ოფისთან რაიმე ტიპის შეხება ჰქონია საქართველოს მოსახლეობის 9%-ს, რომელთა უმრავლესობა (72%) შესაბამისი გამოცდილებით კმაყოფილია.

გადოებასთან კომუნიკაციის დეფიციტით ხსნის და სურვილს გამოთქვამს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ცნობადობა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა საზოგადოების ფართო მასებისთვის მეტად თვალსაჩინო იყოს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის დადებითი რეზონანსი მოჰყვა სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ამოქმედებას. კვლევის მონაწილეთა აღქმით, აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა სახალხო დამცველის აპარატის მიმართ მიმართვიანობის მატება. შესაძლოა, სწორედ ცხელი ხაზის ამოქმედებას მიეწეროს ის, რომ კვლევის მონაწილე რესპონდენტებიდან ყოველი მეათე (9%) აპარატისადმი მიმართვის გამოცდილებაზე საუბრობს.

*„უფრო კარგი იქნებოდა, თუ მათი უბრალოდ პიარი ანუ საზოგადოებაში ცნობადობა გაიზრდებოდა და ნდობაზე იქნებოდა მეტი მუშაობა იმიტომ, რომ მართლა ძალიან ბევრს მუშაობენ და კარგი იქნება, რომ მოსახლეობამ იცოდეს ამის შესახებ.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„ძალიან კარგია, რომ შეიქმნა სახალხო დამცველის ცხელი ხაზი. ანუ ნახავდით, სამარშრუტო ტაქსებშიც არის გამოკრული, ყველას შეუძლია დარეკვა.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

თუმცა, როგორ ზემოთ აღინიშნა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილეთა შეფასებები ომბუდსმენის აპარატის საქმიანობის მიმართ რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისგან. ამ მოცემულობას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილი აპარატის საზო-

### 3.8 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

#### 3.8.1. პერსონალური მონაცემების აღქმა და მათთან დაკავშირებული რეგულაციები


ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ დამოუკიდებლად, რაიმე მინიშნების გარეშე, საქართველოს მოსახლეობისთვის პერსონალური მონაცემები ყველაზე მეტად სახელთან და გვართან (60%) და პირად ნომერთან (51%) ასოცირდება, 37%-37%-ს კი საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონის ნომერი ახსენდება.

15% პერსონალურ მონაცემში მოიაზრებს საბანკო ანგარიშის ნომერსაც, ყველაფერი დანარჩენის დასახელების სიხშირე კი 6% ან მასზე დაბალია.

გარკვეული ჩამონათვალის შეთავაზების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პირადი ნომერი (80%),

სახელი და გვარი (76%), ტელეფონის ნომერი (64%), საცხოვრებელი მისამართი (62%) ისევ ლიდერობს და მათ შედარებით მაღალი მაჩვენებლით დამატა საბანკო ანგარიშის ნომერი (38%) და სატელეფონო საუბრის შინაარსი (25%), რომელიც დამოუკიდებლად მხოლოდ 7%-მა დაასახელა.

**გრაფიკი 52.** როდესაც საუბრობენ მოქალაქის პერსონალურ მონაცემებზე, რა გახსენდებათ? (დამოუკიდებლად). ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლებს თვლით პერსონალურ მონაცემად მოქალაქის შესახებ? (ჩამონათვალის ნახვის შემდეგ)



ჩამონათვალის შეთავაზებისას კითხვაზე პასუხი არ აქვთ ან მასზე პასუხის გაცემა უჭირს რესპონდენტთა 24%-ს. მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის შემთხვევაში ამ პასუხს გამოკითხულთა 33% იძლევა, თბილისსა და სხვა ქალაქებში ამავე პასუხს, შესაბამისად 12% და 23% აფიქსირებს. ასევე საინტერესოა ამ პასუხის განაწილება ასაკის ქრილში - 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტებში პასუხი „არ ვიცი/მიჭირს პასუხი“ თითქმის მესამედს, 30% შეადგენს. ამ ქრილში დანახული მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოქალაქის პერსონალური მონაცემების მიმართ ინფორმაციის ნაკლებობაა სოფლის მოსახლეობასა და 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა შორის.

კითხვაზე, თუ რამდენად დაცულია მოქალაქის პერსონალური მონაცემები უკანონოდ მოპოვების, შენახვისა თუ გასაჯაროებისაგან,

უმრავლესობა სამივე კომპონენტში სკეპტიკურ დამოკიდებულებას ავლენს, თუმცა აშკარაა სხვაობა თბილისი-ქალაქი-სოფლის ქრილში. თბილისში პერსონალურ მონაცემებს მოპოვებისგან, შენახვისგან და გასაჯაროებისგან დაუცველად თვლის მოსახლეობის 63%-64%, სხვადასხვა ქალაქში ამ მოსაზრებას იზიარებს 44%-45%, ხოლო ყველაზე ნაკლებად კრიტიკული კი სოფლის მოსახლეობაა, სადაც იგივე მაჩვენებელი 38%-39%-ს შეადგენს. შესაბამისად, სოფლებში დაახლოებით, თანაბრად ფიქრობენ, რომ პერსონალური მონაცემები მოპოვების, შენახვისა და გასაჯაროებისგან დაცული ან დაუცველია, განსხვავებით თბილისისა და სხვა ქალაქებისგან, სადაც დიდწილად ჰგონიათ, რომ ისინი დაუცველია. ყოველი 10 გამოკითხულიდან 8-ს ეჭვი არ ეპარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვნებაში (81%). მას უმნიშვნელოს უწოდებს გამოკითხულთა მხოლოდ 5%.


**გრაფიკი 53.** თქვენი აზრით, რამდენად დაკულია მოქალაქეების პერსონალურ მონაცემები უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გასაჯაროებისგან?

რამდენად დაკულია პერსონალური მონაცემები:	მოპოვებისგან			შენახვისგან			გასაჯაროებისგან		
	დაკულია	დაუსცველია	არციცი/მიჭირს პასუხი	დაკულია	დაუსცველია	არციცი/მიჭირს პასუხი	დაკულია	დაუსცველია	არციცი/მიჭირს პასუხი
თბილისი	26%	63%	11%	25%	63%	12%	25%	64%	12%
ქალაქი	33%	45%	22%	32%	44%	24%	32%	44%	24%
სოფელი	37%	38%	25%	36%	38%	26%	36%	39%	26%
ჯამური	33%	48%	20%	32%	47%	21%	31%	48%	21%

საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს (44%) არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი იმასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების, შენახვის ან გავრცელების თვალსაზრისით მეტი საფრთხეა საჯარო, თუ კერძო სექტორში. პასუხის გაცემა უფრო მეტად უჭირთ სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში (50%-54%), ვიდრე თბილისში

(25%). გამოკითხულებს შორის, ვინც მოცემულ კითხვას პასუხობს, 3-4-ჯერ მეტია მათი ხვედრითი წილი, ვინც ფიქრობს, რომ ეს საშიშროება თანაბრად არსებობს როგორც საჯარო, ისევე კერძო სექტორში (37%), ვიდრე მათი, ვინც ამ საშიშროებას ხედავს მხოლოდ რომელიმე მათგანში (შესაბამისად, 11% და 8%).

**გრაფიკი 54.** პირადად თქვენ, სად უფრო მეტ საფრთხეს ხედავთ პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების, შენახვის და გასაჯაროების თვალსაზრისით?




კითხვაზე თუ რომელ სფეროშია ყველაზე დიდი საფრთხე პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ შეგროვების, შენახვის და გასაჯაროების მხრივ, პირველ ოთხ ადგილს ინა-

წილებენ: ძალოვანი სტრუქტურები (24%), საფინანსო-საბანკო სექტორი (17%), ინტერნეტ სივრცე - ფეისბუქი, ონლაინ შოპინგი და სხვა (12%) და სატელეკომუნიკაციო კომპა-

ნიები (10%). როგორც თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, სატელეკომუნიკაციო კომპანიების დასახელებისას რესპონდენტებს მხედველობაში აქვთ როგორც საუბრის მოსმენის საფრთხე, ისე არასასურველი სარეკლამო სმს-ები. შესაბამისი სტრუქტურების დასა-

ხელების ტენდენცია მსგავსია დასახლების ტიპის მიუხედავად. მონაცემების ასაკობრივმა გაანალიზებამ კი უჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს ინტერნეტ სივრცეში პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საფრთხის აღქმა (16%-დან 6%-მდე).

**გრაფიკი 55.** პირადად თქვენ, რომელ სექტორში / სფეროში ხედავთ მეტ საფრთხეს პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების, შენახვის და გასაჯაროების თვალსაზრისით?



თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, რომ სექტორებს შორის, სადაც ყველაზე მეტად არის პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების, შენახვის და გასაჯაროების საშიშროება, ტენდენციის სახით, საჯარო სექტორიდან ყველაზე აქტიურად ასახელებენ საბანკო-საფინანსო სექტორს და ჯანდაცვის დაწესებულებებს, კერძო სტრუქტურებიდან და არასამთავრობოებიდან კი - ძირითადად, ძალოვან უწყებებს და, ნაწილობრივ, ინფორმაციას ჯანდაცვაზე და საბანკო-საფინანსო სფეროში. საგულისხმოა, რომ საჯარო უწყებებში გამოკითხულები აღნიშნულ საფრთხეს მეტად ხედავენ კერძო უწყებებში, ამბობენ რა, რომ მათ შეიძლება ბოლომდე „ვერ წვდებოდეს“ სახელმწიფო რეგულირება, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნესის წარმომადგენლები კი იმ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ სახელმწიფოს ბევრად მეტი ბერკეტი აქვს პერსონალური ინფორმაციის შესაგროვებლად და მისით მანიპულირებისთვის, თუმცა, ამ მხრივ, არც კერძო სექტორს გამორიცხავენ. ამბობენ იმასაც, რომ ამ უკანასკნელზე პასუხისმგებლობა მხოლოდ კერძო კომპანიებს არ ეკისრებათ, რადგან მოქალაქეებიც ზოგჯერ ნებისთინ, ზოგჯერ კი უნებლიედ თანხმდებიან მათ მიერ შემოთავაზებულ პირობებს, რითაც სახელმწიფოსაც უზღუდავენ მათი პერსონალური მონაცემების დაცვის ბერკეტებს.

„...მე მაქვს საუბარი ჩემი სამსახურის გადმოსახედიდან გამომდინარე. პერსონალური მონაცემების დაცვა არ არის პრობლემა იმ საჯარო სამსახურებში, რომლებშიც მუშაობენ კომპეტენტური ადამიანები. მაგრამ მერწმუნეთ, რომ ხშირად დარღვევა ხდება კერძო სექტორის მხრიდან და არა საჯარო დაწესებულებების მხრიდან, ეს არის მნიშვნელოვანი. კიდევ ხაზს გავუსვამ, რომ როდესაც ორგანიზაციას პერსონალური მონაცემები აქვს პირის, მას სახელმწიფო ველარ იცავს. შემდგომში რაღაც ბერკეტი კი ექნება, მაგრამ გამხელისგან ველარ იცავს.“ [ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]

„ჯანდაცვის სამინისტრო ინფორმაციის შენახვის კუთხით არის სრული კატასტროფა, დიაგნოზებიდან დაწყებული, არ ვიცი რითი დამთავრებული. ერთ-ერთ ადამიანს, მოხუც ქალს

სჭირდებოდა ინდივიდუალური დახმარება და მივმართე (სამინისტროს). მხოლოდ სახელი, გვარი, მისამართი, რაც მე ამ ქალმა მომცა და შეტყობინება გავაკეთე წერილობითი. პასუხი მომივიდა, რომელიც ასე იწყებოდა: ამ ქალის სახელი, გვარი, დიაგნოზი, ცხოვრობს აქ, არის ძალადობის მსხვერპლი და დავიწყებთ საქმის შესწავლას. ანუ ინფორმაცია, რომელიც ჩემთვის საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი და ყოველგვარი რწმუნების, ყველაფრის გარეშე ხელით დამიდეს ამ ადამიანზე.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

„სამწუხაროდ, მე ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე მოგახსენებთ. ახლა, ამ წუთში, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით დაცულ სეგმენტს წარმოადგენს საბანკო სექტორი, მე მინახავს საკუთარი თვალით, სხვა ადამიანების მათ ანგარიშებზე გადარიცხვა-გადმორიცხვების შესახებ მშვენიერი ამონაწერები უჭირავთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სამართლებრივი „მტრობა“ აქვთ სუბიექტთან.“ [ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]

„რა თქმა უნდა, ეს არის სამართალდამცავი სისტემები, სადაც ვფიქრობ, რომ ყველაზე სახიფათოც არის და ყველაზე დიდი რაოდენობითაც ხდება პერსონალური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, შენახვა. ვფიქრობ, ჯანდაცვის ან სამედიცინო სერვისების მიმართულებით არის გადასადგმელი ნაბიჯები, რომ უფრო მოწესრიგებულად ხდებოდეს პერსონალური მონაცემების დამუშავება და შეიძლება ეს იყოს საბანკო სექტორი.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

მოსახლეობისთვის პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ შეგროვებას, შენახვასა და გასაჯაროებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი ზიანი გამოკითხულთათვის დაკავშირებულია მორალურ ზიანთან (27%) და პირადი ცხოვრებით დაშანტაჟებასთან (26%), ყოველ მეხუთეს კი ეშინია, რომ ამ შემთხვევაში, საფრთხე ემუქრება მის ფინანსურ რესურსს (20%). ტენდენციის სახით, დასახელებული შესაძლო ზიანი უფრო მკაფიოდ არის აღქმული თბილისში, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში.



ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 2/3 მოითხოვს, სახელმწიფომ პატივი სცეს მათ პერსონალურ მონაცემს და არ დაარღვიოს მათი შეგროვების, შენახვისა და გასაჯაროების პირობები, თუნდაც უსაფრთხოების დაცვის მოტივით (65%). განსაკუთრებით რადიკალური თბილისის მოსახლეობაა, სადაც ყოველი 4 გა-

მოკითხულიდან 3 სწორედ ასე ფიქრობს (75%). შესაბამისი მაჩვენებელი 58%-ს შეადგენს სხვა ქალაქებისა და 63%-ს სოფლების შემთხვევაში. უსაფრთხოების მოტივით პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას და გასაჯაროებას დასაშვებად ყოველი 10 გამოკითხულიდან მხოლოდ 1 მიიჩნევს (10%).

**გრაფიკი 56.** რომელს ეთანხმებით ქვემოთ მოცემული მოსაზრებებიდან?

	მირჩევნია ვიყო უსაფრთხოდ, თუნდაც ამისთვის სახელმწიფოს ჩემს შესახებ პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გასაჯაროება დასჭირდეს	სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ჩემს პერსონალურ მონაცემს და არ უნდა დაარღვიოს მათი შეგროვების, შენახვის და გასაჯაროების კანონიერი პირობები, თუნდაც უსაფრთხოების დაცვის მოტივით	არ ვიცი/ მიჭირს პასუხი
თბილისი	7%	75%	18%
ქალაქი	12%	58%	30%
სოფელი	11%	63%	26%
ჭამური	10%	65%	25%

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულები, რომლებიც პერსონალური მონაცემების შეგროვების შენახვისა და გასაჯაროების პრობლემებზე ძალოვან უწყებებში საუბრობენ, მუდმივად ახსენებენ მიყურადების და ფარული ჩანაწერების თემას, ასევე ეჭვმიტანილთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარების შემთხვევებს მედიასთან მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დადგენილი არ არის. განსაკუთრებით ეს არასამთავრობო ორგანიზაციებზე ითქმის, რომლებსაც პროფესიულად მეტი შეხება აქვთ საკითხთან. ზოგიერთმა გამოკითხულმა განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების უკანონო გასაჯაროება შეიძლება იყოს არა მიზანმიმართული, არამედ თანამშრომლების არაკომპეტენტურობით გამოწვეული, ძირითადად, კერძო სტრუქტურებში მაშინ, როდესაც ძალოვან უწყებებს, ხშირად, პირდაპირ მიანწერენ უსაფრთხოების მოტივით რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვებას, რაც შემდეგ შეიძლება კონკრეტულ პირებზე ზეგავლენის ბერკეტად იქცეს. სხვა საჯარო უწყებებთან დაკავშირებით გაიხსენეს შემთხვევები სასამართლოშიც კი, როდესაც მოხდა გადაწყვეტილების გასაჯაროება სათანადო „დაშტრიხვის“ გარეშე (რასაც მიუღებლად თვლიან) ან როდესაც მოსამართლემ პროცესზე გაასაჯაროვა პირის

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია. ახსენეს შესაბამისი შემთხვევა ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროშიც, სადაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, სხვადასხვა პირების სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა შეიძლება ხდებოდეს სხვა თანამშრომლების თანდასწრებით.

*„სამართალდამცავი ორგანოები მუდმივად უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე იმაზე აპელირებენ, რომ რაც შეიძლება მეტი პერსონალური მონაცემი უნდა მოიპოვონ, ამიტომ ამ ნაწილში არ ვფიქრობ, რომ მშვიდად უნდა ვიყოთ. პირიქით, ძალიან ბევრი გამოწვევა არსებობს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

*„კერძო სექტორს არ უნდა ჰქონდეს ამის (ინფორმაციის გასაჯაროების) ინტერესი. ვერც ექნება იმიტომ, რომ თუ მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა, პირდაპირი დარტყმაა კერძო კომპანიის იმიჯზე. მით უმეტეს, ბანკის მთავარი აქტივი რეპუტაციაა და თუ ამას რამე დაემუქრა და რამე შეეხო... ამას არავინ გააკეთებს.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

თავად სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს იმდენად, რამდენადაც ეს მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გასაწევად არის საჭირო. შესაბამისი მონაცემების გარეშე შეუძლებელია სათანადო გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სხვადასხვა ერთეულებში, პროკურატურაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გამოკითხულმა საჯარო მოხელეებმა განმარტეს, რომ დასახელებული ინფორმაცია გროვდება მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე, მესამე მხარისთვის კი მისი გადაცემა არ ხდება, თუ არ არსებობს ამ უკანასკნელის თანხმობა. პროკურატურა აგროვებს პერსონალურ მონაცემს გამოძიების პროცესში. შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა დახმარება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, სხვა), გამუდმებით უწევს ინფორმაციის გაცვლა სამოქალაქო რეესტრთან, შინაგანსაქმეთა სამინისტროსთან, საჯარო რეესტრთან და სხვა, თუმცა ისევ და ისევ, მომსახურების გაწევის მიზნით. საჯარო მოხელეების აზრით, შესაძლოა, ერთეული მოქალაქეები გამოხატავდნენ უკმაყოფილებას პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით, თუმცა ამას არ აქვს მასობრივი ხასიათი. ამასთან, პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმირებულობის დონე იზრდება და თავად საჯარო სექტორის წარმომადგენლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება ფრთხილად მოეკიდონ აღნიშნულ ინფორმაციას. სასამართლოს შემთხვევაშიც, აღინიშნა, რომ გადაწყვეტილებები, ძირითადად „იშტრიხება“, 2017 წლიდან კი ამოქმედდება სპეციალური პროგრამა, რომელიც ავტომატურად დაშტრიხავს ყველა გადაწყვეტილებას.

*„ჩვენ გვჭირდება ძალიან დიდი შრომა, რადგან თუ რამე მონაცემი არსებობს ჯანდაცვასთან დაკავშირებით, ჩვენ ვამუშავებთ. ასევე სოციალური სააგენტოს ბაზებთან გვაქვს ლეგიტიმური წვდომა. რეალურად მათ შესახებ*

*ინფორმაციას ავტომატურად ვცვლით ერთმანეთში, ეს შეიძლება ასევე იყოს იუსტიციის სახლის, სამოქალაქო რეესტრის ბაზები დაბადების და გარდაცვალების დასადაგენად... ჩვენ ვცვლით ინფორმაციას ასევე სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და საფინანსო უწყებებთან შემოსავლების კუთხით ვთანამშრომლობთ, პენსიებისთვის, სოციალური დახმარების რეგისტრირებისთვის. თუ კი რაიმე ტიპის ინფორმაციაა, ყველა ბაზასთან ლეგიტიმური წვდომა გვაქვს და ვამუშავებთ სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შეთავაზების მიზნით.“*  
[საჯარო უწყების წარმომადგენელი]

*„გადაწყვეტილებები რომ ავიღოთ, ჩვენთან ყველანაირი (სასამართლო) გადაწყვეტილება დაშტრიხული სახით გაიცემა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარე არ ხარ. .... ამ წლიდან პროგრამა ავტომატურად დაშტრიხავს ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც გამოსაქვეყნებლად გავა საიტზე. როცა ეს პროგრამა გამოქვეყნდება, ინფორმაცია ისე იქნება დაშტრიხული, რომ ნებისმიერი პირადი, პერსონალური მონაცემი, ძირითადად, სახელი, გვარი, პირადი ნომერი იგულისხმება ან სხვა პერსონალური მონაცემი, რომელიც კანონითაა განსაზღვრული, დაიშტრიხება ისე, რომ ფართო მასებისთვის ეს ხელმისაწვდომი არ იყოს.“*  
[საჯარო უწყების წარმომადგენელი]

პროკურატურასთან დაკავშირებით გამოკითხულებმა განმარტეს, რომ მას ორი ტიპის ინფორმაციის შეგროვება/შენახვა უწევს - პირველი ეს არის ინფორმაცია ზოგადი სტატისტიკისთვის, ანალიტიკური მიზნებისთვის (რამდენ ადამიანზე დაიწყო დევნა, რამდენის მიმართ გამოიყენეს აღმკვეთი ღონისძიება, რამდენი ადამიანის მიმართ დადგა განაჩენი, სხვა). დასახელებული მონაცემი დაცლილია პერსონალური ინფორმაციისგან, რადგან ეს საერთო სტატისტიკისთვის უმნიშვნელოა. მეორე ტიპის - იდენტიფიცირებული ინფორმაციის დიდი ნაწილი გროვდება გამომძიებელთან. ინფორმაცია მას გამოძიების წარმოებისთვის სჭირდება, თუმცა შესაძლოა, გარკვეული ტიპის ინფორმაციის შეგროვების მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით იყოს აზრთა სხვადასხვაობა - მოსამართლე ფიქრობდეს, რომ მოთხოვნილი პერსონალური ინფორმაციის ნაწილი - მაგალითად, ოჯახის

წევრებზე - ზედმეტია და ამდენს საქმე არ საჭიროებს, პროკურატურა კი დარწმუნებული იყოს შესაბამისი მონაცემების შეგროვების აუცილებლობაში.

---

„სასამართლო აპროტესტებს ხანდახან, რატომ მოგაქვთ ოჯახის წევრების მონაცემები და ქონების შესახებ ცნობები, როდესაც მე აღმკვეთი უნდა შევუფარდო ამ პირს და მე ეს არაფერში მჭირდებაო. ესეც ალბათ სამსჯელო თემაა და დასახვეწია, რამდენად უნდა შეაგროვოს გამომძიებელმა ეს ინფორმაცია არა მხოლოდ ამ პირზე, არამედ ოჯახზე, თუმცა რთული გასამიჯნია იმიტომ, რომ პრაქტიკაშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც მე ჩემს სახელზე არაფერი მაქვს, მაგრამ იმიტომ არ მაქვს, რომ ეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება სხვაზე მაქვს გადაფორმებული. პრაქტიკაში, როდესაც ეს სისხლის სამართლის საქმეს ეხება, ცოტა რთულია ზღვარის გავლება.“ [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

---

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემას საჯარო დაწესებულებებიდან (რასაც მათი წარმომადგენლების თქმით, ძირითადად, არასამთავრობო სექტორი ითხოვს), მათმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჯარო დაწესებულებები „შტრიხავენ“ პერსონალურ ინფორმაციას, თუ ის ხვდებათ საჯარო დოკუმენტებში და ისე აწვდიან მათ ან თუ პირის თანხმობა არსებობს, შესაძლოა პერსონალური მონაცემითაც გაუზიარონ მესამე პირს/უწყებას. თუმცა, კვლევამ უჩვენა, რომ ზოგჯერ აღნიშნულ უწყებებს უჭირთ იმის განსაზღვრა, როდესაც საქმე საჯარო მოხელეს ეხება, სად მთავრდება საჯარო ინფორმაცია და სად იწყება მის შესახებ პერსონალური მონაცემები. საზოგადოდ, კვლევამ გამოავლინა საჯარო დაწესებულებების (განსაკუთრებით, ადგილობრივი თვითმმართველობების) ერთგვარი უკმაყოფილება არსამთავრობოებით, რომლებიც მუდმივად ითხოვენ რაღაც ტიპის საჯარო ინფორმაციას.

---

„თუ რაიმე საჯარო ინფორმაციას ითხოვენ შესაბამისი უწყებები ან პირები, აქ უშუალოდ დოკუმენტაციის გაცემის შემთხვევაში გადის მკაცრ ფილტრს კონკრეტული დოკუმენტი, სადაც შესაძლებელია იყოს პიროვნების პერსონალური მონაცემი. ეს იშტრიხება, როგორც წესი და გადის ისე დოკუმენტი, რომ პიროვნების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდეს ან მეორე შემთხვევაში, თუ პიროვნების თანხმობა გააჩნია სუბიექტს, რომელმაც მოგვართა რაიმე ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, თუ პერსონალურ მონაცემებს შეიცავს და არის პირის თანხმობა, ჩვენ გაცვამთ საჯარო ინფორმაციას.“ [ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]

„არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტიურად პოლიტიკურ საქმიანობაში არიან ჩართულები და ითხოვენ ხოლმე, ხშირ შემთხვევაში, პიროვნების შესახებ დანიშნვიდან გათავისუფლების დღემდე მის მიმართ ინფორმაციას - პრემიასთან დაკავშირებით, დისციპლინასთან დაკავშირებით... ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ნარკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციებს და ჩვენ აქედან ვარჩევთ, რომელი შეიძლება მას გადაეცეს და რომელი - არა.“ [ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]

„მე ვთვლი, რომ იმ გზაზე, რასაც პერსონალური ინფორმაციის დაცვა ჰქვია, საკანონმდებლო მოწესრიგების დროს, აუცილებლად უნდა იქნეს დაკონკრეტებული და დაყოფილი თემა, კონკრეტულად რა შეიძლება პერსონალურ ინფორმაციას განეკუთვნოს და რისი გასაჯაროება არ იყოს დასაშვები და შესაძლებელი იმ პერსონის კანონიერი თანხმობის გარეშე.“ [ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]

გამოკითხული საჯარო უწყებების წარმომადგენელთა განმარტებით, პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გასაჯაროების წესებს არეგულირებს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლებსაც ისინი იცავენ. ამას ემატება ზოგიერთ უწყებაში არსებული შიდა რეგულაციები/ბრძანებები.

რაც შეეხება პერსონალური მონაცემების შეგროვებას, შენახვასა და გასაჯაროებას კერძო სექტორში, ორგანიზაციებმა, რომლებშიც

ინახება პერსონალურ მონაცემები (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სამედიცინო კლინიკები, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები) განმარტეს, რომ შესაბამისი ინფორმაციის შენახვა ხდება მკაფიოდ მათ მიერ შეთავაზებული სერვისების აუცილებლობიდან გამომდინარე და მათთან მოპყრობას კანონმდებლობა არეგულირებს. ბანკების შემთხვევაში ეს ეროვნული ბანკის რეგულაციები და შიდა განაწესია (რომელიც არსებობდა პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონის მიღებამდეც); სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო დაწესებულებები ხელმძღვანელობენ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით, რომელზეც შეიძლება აგებული იყოს მათი შიდა განაწესი; ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებისთვის კი ეს არის ტელეკომუნიკაციის ბიზნესის სპეციფიკით გათვალისწინებული რეგულაციები, რომლებიც ასახავს, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო გამოცდილებას.

ბანკების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ხელშეკრულებით არის რეგულირებული ის შემთხვევებიც, როდესაც მესამე პირს/კომპანიას გადაეცემა კლიენტის პერსონალური მონაცემები (მაგ. გაპრობლემებული სესხის შემთხვევაში) და ეს უკანასკნელნი ამის თაობაზე ინფორმირებული არიან. ისინი არ უარყოფენ, რომ სისტემაში პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით არსებობს ხარვეზები (თავად ბანკებმა გაიხსენეს მათი დაჭარიმების შემთხვევებიც), თუმცა ისინი ცდილობენ, დაიცვან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეგულაციები და სათანადოდ მოახდინონ არაკეთილსინდისიერებაში შემჩნეული თანამშრომლების სანქცირება. მეტიც, ერთ-ერთი გამოკითხული ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „კრედიტ ინფოში“ და მოვალეთა რეესტრშიც კი ინფორმაციას პოტენციურ კლიენტზე მისი თანხმობის შემდეგ ამოწმებენ, რასაც ის წერილობით ადასტურებს. თავის მხრივ, ამის აუცილებლობას კი იმით ასაბუთებენ, რომ კლიენტის ისტორია მასზე მორგებულ შეთავაზებას განსაზღვრავს. ამავდროულად, ბანკების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ სექტორში ბევრად ნაკლებად დარეგულირებულია მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, რომლებსაც პრაქტიკულად, იმავე ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, რაზეც ბანკებს. რაც შეეხება პერ-

სონალური მონაცემების მესამე მხარისთვის გადაცემას, ბანკები ასეთად „კრედიტ ინფოს“ და მოვალეთა რეესტრს ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის ინფორმაციის გაცვლა მათი საქმიანობისთვის არის მნიშვნელოვანი. კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ბანკები პერსონალურ მონაცემს გასცემენ, სასამართლო განჩინებაა.

*„კერძო სექტორი არის ძალიან პრობლემური იმ მხრივ, რომ კი ბატონო, ბანკები, მაგრამ ეს საბანკო სექტორი არის რეგულირებული სფერო და არის რამდენიმე ბანკი ქვეყანაში. არის სხვა კერძო სუბიექტები უამრავი, რომლებიც ფლობენ უამრავ პერსონალურ მონაცემს და ამუშავებენ არადანიშნულებისამებრ - მათ შორის, მიკროსაფინანსოები გნებავთ, თუ სხვა ორგანიზაციები.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

*„ბანკი არის უდიდესი დაწესებულება, სადაც ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, ოღონდ კლიენტის პროდუქტის და სერვისის შეთავაზების აუცილებლობიდან გამომდინარე. დამუშავება ხდება სესხის გაცემის მომენტში, დეპოზიტის გახსნის მომენტში, გადარიცხვების მომენტში და ა.შ. ... ამ საკითხის შესახებ ინფორმირებულია კლიენტი. თავის დროზევე ვაცნობთ პერსონალური მონაცემების დამუშავების რეგულაციებს და ვაწვებთ ხელს, რომ იგი ინფორმირებული იყოს, რომ მისი მონაცემები მაგ. სესხის გაპრობლემების შემთხვევაში გადაეცემა სესხის ამომღებ კომპანიას. ანუ მისი ინფორმაცია გადაეცემა და მერე მიდის სასამართლოში და ამის შესახებ ის ინფორმირებულია.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

სამედიცინო დაწესებულებები აგროვებენ ამბულატორიულ და სტაციონარულ დოკუმენტებს და აწარმოებენ ვიდეოგადაღებას, რომლის წარმოებას და განსაზღვრული ვადით შენახვას კანონი ავალდებულებს. ინფორმაციას მესამე პირს გადასცემენ მაშინ, როდესაც ამას ითხოვს სასამართლო ან არსებობს თავად პაციენტის თანხმობა, თუმცა ამ პროცესში პრობლემებზე საუბრობენ - სამედიცინო ჩანაწერს ითხოვს პოლიცია ან ოჯახის წევრებს არ ესმით, რატომ არ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ახლობლის ჯანმრთელობის

მდგომარეობაზე (მათ შორის, ტელეფონით). მეტიც, ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში განმარტეს, რომ პაციენტი იმაზე თანხმობაზეც კი აწერს ხელს, რომ საჯარო სივრცეში, სადაც მას ყოფნა მოუწევს, ვიდეოგადაღება მიმდინარეობს. სამედიცინო ჩანაწერები ინახება სადაზღვევო კომანიებშიც, რაც ასევე წინასწარ შეთანხმებულია ხელშეკრულებით კომპანიასა და კლიენტს შორის.

---

*„ავტოსაგზაო შემთხვევა თუ მოხდა ან რაღაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად არის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული და ამის მერე არის ჩვენთან გადმოყვანილი, ყოველთვის მოყვება ხოლმე გამომძიებლები და ითხოვენ მერე სამედიცინო ჩანაწერს. სამედიცინო ჩანაწერებთან დაკავშირებით, მესამე პირისთვის გადაცემა არ შეიძლება, თუ სასამართლო არ დამავალდებულებს, რომ გადავცე. როდესაც ამაზე ვეუბნებოდი უარს პაციენტთან დაშვებაზე, იყო მთელი რიგი პრობლემები. ეს ჩვენ მოვავგარეთ იმით, რომ პაციენტი როდესაც შემოდის კლინიკაში, მისგანაც ვიღებთ წერილობით თანხმობას. თუ ეს თანხმობა გვაქვს, გავცემთ დოკუმენტაციას.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

*„სამედიცინო დაწესებულებებში არის ხოლმე მომართვიანობა გარეშე პირებიდან. შეიძლება იყოს ოჯახის წევრი ან სულ გარეშე პირი. მესამე პირის ადვოკატი ითხოვს პაციენტთან მიმართებაში დაცული ინფორმაციების მონოღებას. ეს ინფორმაციაა ის, მაგალითად, რატომ მომართა, რა დიაგნოზი დაესვა და ა.შ. ამ მხრივ მე, როგორც იურისტი, სამედიცინო დაწესებულების იურისტი, ვარ შეუვალი. არ შეიძლება ამ პერსონალური მონაცემების გაცემა სხვა პირზე, არც მის მეუღლეზე, არც მის შვილზე. არ შეიძლება მისი თანხმობის გარეშე.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

გამოკითხულ ფიქური კავშირგაბმულობის კომპანიებში ასევე განმარტეს, რომ ისინი აგროვებენ საქმიანობისთვის აუცილებელ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება და შენახვა მკაცრად რეგულირდება პროცედურების შესაბამისად. მათი ინფორმაციით, მონაცემების დამუშავების და შენახვის მაღალი სტანდარტები მათ მამ-

სიმაღურად იცავს არასანქცირებული გამუღავნებისგან. ერთ-ერთ გამოკითხულ მობილურ ოპერატორს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერიც. შესაბამისი პუნქტები გათვალისწინებულია ორმხრივი სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერისას, რომელზე თანხმობასაც ორივე მხარე ადასტურებს. ფიქური კავშირგაბმულობის კომპანიები პერსონალურ მონაცემებს მესამე პირს გადასცემენ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს: (1) ავტორიზებული ორგანოების მხრიდან პერსონალური ინფორმაციის გადაცემის შესახებ მოთხოვნის საფუძველი; (2) მესამე მხარე, რომელიც წარმოადგენს ფიქური კავშირგაბმულობის კომპანიის კონტრაქტორს, რომელთანაც ოპერატორი აფორმებს მონაცემთა დამუშავების, დაცვისა და გაუმუღავნებლობის შესახებ ხელშეკრულებას. ეს უკანასკნელი, რესპონდენტების განმარტებით, ყოფილა მომხმარებელთა უკმაყოფილების საფუძველი, რომლებიც არასასურველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს იღებდნენ, თუმცა პრობლემა რამდენადმე მოაგვარა SMS OFF ფუნქციის გამოყენების შესაძლებლობის გაჩენამ. შესაბამისი სირთულის (არასასურველი სმს-ების მიღება) გაჩენას ფიქური კავშირგაბმულობის კომპანიების წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ მომხმარებლები ხელშეკრულების გაფორმების პროცესში თავად იძლევიან მათი მონაცემების შესაბამის დამუშავებაზე თანხმობას, თუმცა ამას არ/ვერც აცნობიერებენ.

---

*„ჩვენი კომპანია აგროვებს აბონენტის შესახებ ინფორმაციას პირადი ნომრის, ტელეფონის ნომრის, მისამართის, სახელის და გვარის სახით. ასევე ვაგროვებთ ნებისმიერ იმ ინფორმაციას, რომელიც კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ტელეფონის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ანუ ნებისმიერი აბონენტისთვის გაწეული მომსახურებისთვის რომ იყოს ზუსტი ინფორმაცია, რომ ნებისმიერს ჰქონდეს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს თავის შესახებ ინფორმაცია. ასე უფრო რომ გავამარტივოთ მათთან ურთიერთობა. შეგროვება ხდება გაყიდვების ოფისში, იქ ეყრება საფუძველი მონაცემების შეგროვებას, შემდეგ არის ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ არის და მკაცრად დაცულია.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

„პირდაპირი მარკეტინგის საშუალებებს ჩვენი აბონენტების ტელეფონის ნომრებს (გადავცემთ)... შესაბამისად, ხელშეკრულებებშია გაწერილი, ზოგად მონაცემებში, რომელზეც აბონენტი ინფორმირებულია და თანხმობას გვაძლევს, რომ ჩვენ კონტრაქტორ პირებს გადავცეთ ეს ინფორმაცია მათი ნომრების შესახებ - არა დეტალური ინფორმაცია კონკრეტულად ამ ნომრის უკან ვინ დგას, არამედ ნომრებზე ზოგადად... თუმცაღა ამასთან მიმართებაში ჩვენ მაინც გავაკეთეთ შესაბამისი ქმედებები, რომ ჩვენ ნებისმიერ აბონენტს აქვს უფლება, გააუქმოს ეს მარკეტინგული მიზნებით გამოსაყენებლად.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

ერთი-ერთი გამოკითხული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის წარმომადგენელმა შემდეგზე გაამახვილა ყურადღება: ტელეფონის ქურდობის დროს დამნაშავეს იდენტიფიცირება გართულდა, რადგან საკომუნიკაციო კომპანიები ინფორმაციას იმის თაობაზე, ჩაირთო თუ არა მობილური ტელეფონი და სად, გასცემენ მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი განჩინება, როგორც წესი, არ არსებობს, რადგან ტელეფონის ქურდობა არ არის მძიმე კატეგორიის დანაშაული. რესპონდენტების აზრით, ამას ჩიხში შეყავს პროცესი.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები საუბრობენ არა მხოლოდ მათი რეგულაციის, არამედ ერთეული თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, რომლებმაც შეიძლება ბოროტად ისარგებლონ პერსონალურ მონაცემებზე წვდომით, თუმცა თანამშრომლების მონიტორინგი, რომლებსაც აქვთ წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე, მათი საქმიანობის ნაწილია. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებში კი თანამშრომლების დიდ ნაწილს გაუვლია სავალდებულო ტრენინგებიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ერთ-ერთ საჯარო უწყებაში გამოკითხულმა რესპონდენტმა. მისი აზრით, დეკლარაცია, რომელსაც საჯარო მოხელეები ავსებენ, შეიძლება მეტად მოწყვლადად აქ-

ცვედეს მათ პერსონალური მონაცემებით ბოროტად სარგებლობის მიმართ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით. საქმე ეხება არა დეკლარაციის შევსების თავად ფაქტს, არამედ დეკლარაციის შინაარსს, რომელიც პერსონალურ მონაცემს ითხოვს არა მხოლოდ საჯარო მოხელეზე, არამედ მისი ოჯახის წევრებზეც, რომლებიც თავად არ არიან საჯარო მოხელეები. ამავდროულად, შეგროვებული ინფორმაცია ძალიან დეტალურია (მაგალითად, მფლობელობაში არსებული ბინების მისამართები).

„საჯარო მოხელეების პერსონალური მონაცემები, ჩემი აზრით, ამ ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად არის დაცული იმიტომ, რომ შევავსე დეკლარაცია, რომელიც არის საჯარო, სადაც მთხოვეს, რომ შემევსო მთელი ჩემი ოჯახის წევრების ქონება, მონაცემები, რა მანქანები ჰყავთ, სად ცხოვრობენ... საჯარო მოხელის მონაცემიც უნდა იყოს დაცული. მე თანახმა ვარ, შევავსო დეკლარაცია, სადაც მივუთითებ, რომ მე მქონდა ქონება თანამდებობაზე დანიშნამდე 1000 ლარის ოდენობით, ახლა 50 000 ლარი, პირობითად, მაგრამ ბინები რა მისამართზე მაქვს და რა მანქანები მყავს და დედაჩემი ვინ არის და მამაჩემი ვინ არის... თან მართლ ჩემი კი არა, იმ ჩემი ოჯახის წევრის უფლებაც იზღუდება.“ [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

კვლევის მიმდინარეობისას მოსახლეობას დაუსვეს კითხვები, რომელთა მიზანი იყო გაეგო, რამდენად ფრთხილია თავად მოსახლეობა საკუთარი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებასთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 72%-ის განცხადებით, ნებისმიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, მას დაწვრილებით ეცნობა. 52% კი ამბობს, რომ აკვირდება, არის თუ არა ხელშეკრულებაში პუნქტი პერსონალური მონაცემებით სარგებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაში მსგავსი პუნქტია მოცემული, რესპონდენტთა 45% ირწმუნება, რომ მას ხელს არ აწერს/ხელს არ მოაწერდა. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ორგანიზაცია ითხოვს პერსონალურ მონაცემებს, გამოკითხულთა 56% ამბობს, რომ ინტერესდება, თუ რა მიზნით ხდება აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება.

გამოკითხულთაგან 37%-40% არ ახორციელებს სხვადასხვა ინტერნეტ ოპერაციას, რომლებიც პოტენციურად შეიძლება დაკავშირებული იყოს პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენებასთან/გასაჯაროებასთან. მათ შორის კი, ვინც შესაბამის ოპერაციებს ახორციელებს, დაახლოებით, თანაბარი რაოდენობა აღნიშნავს, რომ იყენებს კონფიდენციალობის პარამეტრებს, მათით სარგებლობას სასარგებლოდ თვლის და აცნობიერებს, რომ მის მიერვე ინტერნეტ სივრცეში პერსონალური ინფორმაციის განთავსება შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს (31%-33%) - იმათთან შედარებით, ვინც ზემოთ დასახელებულ კითხვებს უარყოფითად პასუხობს ან უჭირს პოზიციის გამოხატვა (30%-32%). მთლიანობაში დაახლოებით, ყოველი მესამე გამოკითხული მიუთითებს კონფიდენციალობის პარამეტრების გამოყენებასა და მათ მნიშვნელობაზე პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, ასევე იმაზე, რომ თუნდაც საკუთარი ადგილსამყოფელის მითითება სოციალურ ქსელში შეიძლება ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

მათ შორის, ვინც სარგებლობს სოციალური ქსელებით ან ახორციელებს სხვადასხვა ინტერნეტ ოპერაციას, სხვის შესახებ ინფორმაციის (ფოტო, ადგილსამყოფელი და სხვა) სოციალურ ქსელში გაზიარებისას, ნახევარზე ნაკლები სთხოვს ნებართვას იმ პირს, რომლის პერსონალურ ინფორმაციასაც ავრცელებს (25%60%-დან). გამოკითხულების დაახლოებით, იგივე რაოდენობა დარწმუნებულია, რომ სო-

ციალურ ქსელში მის შესახებ მონაცემებს ხედავს ყველა (25% 63%-დან).

საგულისხმოა, რომ იმ ადამიანების 1/6-მა, ვისაც აქვს ელექტრონული ფოსტა, მისი პაროლი სხვასაც გაუზიარა (11% იმ 64%-დან, ვისაც აქვს ელექტრონული ფოსტა), დაახლოებით ყოველმა მეოთხემ კი მათგან, ვისაც აქვს საბანკო ბარათი, მის კოდზე ინფორმაცია სხვასაც მიაწოდა (13% იმ 77%-დან ვისაც აქვს საბანკო ბარათი). აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამდენივე ადამიანი თითოეული ზემოთ მოყვანილი კითხვის დასმისას ვერ პასუხობს კითხვას, იცის თუ არა მათი ელექტრონული ფოსტის პაროლი/საბანკო ბარათის კოდი სხვამ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში მათგან, ვინც ფლობს ელექტრონულ - ფოსტას ან საბანკო ბარათს,  $\frac{3}{4}$  დაუშვებლად თვლის მათი პაროლების ვინმესთვის გაზიარებას (ისინი გამოკითხულთა სრული რაოდენობის 55%-ს შეადგენენ).

საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა ზუსტად ნახევარი (50%) უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ აქვს უფლება, ნებისმიერ ორგანიზაციას (მათ შორის, სახელმწიფო უწყებას) მოსთხოვოს იმ პერსონალური მონაცემების ჩვენება და წაშლა, რომელსაც ისინი მის შესახებ ფლობენ. კვლევის ფარგლებში შეუძლებელია იმის ზუსტად იდენტიფიცირება, პასუხი კითხვაზე გამოხატავს ამის შესახებ ცოდნას, თუ მხოლოდ განწყობას.

**გრაფიკი 57.** რომლები აღწერს თქვენ გამოცდილებას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვიცი / მიჭირს პასუხი	არ ეხება
ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე მას დაწვრილებით ვეცნობი	72%	15%	8%	6%
ხელშეკრულების გაცნობისას ყოველთვის ვაკვირდები, არის თუ არა მასში პუნქტი ჩემი პერსონალური მონაცემებით შესაძლო სარგებლობის შესახებ	59%	21%	12%	8%
იმ შემთხვევაში, თუ აღმოვაჩინე / რომ აღმოვაჩინო, რომ ხელშეკრულების პირობებით შესაძლებელია ორგანიზაციამ გამოიყენოს ჩემი პერსონალური მონაცემი, მას მაინც ვაწერ/ მოვაწერ ხელს	30%	45%	16%	10%
როდესაც რომელიმე დაწესებულება/ორგანიზაცია მთხოვს პერსონალური მონაცემების გადაცემას, ვინტერესდები, რა მიზნით გროვდება დასახელებული ინფორმაცია	56%	16%	16%	13%
ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციებით სარგებლობისას, ვიყენებ კონფიდენციალობის პარამეტრებს (privacy settings)	32%	13%	17%	38%
ვთვლი, რომ ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციებით სარგებლობისას კონფიდენციალობის პარამეტრების (privacy settings) გამოყენება ადამიანს იცავს მისი პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენებისგან	33%	10%	20%	38%
ვთვლი, რომ ინტერნეტ სივრცეში (მათ შორის, სოციალურ ქსელებში) ჩვენ მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ (სახელი, გვარი, ადგილსამყოფელი, სხვა) შეიძლება საფრთხე შეგვიქმნას (უსაფრთხოება, ფინანსური კეთილდღეობა, სხვა)	31%	12%	20%	37%
სხვის შესახებ ინფორმაციის (ფოტო, ადგილსამყოფელი და სხვა) სოციალურ ქსელში გაზიარებისას, ვეკითხები ამ პირს შეიძლება თუ არა მის შესახებ ინფორმაციის გაზიარება	25%	16%	19%	40%
ჩემ სოციალურ ქსელში ჩემს შესახებ პერსონალურ მონაცემებს ხედავს ყველა (არა მხოლოდ მეგობრები ან მიმდევრები)	25%	22%	16%	37%
ჩემი ელექტრონული ფოსტის პაროლი იცის სხვა ადამიანმა (ადამიანებმა)	11%	41%	12%	37%
ჩემი საბანკო ბარათის კოდი იცის სხვა ადამიანმა (ადამიანებმა)	13%	54%	11%	23%
ვთვლი, რომ ელექტრონული ფოსტის ან საბანკო ბარათის პაროლის სხვისთვის გაზიარება დაუშვებელია	55%	11%	12%	22%
მე მაქვს უფლება, ნებისმიერ ორგანიზაციას (მათ შორის, სახელმწიფო უწყებას) მოვთხოვო იმ პერსონალური მონაცემების ჩვენება და წაშლა, რომელსაც ის ჩემ შესახებ ფლობს	50%	9%	27%	14%

პერსონალურ მონაცემთა დაცვას ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად თვლის მოსახლეობაში გამოკითხულთა 23%, 7% კი ამ საკითხს საერთოდ არ აღიქვამს პრობლემურად. ყოველი მეორე ქვეყნის მაცხოვრებელი (50%) კი ზომიერ პოზიციას ირჩევს თემის მიმართ და აცხადებს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად პრობლემურია.

პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას ან გასაჯაროებას უფლებების

დარღვევად რესპონდენტთა 85% მიიჩნევს, 81% კი თვლის, რომ ამ მონაცემების უკანონო განკარგვამ ნებისმიერ მოქალაქეს ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება პრობლემები შეუქმნას.

საქართველოს მოსახლეობის 37% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პერსონალური მონაცემებით უკანონო მანიპულაცია მხოლოდ მათ უქმნის პრობლემას, ვისაც რაიმე აქვს დასამალი. დაახლოებით იგივე რაოდენობა (32%) ფიქრობს იმასაც, რომ როგორც



წესი, უკანონოდ აგროვებენ, ინახავენ და ასაჯაროებენ მხოლოდ საჯარო პირების პერსონალურ ინფორმაციას, სხვებს კი ეს არ ემუქრებათ. როგორც ერთ, ისე მეორე მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება დაახლოებით, 4 გამოკითხული 10-დან, რომელთათვისაც პერსონალური მონაცემების დარღვევის საფრთხე არ არის დაკავშირებული ცხოვრების წესთან/გამოცდილებასთან ან სამსახურებზე პოზიციასთან (37%). საგულისხმოა, რომ საქართველოს მოსახლეობის 31% არ თვლის პრობლემად მის შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას, თუ ამის შედეგებს არ იგრძნობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა ეს მოსაზრება მიუღებელი გამოკითხულთა 43%-სთვის აღმოჩნდა.

თბილისი-ქალაქი-სოფლის ქრილში მონაცემების გაანალიზებამ უჩვენა, რომ თბილისის მაცხოვრებლები უფრო რადიკალურები არიან და ნაკლებად იღებენ ნებისმიერ არ-

გუმენტს პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვებასთან, შენახვასთან და გასაჯაროებასთან დაკავშირებით, ვიდრე სხვა ქალაქების და სოფლების მოსახლეობა. მაგალითად, არგუმენტებს, რომ ისინი, ვისაც „რამე აქვს დასამალი“ და საჯარო პირია, მეტად არიან პერსონალური მონაცემებით მანიპულაციის რისკ ჯგუფში, თბილისში არ ეთანხმება 20-25%-ით მეტი გამოკითხული, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ასაკობრივ ჯგუფებში მონაცემების გაანალიზებას სერიოზული სხვაობები არ გამოუვლენია, თუმცა ტენდენციის სახით, იმაზე, რომ პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გასაჯაროება არღვევს ნებისმიერი მოქალაქის უფლებებს და რომ ამან შეიძლება გარკვეულ ეტაპზე პრობლემები შეუქმნას ნებისმიერ მოქალაქეს, 5%-8%-ით ნაკლები რესპონდენტი საუბრობს 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეებში, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

**გრაფიკი 58.** გთხოვთ მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:

	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვიცი/ მიჭირს პასუხი
პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გასაჯაროება არღვევს ნებისმიერი მოქალაქის უფლებებს	85%	4%	12%
პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებამ, შენახვამ ან გასაჯაროებამ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება პრობლემები შეუქმნას ნებისმიერ მოქალაქეს	81%	5%	14%
პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის ან გასაჯაროების ეწინააღმდეგება მხოლოდ მათ, ვისაც რაღაც აქვს დასამალი	37%	43%	21%
მხოლოდ საჯარო ფიგურების პერსონალურ მონაცემებს მოიპოვებენ, ინახავენ ან ასაჯაროებენ უკანონოდ. ეს ჩვეულებრივ ადამიანებს არ ემუქრებათ	32%	41%	27%
თუ მე ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემას არ შემიქმნის, არ ვთვლი პრობლემად, თუ მოხდება ჩემს შესახებ ნებისმიერი პერსონალური მონაცემის შეგროვება, შენახვა და გასაჯაროება	31%	43%	25%

არსამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან და საჯარო ორგანიზაციებთან ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, რომ ისინი (სხვადასხვა სექტორში გამოკითხულები) პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვებას, შენახვასა და გასაჯაროებას აღიქვამენ, როგორც პრობლემატურს ქვეყნისთვის. ძირითადად, ამას იმ გარემოებას

მიაწერენ, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა აქტუალური რამდენიმე წლის წინ გახდა, მანამდე კი სათანადო რეგულაციები ან არ არსებობდა ან მათ არ იცოდნენ მათ შესახებ. ერთეულ შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დღემდე პრობლემებს ქმნის ზოგჯერ არც თუ ბოლომდე გასაგები კანონმდებლობა და მისი

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, პრეცედენტებით სარგებლობისთვის კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოცდილება მწირია. ზოგჯერ პრობლემურია იმ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, რომლებსაც პერსონალურ მონაცემებთან უწევთ შეხება და ნებისთუ უნებლიედ ავრცელებენ ინფორმაციას (მაგალითად, მეზობლის შესახებ, რომელმაც სამართალდამცავ უწყებას ოჯახში ძალადობის გამო მიმართა). ყველა კატეგორიაში გამოკითხულები თანხმდებიან იმაზე, რომ სფეროში პროგრესი შეიმჩნევა, რასაც მოწმობს თუნდაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ჩამოყალიბება და რეგულაციების შემუშავება და მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესების მოლოდინი აქვთ. როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულებებში აღნიშნეს, რომ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ინფორმაციის და რეგულაციების მატებასთან ერთად, ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარი საქმიანობის მათთან შესაბამისობაში მოყვანას. კვლევის ჩატარების ეტაპზე, რამდენიმე როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციაში გაიხსენეს ფაქტები, როდესაც მოქალაქემ მათ წინააღმდეგ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს მიმართა, თუმცა თითოეულ მათგანში შესაბამისი შემთხვევების რიცხვი ერთეულია.

*„პერსონალური მონაცემების დაცვა პრობლემურია იმიტომ, რომ არ არსებობს არც განსაკუთრებული მექანიზმები, არ არსებობს სწორად, მკაცრად რეგლამენტირებული კანონი ან დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. ცოტა სიღარიბე იყო ამ მხრივ საკანონმდებლო თვალსაზრისით, მაგრამ არ არის დიდი ხანი, რომ სააგენტო ჩამოყალიბდა, დებულება, ესენი მუშაობას იწყებენ, კვლევები ტარდება. მე ვფიქრობ, რომ რაღაც პროცესები დაიწყო და რაღაც კონკრეტულ შედეგებამდე მივიდა. მე ვთვლი, რომ ეს სექტორიც მოწესრიგდება.“*  
[ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი]


*„ბოლო პერიოდში უფრო მეტად არის გამახვილებული ყურადღება (პერსონალურ მონაცემებზე) და თვითონ საჯარო მოხელეებიც ყოველდღიურ საქმიანობაში... შეიძლება გარ-*

*კვეული რისკები იყოს, ამ საკითხს ყოველთვის აღვნიშნავთ და მხედველობაში ვიღებთ, მაგრამ ბოლო პერიოდში ყველა ჩვენი საჯარო მოხელის პერსონალურ მონაცემებთან წვდომას (ყურადღებით) ვეკიდებით. ანუ პროგრესი ძალიან შესამჩნევი და დიდია. თუმცა, მონაცემების აბსოლუტური დაცულობის პრეტენზია ალბათ არც გვაქვს.“* [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

*„ჩვენ ძალიან ბევრი სამუშაო ჩავატარეთ იმისთვის, რომ (პროკურატურა) მორგებოდა, ასე ვთქვათ, ამ ახალ კანონს, დაგვეცვა და რაღაც ისეთი არ გაგვეკეთებინა ან არ გაგაკეთოთ. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერს იდეალურად ვაკეთებთ, მაგრამ ბევრ რამეს მაინც ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ახალ სტილს მოვერგოთ... ამ კანონის შემდეგ დავიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორ უნდა შევავროვოთ ინფორმაცია. ადრე ვავროვებდით სახელებით და გვარებით. კანონის მიღების შემდეგ შევცვალეთ სტრატეგია და ვავროვებთ სახელების და გვარების გარეშე, რომ გვექონდეს სტატისტიკური მონაცემები და არა პერსონალური მონაცემები.“* [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

კითხვაზე „თუ მოხდება თქვენ შესახებ პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვება, შენახვა ან გასაჯაროება, ვის მიმართავთ თქვენი უფლებების დასაცავად?“, რესპონდენტთა არჩევანი შემდეგნაირად გადანაწილდა: პოლიცია - 32%, სასამართლო - 27%, სახალხო დამცველი - 15%, პროკურატურა - 10%, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კი ბოლო ადგილზეა 8%-ით. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გაანალიზების დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ყველაზე მაღალი 16% 18-იდან 24 წლამდე ახალგაზრდებში აქვს მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის 5%-დან 10%-მდე მერყეობს. თუმცა, საგულისხმოა, რომ გამოკითხულების ნახევარს უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, რა რეაგირება ექნებათ იმ უწყებებს, რომლებსაც მიმართავენ, ყოველი მესამე მათგან კი მოელის, რომ ორგანო, რომელსაც მიმართავენ, დაავალდებულებს შესაბამის ორგანიზაციას გაანადგუროს ან არ გაასაჯაროს შესაბამისი მონაცემები.

**გრაფიკი 59.** თქვენი აზრით, რა ტიპის რეაგირება ექნება იმ უწყებას, რომელსაც მიმართავთ?



პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გასატარებისგან ეჭვქვეშ არც ერთი გამოკითხულ სამიზნე ჯგუფს არ დაუყენებია, თუმცა ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და საჯარო უწყებამ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:

- მნიშვნელოვანია, რომ მკვეთრად დადგინდეს პერსონალური მონაცემების საზღვრები ან გარკვეულ შემთხვევებში, მოსამართლეს მიეცეს უფლება ეს თავად განსაზღვროს. მაგალითად მოიყვანეს გარკვეული ინფორმაცია საჯარო პირებთან დაკავშირებით - მაგალითად, ძალადობის შემთხვევების გამო მათ მიმართ გამოწერილი შემაკავებელი ორდერები, რის თაობაზე ინფორმაციის გაცემაზეც არასამთავრობო ორგანიზაციებს უარს ეუბნებიან იმ მოტივით, რომ ეს მონაცემები პერსონალურია.
- ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, პერსონალურმა მონაცემებმა „დაჩაგრა“ ინფორმაციის თავისუფლება - საჯარო უწყებები უარს ამბობენ ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ის პერსონალურია. გამოსავლად დაშტრიხული ინფორმაციის მიწოდება განიხილება, თუმცა აღიქმება, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის

აპარატი, ბუნებრივად, პერსონალურ მონაცემებზე ყურადღების გამახვილებისას, ნაკლებად იღებს მხედველობაში ინფორმაციის თავისუფლების დაცვის აუცილებლობას.

- გამოითქვა აზრი, რომ კანონმა გაართულა ისეთი მონაცემების მოპოვება, რომელთა შეგროვება მინიმალური ზიანის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს პირისთვის, საგამოძიებო მოქმედებები კი სერიოზულად დააზარალოს. მაგალითად მოიყვანეს ორგანიზაციის გარე პერიმეტრზე არსებული ვიდეო კამერიდან ინფორმაციის ამოღება, რაც ფარულ საგამოძიებო მოქმედებად ითვლება.

„...ფიქრობენ მხოლოდ პერსონალური მონაცემების დაცვაზე და იმაზე არ ფიქრობენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ორი ინტერესი - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ერთმანეთს დაეჯახოს და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესი შეიძლება დადგეს უფრო მაღლა. კარგი იქნება, თუ კი ამას გაიაზრებენ და გაითვალისწინებენ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში)... კანონით მაინც უნდა მიეცეს სასამართლოს იმის

საშუალება, როდესაც ასეთი ორი ინტერესი არის სახეზე, მათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, რომელი ინტერესია უფრო მაღალი.” [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

„ჩვენმა კანონმა იმაზე უფრო მეტად გაართულა რაღაცეები, ვიდრე საჭირო იყო. მაგალითად, ვიდუოკამერა, რომელიც დამონტაჟებულია რომელიღაც ბანკის გარე პერიმეტრზე, იქედან რომ მონაცემები ამოიღო, ამისთვის გჭირდება განა ჩვეულებრივი მოსამართლის განჩინება, ეს ითვლება ფარულ საგამოძიებო მოქმედებად. არც ერთ ქვეყანაში, ასეთი მკაცრი რეგულაცია საჯარო პერიმეტრზე დაყენებულ კამერაზე არ არსებობს.” [საჯარო უწყების წარმომადგენელი]

გამოკითხულთა ნაწილის აზრით, პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციები ცალსახად მისასაღმებელი, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვეწია იმისათვის, რათა მათ ხელი არ შეუშალონ სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობას იმ ნაწილში, სადაც პერსონალური მონაცემების მოპოვება აუცილებელია (მაგ. პროკურატურა ან არასამთავრობო ორგანიზაციები).

### 3.8.2. პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე სმენია გამოკითხულთა 18%-ს. მათი რაოდენობა მეტია თბილისში (24%), ვიდრე სოფლებში (15%) და სხვა ქალაქებში (18%). მის შესახებ თანაბრად იციან როგორც ქალებმა, ასევე მამაკაცებმა. მნიშვნელოვანი სხვაობები

არ არის არც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თუმცა ყველაზე ცოტა რესპონდენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ იცის 65+ ასაკობრივ ჯგუფში (15%), ყველაზე მეტი ასეთი კი 18-24 წლის გამოკითხულებში აღმოჩნდა (23%).

მათ შორის, ვისაც სმენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ, 24%-მა იცის, რომ ინსპექტორი თამარ ქალდანიას. ამის თაობაზე ინფორმაცია მეტად აქვთ თბილისში (31%) და სხვა ქალაქებში (29%), ვიდრე სოფლებში (15%).

მათ შორის, ვისაც სმენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე, აბსოლუტურ უმრავლესობას - 84%-ს ამის თაობაზე ინფორმაცია აქვს ტელევიზიიდან. რიგით მეორე ყველაზე დიდი სიხშირით დასახელებული სოციალური ქსელები (14%) და ნაცნობები (12%) რამდენიმეჯერ ჩამორჩება ტელევიზიის დასახელების მარჯვენებელს. ასაკობრივი თვალსაზრისით ტენდენცია უცვლელია - ყველაზე ნაკლებად ტელევიზია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ ინფორმაციის წყაროა 18-24 წლის გამოკითხულებისთვის - 73%-სთვის მათგან, ვისაც სმენია აპარატის შესახებ, ყველაზე ხშირად გამოყენებადი წყარო კი ის 55 წელს გადაცილებულებისთვის არის (88%-90%). 18-34 წლის ასაკის რესპონდენტებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან იღებს ყოველი მეოთხე მათგან, ვისაც სმენია შესაბამისი უწყების შესახებ (23%-25%). ანალოგიური მონაცემი 35-54 წლის ასაკში 11%-12%-ს, 55 წელს ზემოთ კი - 5%-6%-ს არ აღემატება.


**გრაფიკი 60.** საიდან იცით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე?

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
ტელევიზიიდან	73%	88%	82%	81%	90%	88%	84%
რადიოდან	4%	0%	2%	5%	2%	6%	3%
ბეჭდური მედიიდან	5%	7%	5%	4%	6%	13%	7%
სოციალური ქსელებიდან (FACEBOOK, TWITTER და ა.შ.)	23%	25%	11%	12%	5%	6%	14%
ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან	15%	4%	6%	6%	2%	2%	6%
ნაცნობებისგან	13%	11%	14%	15%	10%	8%	12%
მათგან, ვისაც მიუმართავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის	5%	2%	1%	0%	1%	0%	2%
პირადად მისარგებელია	0%	1%	2%	0%	0%	0%	1%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	8%	3%	8.0%	6%	2%	8.0%	6%

მათგან, ვისაც სმენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ, ყველაზე დიდი ნაწილი (44%) თვლის, რომ ინსპექტორის მოვალეობა მოქალაქეებისთვის იმის იდენტიფიცირებაში დახმარებაა, მოხდა თუ არა მათ შესახებ პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გასაჯაროება. მეორე და მესამე ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელებული პასუხები კი არის: ავალდებულებს შესაბამის ორგანოს, გაანადგუროს პერსონალური მონაცემები ან დაიცვას ის გასაჯაროებისგან (17%), ეხმარება მოქალაქეებს იმ უწყებებთან ურთიერთობაში, რომლებშიც მოხდა პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, გასაჯაროება ან შენახვა (14%). ყოველ მეოთხეს მათგან, ვისაც სმენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის შესახებ, უჭირს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა (24%).

მათგან, ვისაც სმენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ, მის საქმიანობას დადებითად აფასებს ნახევარზე მეტი (54%), თუმცა მესამედზე მეტს (37%) საკითხზე მოსაზრების გამოთქმა უჭირს. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელთა წილი მეტია თბილისში გამოკითხულებს შორის (44%), ვიდრე სხვა ქალაქებში (35%) და სოფლებში (32%). სხვადასხვა ასაკის გამოკითხულთა შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს გამოკვეთილად მაღალ შეფასებას აძლევენ 55-64 წლის ასაკის გამოკითხულები, რომელთაგან 62% აპარატის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად აფასებს. შედარებისთვის, იგივე მარკენებელი 65+ ასაკში 49%, 45-54 წლის ასაკში კი - 50%-ია.

**გრაფიკი 61.** როგორ აფასებთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობას?



იმ რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, ვინც იცის აპარატის საქმიანობის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ინფორმაციის გასავრცელებლად/ მოქალაქეების კონსულტირებისთვის დაინტერესებულ მხარეებთან პირად შეხვედრებს (34%) და სატელეფიზო ან რადიო გადაცემებს/ სიუჟეტებს იყენებს (31%). სატელეფონო კომუნიკაცია ახსენდება მათგან ყოველ მეათეს (11%), 8% კი ფეისბუქ კომუნიკაციაზე საუბრობს.

კვლევის შესაბამისი ნაწილის დასასრულს, ინტერვიუებმა ყველა რესპონდენტს მოკლედ გააცნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის საქმიანობა და სთხოვეს აზრის გამოთქმა მის შესახებ.

*პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს, საჯარო დაწესებულებებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განიხილავს მოქალაქეთა (მონაცემთა სუბიექტთა) განცხადებებს და უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. საჭიროების შემთხვევაში იგი შესაბამისი პირებისგან ითხოვს დამატებით მასალას და ახორციელებს მონაცემთა დამუშავების ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმებას (ინსპექტირებას).*


*დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ინსპექტორს შეუძლია მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა, განადგურება, დეპერსონალიზაცია, სხვა ორგანიზაციებისთვის გადაცემის შეწყვეტა და სხვა. მას ასევე შეუძლია გაუწიოს რეკომენდაციები დამუშავებელს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული წესების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში; მიმართოს სასამართლოს, თუკი მონაცემთა დამუშავებელი ან უფლებამოსილი პირი არ ასრულებს ინსპექტორის მოთხოვნებს. სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის*

*ინსპექტორი უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავებელსა და უფლებამოსილ პირს დააკისროს შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა - ჯარიმა. ინსპექტორის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და მისი გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.*

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობის სპეციფიკის მოკლედ გაცნობის შემდეგ, ყოველმა მესამე გამოკითხულმა ვერ შეძლო აზრის გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღუძრავს აპარატი ნდობას (32%). მას გარკვეულწილად სანდოდ თვლის რესპონდენტების 45%, ხოლო სრულად ენდობა 13%. საქართველოს მოსახლეობის ნახევარი (50%) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობის გაცნობის შემდეგ გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს მას, მათ 1/3-ს კი, ამ ეტაპზე, არ აქვს ჩამოყალიბებული მოსაზრება (31%). თბილისში მცირედით მეტია მათი რიცხვი, ვისაც აქვს მაღალი მზაობა (52%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (46%) და სოფლებში (43%). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საჭიროების შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად მიმართავდნენ 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები - დასახელებულ ჯგუფში მიმართვის მზაობა 43%-ს აქვს მაშინ, როდესაც სხვა ჯგუფებში მონაცემი 48%-დან 57%-მე მერყეობს.

ინფორმაციის გასავრცელებლად/მოქალაქეთა კონსულტირებისთვის საუკეთესო საშუალებებად მოსახლეობა სატელეფიზო ან რადიო გადაცემებს/სიუჟეტებს (47%) და დაინტერესებულ მხარეებთან პირად შეხვედრებს (33%) თვლის. დასახელებული საშუალებები არა მხოლოდ ეფექტიანად, არამედ ინფორმაციის მისაღებად ყველაზე კომფორტულადაც ითვლება. დასმულ კითხვებზე პასუხებმაც უჩვენა, რომ სატელეფიზო გადაცემები და სიუჟეტები მით უფრო კომფორტულად არის აღქმული ინფორმაციის მისაღებად, რაც უფრო იზრდება გამოკითხულთა ასაკი.

**გრაფიკი 62.** თქვენი აზრით, კომუნიკაციის რა არხები უნდა გამოიყენოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ინფორმაციის გასავრცელებლად/მოქალაქეების კონსულტირებისთვის? პირადად თქვენთვის, კომუნიკაციის რომელი არხი იქნებოდა ყველაზე კომფორტული ჩამოთვლილთაგან იმისათვის, რომ მიგელოთ ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესახებ?



წარსულში პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის აპარატისთვის მიმართვის გამოცდილება ჰქონია 99 რესპონდენტს გამოკითხულებიდან. მათგან 63 კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია მიღებული მომსახურებით, 20-ს აზრის გამოთქმა უჭირს, 16 კი მიღებული გამოცდილებით უკმაყოფილოა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობას დადებითად აფასებენ თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფშიც - არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო კომპანიებში, საჯარო უწყებებში. ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც აპარატთან ჰქონიათ ურთიერთობა, მას საქმიან, ქმედით, თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სტრუქტურას უწოდებენ, თუმცა გამოკითხულთა ნაწილმა (განსაკუთრებით საჯარო უწყებებსა და კერძო ბიზნესებში) ზუსტად არ იცის მისი ფუნქციები. მათ შორის კი, ვინც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე საუბრობს, აღნიშნავს მათ როლს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაში; ინსპექტირებას სხვადასხვა უწყებაში; კონ-

სულტირებას პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით; რეკომენდაციების შემუშავებას როგორც საჯარო, ასევე კერძო უწყებებისთვის, დამრღვევებისთვის სანქციების დაკისრებას (დაჯარიმებას).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის საქმიანობის შეფასებისას სხვადასხვა სექტორში გამოკითხულმა რესპონდენტებმა გაიხსენეს კონკრეტული შედეგები, რომლებიც აპარატთან მათ მუშაობას მოყვა - მეტი ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საბანკო სექტორში კლიენტმა ზუსტად წაიკითხა და აღიქვა ხელშეკრულების პუნქტები; სამედიცინო ბიულეტენში შესატანი ინფორმაციის შინაარსის შეცვლა და უფრო განზოგადება; სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესის შემუშავებაში მონაწილეობა; საზოგადოდ, ცნობიერების ამაღლება პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით; ბენეფიციარის დახმარება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ გადაამისამართა და სხვა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა ცალსახა აზრია,

რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შექმნამ პერსონალური მონაცემების თემა აქტუალური გახადა და აამაღლა მათი დაცვის სტანდარტები, შექმნა დამრღვევთა სანქციების პრეცედენტები და დაინტერესების შემთხვევაში პირმა იცის, ვის უნდა მიმართოს მისი პერსონალური მონაცემებით უკანონოდ მანიპულირებისას.

იმ შემთხვევაში, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ მცირედი სკეპტიციზმი ვლინდება, ამის მიზეზად არა აპარატის გაუმართავ მუშაობას, არამედ უფრო გლობალურ პრობლემებს ასახელებენ - ვითარების შესაცვლელად შესაბამისი ნებელობის არარსებობას (მაგალითად, ფარულ მოსმენასთან/მიყურადებასთან დაკავშირებით), ოფისის შეზღუდულ რესურსებს, შესაძლო ნაკლებ საზედამხებდველო ფუნქციას (მაგალითად, იმის აღსრულებაზე, რეალურად განადგურდა თუ არა ესა თუ ის ჩანაწერი).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ შემდეგი სურვილები/რეკომენდაციები გამოვლინდა:

- ტრენინგები საჯარო მოხელეებისთვის - პერსონალური და საჯარო ინფორმაციის ზუსტი გამიჯვნა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისუსტეების აღმოჩენა საჯარო სამსახურებში და მათი გადაწყვეტა საუკეთესო პრაქტიკებით.
- სამუშაო შეხვედრები და სემინარები - როგორც საჯარო მოხელეების, ასევე კერძო ბიზნესებისთვის, თუნდაც ამ უკანასკნელთა თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, ვინც კლიენტებთან მუშაობს.


- დარგობრივი კვლევების ჩატარება სხვადასხვა უწყებაში მათში პერსონალურ მონაცემებთან მოპყრობის სირთულეების იდენტიფიცირებისა და მათი გამოსწორებისთვის სტრატეგიის შესამუშავებლად.
- საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება.
- მეტი ინსპექტირება (განსაკუთრებით, საჯარო სექტორში) და მათი შედეგების სისტემატურად გამოქვეყნება.
- საზოგადოების მეტად ინფორმირება პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით და მათი ცნობიერების ამაღლება.

### 3.9 მედიაცია

ინფორმაციას მედიაციის შესახებ მოსახლეობის მცირე რაოდენობა - 14% ფლობს. მათი რაოდენობა მცირედით უფრო მაღალია თბილისში (19%), ვიდრე სხვა ქალაქებში (13%) და სოფლებში (12%). აღნიშნულის შესახებ იცის, დაახლოებით, თანაბარმა რაოდენობამ სხვადასხვა სქესის გამოკითხულებში. მნიშვნელოვანი სხვაობები არ შეინიშნება არც ასაკობრივ ჯგუფებში, თუმცა ყველაზე დიდ ხვედრით წილს მედიაციის შესახებ სმენია 35-44 წლის ასაკში (17%), ყველაზე ნაკლებს კი - 65 წელს გადაცილებულებში (10%). ფოკუსური ჯგუფების მუშაობამ უჩვენა, რომ რესპონდენტების ნაწილი შეცდომაში შეყავს სიტყვა მედიაციის ჟღერადობას - მათი ნაწილი მედიაციას მედიის საქმიანობასთან აკავშირებს, ნაწილმა კი იცის, რომ ეს გარკვეულ შუამავლობას გულისხმობს, თუმცა ეს შუამავლობა საკმაოდ ფართოდ ესმით და სამართლებრივ დავებთან ნაკლებად აკავშირებენ.



**გრაფიკი 63.** გსმენიათ თუ არა რაიმე მედიაციის შესახებ?




თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იციან მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების შესახებ, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილს სმენია მისი პრაქტიკულად გამოყენების შესახებ. მათი აზრით, მედიაცია, როგორც დავის გადაჭრის საშუალება, პირველ რიგში, სასამართლო სისტემის განტვირთვის ემსახურება, რაც სასამართლოს ვადებისა და ფინანსური დანახარჯების გათვალისწინებით განიხილება, როგორც პერსპექტიული და მომხმარებელზე ორიენტირებული მიმართულება.

„ზოგადად, დავის ალტერნატიული გადაჭრის გზები არის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული განვითარების გზა სასამართლოში იმიტომ, რომ სასამართლოს მომსახურების ტენდენცია მთელს მსოფლიოში იზრდება, სასამართლოს ხარჯები იზრდება და უფრო ძვირი ხდება სასამართლო, უფრო და უფრო ხანგრძლივი. ცხადია, მედიაცია უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვისაც. ვფიქრობ, საჭიროა და განვითარებაც სჭირდება - საქართველოში განსაკუთრებით.“  
[არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

მათგან, ვისაც სმენია მედიაციის შესახებ, უმრავლესობამ (84%) აღნიშნული ინფორმაცია ტელევიზიიდან მიიღო, სოციალური ქსელები და ნაცნობები კი ინფორმაციის მიღების წყაროდ, შესაბამისად, 16%-მა და 13%-მა დაასახელა.

მათგან ყველაზე დიდი წილისთვის, ვისაც სმენია მედიაციის შესახებ, ის მიღწეული შეთანხმების ნებაყოფლობით შესრულებასთან ასოცირდება. მსგავსი დამოკიდებულება გამოვლინდა მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუსური ჯგუფების დროსაც - რესპონდენტების ნაწილისთვის სასამართლოს ჩანაცვლება მედიაციით ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს ის სავალდებულო ძალა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ახასიათებს. ¼-სთვის კი მედიაციის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ის აუცილებლად მთავრდება მორიგებით (25%). ყოველი მეათე მათგანი, ვინც იცის მედიაციის შესახებ, ამბობს იმასაც, რომ ის ნაკლებად მძიმე დავების დროს გამოიყენება (10%).

**გრაფიკი 64.** თქვენი ინფორმაციით, რა არის მედიაცია?



კვლევის შესაბამისი ნაწილის დასასრულს, ინტერვიუებმა ყველა რესპონდენტს გააცნეს მედიაციის სპეციფიკა და უკვე შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე სთხოვეს აზრის გამოთქმა.

სასამართლოში, მას უწევს 1%-ის გადახდა, საიდანაც 70% უკან ბრუნდება, თუ დავა შეთანხმებით დასრულდა. მედიაციის დროს წაგება გამორიცხულია.

მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც მიმართულია დავების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისკენ. მედიაციის ფარგლებში დავა წყდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მიაღწევენ მათთვის მისაღებ შეთანხმებას. მედიატორი არის ნეიტრალური მესამე პირი, რომელიც ეხმარება მხარეებს მოლაპარაკების წარმართვასა და ორივესთვის მისაღები შედეგის მიღწევაში. მედიაციის დროს გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები. პროცესი კონფიდენციალურია. ძირითადად, მედიაცია გამოიყენება ოჯახური და სამეზობლო დავების დროს. მედიაციის დროს არსებობს შეღავათები გადასახადის თვალსაზრისითაც - ნაცვლად დავის ღირებულების 3%-ისა, რომელსაც მხარე იხდის

მედიაციის მოკლე აღწერის შემდეგ რესპონდენტების მესამედმა მაინც ვერ შეძლო განესაზღვრა, აღუძრავს თუ არა ის ნდობას (34%), თუმცა უმრავლესობა - 57% გარკვეული ნდობით განიმსჭვალა მედიაციის მიმართ. მედიაციის არსის გაცნობის შემდეგაც, რესპონდენტების ნახევარზე მეტს უჭირს განსაზღვროს, რაში მდგომარეობს მედიაციის უპირატესობები და ნაკლოვანებები. ამ თვალსაზრისით, უფრო ჩამოუყალიბებელი პოზიციით სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლები გამოირჩევიან - თბილისში 7%-15%-ით ნაკლებია მათი რიცხვი, ვისაც მედიაციის უპირატესობებზე და ნაკლოვანებებზე საუბრისას პოზიციის გამოხატვა უჭირს.

მათთვის, ვინც გამოყოფს მედიაციის უპირატესობებს სასამართლოსთან შედარებით, თანაბრად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიც არის: მცირე ბაჟი, პროცესის მიმდინარეობა მშვიდ გარემოში, პროცესის მალე დასრულება, ადვოკატის დაქირავების საჭიროების არარსებობა, ნაკლებად სტრესული მდგომარეობა, თუმცა მათი დასახელების მარჯვენა მხარე ცალ-ცალკე მცირეა და 10%-დან 14%-მდე მერყეობს. რაც

შეეხება მედიაციის ალტერნატიულ ნაკლოვანებებს, შედარებით გამოკვეთილია იმ საფრთხის ალქმა, რომ თუ მორიგება ვერ შედგება, მხარეები მაინც მიმართავენ სასამართლოს და მედიაცია დროის ფუჭი ხარჯვა იქნება - ასე ფიქრობს საქართველოს ყოველი მე-5 მაცხოვრებელი (21%). დაახლოებით, ყოველი მეათე გამოკითხული კი შიშობს იმაზეც, რომ გადაწყვეტილების შესრულება შეიძლება სავალდებულოდ არ ჩათვალოს მხარეებმა (12%).

**გრაფიკი 65.** თქვენი აზრით, რა წარმოადგენს მედიაციის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით? რა წარმოადგენს მედიაციის ნაკლოვანებას სასამართლოსთან შედარებით?

მედიაციის უპირატესობა სასამართლოსთან შედარებით	მედიაციის ნაკლოვანება სასამართლოსთან შედარებით		
ბაჟი ნაკლებია	14%	თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, მაინც მოუწევთ სასამართლოში წასვლა და დროს დაკარგავენ	21%
პროცესი მიმდინარეობს უფრო მშვიდ ატმოსფეროში	13%	მხარეებმა შეიძლება არ ჩათვალოს სავალდებულოდ გადაწყვეტილების შესრულება	12%
მალე სრულდება/არ ჭიანურდება	13%	მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საქმეების შეზღუდულ რაოდენობაზე	9%
არ არის საჭირო ადვოკატის დაქირავება	11%	არ ვიცი/მიჭირს პასუხი	60%
პროცესი ემოციურად ნაკლებად სტრესულია	10%		
მიკერძოება გამორიცხებულია	6%		
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	52%		

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, მედიაციის მთავარი უპირატესობა განხილვის ვადების სიმცირე და ნაკლები ფინანსური ხარჯებია, რაც სასამართლოსთან შედარებით, მას პრივილეგიას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ დავის მედიაციის საშუალებით განხილვა და მორიგება ორივე მხარეზე მორგებულ მოლაპარაკების ფორმატს გულისხმობს, თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, მედიაციის ეფექტური გამოყენებისთვის, გარკვეულწილად, საჭიროა საზოგადოების მზაობა და მაღალგანვითარებული სამართლებრივი კულტურა.

*იქნება ნაკლები და მორიგების დიდი შანსია, უკეთესი მორიგების პრინციპები აქვს.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]*

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით, მედიაციის, როგორც დავის გადაჭრის ალტერნატიული და ამ დრომდე არც თუ ფართოდ გამოყენებადი პრაქტიკის განსავითარებლად, აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტის გარდა, კერძო პრაქტიკის პრეცედენტების შექმნაც, რაც მედიაციასთან დაკავშირებული ცნობიერების, ნდობის და პოპულარიზაციის მიმართულებით პოზიტიურ როლს შეასრულებდა.

*„[მედიაციის] ძირითადი უპირატესობა არის ის, რომ დროის დაზოგვა ხდება, სასამართლოში კი შეიძლება წლობით გაიწელოს საქმე. ასევე ის უპირატესობაა, რომ განუვლი ხარჯები*

*„პირველ რიგში, სახელმწიფოს აჩრდილი უნდა ჩამოშორდეს მედიაციის პროცესს და მონოპოლია სახელმწიფოს არ უნდა*

ჰქონდეს... მედიაციის არსი არის ის, რომ სახელმწიფოსგან დისტანცირდე და არანაირი შეხება სახელმწიფო ბიუროკრატიასთან არ გქონდეს. ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი არის სამუშაო, რა თქმა უნდა, კერძო სექტორის მიერ, პირველ რიგში და არასამთავრობო სექტორის მიერაც, რომ წარმომადგენლობა წახალისდეს და მაქსიმალურად შეგვეცადოთ ეს მხარე პრიორიტეტი გახდეს ყველასთვის.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით, ნახევარს (45%) უჭირს განსაზღვროს, საჭიროების შემთხვევაში, აირჩევდა მედიაციას, თუ სასამართლოს (თუ საქმის სპეციფიკა იძლევა შესაბამის საშუალებას). მედიაციისადმი მიმართვის მზაობას კი გამოხატავს მათი 36% (31% უფრო არჩევდა მედიაციას, 5% აუცილებლად არჩევდა მედიაციას). ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე ჩამოუყალიბებელი პოზიციით 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები გამოირჩევიან (50%), 18-24 წლის რესპონდენტებს შორის კი ყველაზე ნაკლები არიან ისინი, ვისაც აზრის გამოთქმა უჭირს (37%). მონაცემების სქესობრივ ქრილში გაანალიზებას ქალი და მამაკაცი რესპონდენტების მოსაზრებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ გამოუვლენია.

**გრაფიკი 66.** პირადად თქვენ, შესაბამისი საჭიროების დროს, არჩევდით თუ არა მედიაციას სასამართლოს? (იგულისხმება, რომ საქმის სპეციფიკა იძლევა მედიაციის გამოყენების საშუალებას)

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
არავითარ შემთხვევაში არ ვარჩევდი	7%	4%	6%	3%	5%	4%	5%
უფრო არ ვარჩევდი	19%	14%	13%	14%	16%	14%	15%
უფრო ვარჩევდი	32%	30%	29%	34%	32%	28%	31%
აუცილებლად ვარჩევდი	5%	5%	6%	5%	6%	4%	5%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	37%	46%	45%	44%	41%	50%	45%

მედიაციისადმი მიმართვის გამოცდილება უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გამოკითხულების მხოლოდ 1%-ს აღმოაჩნდა. 36 რესპონდენტიდან, რომლებმაც მიმართეს მედიაციას, 20 კმაყოფილი დარჩა, 11 უკმაყოფილო, 5-მა კი თემაზე აზრის გამოხატვა ვერ შეძლო.

და შესაბამისი გარანტიები, რომ ეს იქნება ეფექტური და რეგულირებული.“ [არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი]

როგორც ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილე რესპონდენტები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ დღესდღეობით ქართულ საზოგადოებას მეტი ინფორმირებულობა ესაჭიროება მედიაციის, როგორც დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალების შესახებ, რის შედეგადაც, მათი აზრით, მისი გამოყენება გაცილებით მასშტაბური გახდება.

### 3.10 არბიტრაჟი


ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციას რესპონდენტთა ორჯერ მეტი რაოდენობა ფლობს (29%), ვიდრე მედიაციის შემთხვევაში (14%). ინფორმირებულობის დონე არბიტრაჟთან დაკავშირებით საგრძნობლად მაღალია თბილისში (44%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (27%) და სოფლებში (20%). არბიტრაჟის შესახებ ყველაზე მეტად სმენიათ 35-64 წლის ასაკში გამოკითხულებს (33%-35%), 18-24 წლის გამოკითხულებში კი არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულია 18%. ქალ და მამაკაც რესპონდენტებში არბიტრაჟის შესახებ ინ-

„კარგი იქნება ძალიან და, რა თქმა უნდა, პიარ კამპანიები, სარეკლამო კამპანიები

ფორმაციის მფლობელთა რაოდენობა, დაახლოებით, თანაბარია. თუმცა ისევე, როგორც მედიაციის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა ნაწილი მოსახლეობასთან

ჩატარებულ ფოკუსურ ჯგუფებში, სიტყვის უღერადობიდან გამომდინარე, არბიტრაჟს სპორტთან და არა სამართლებრივი დავის გადაჭრასთან აიგივებდა.

**გრაფიკი 67.** გსმენიათ თუ არა რაიმე არბიტრაჟის შესახებ?



კვლევის მონაწილე იმ ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციით, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში არბიტრაჟს მიმართავენ, მის მნიშვნელოვან უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით დავის შემჭიდროებულ ვადებში გადაწყვეტა წარმოადგენს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება კვლავ სააპელაციო სასამართლოში ხდება, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და არბიტრაჟის ეფექტურობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

*„სასესხო ურთიერთობებში ხშირად სასამართლოში არ მივდივართ, არამედ გვაქვს საარბიტრაჟო დათქმა ხელშეკრულებებში კლიენტებთან და მივდივართ არბიტრაჟში, მაგრამ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო, ნაცვლად კანონით დადგენილი ვადებისა, არღვევს ამას ყოველთვის და არბიტრაჟი უკვე აღარ არის სწრაფი და მოქნილი საშუალება იმიტომ, რომ ცნობა-აღსულებას მიაქვს არაადეკვატური დრო.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]*

ინფორმაციის ძირითად წყაროებს არბიტრაჟის, ისევე როგორც მედიაციის შესახებ ტელევიზია (87%), ნაცნობები (16%) და სოციალური ქსელები (10%) წარმოადგენენ. ისევე, როგორც ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში, ტელევიზია უპირობო ლიდერია და მას, როგორც ინფორმაციის წყაროს არბიტრაჟის შესახებ იყენებს 80%-ზე მეტი როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, სქესის და ასაკის მიუხედავად.

არბიტრაჟი არის ნებისმიერი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ნებაყოფლობითია - ასე განმატავს არბიტრაჟს ყოველი მეოთხე (24%) იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია მის შესახებ. 13% კი თვლის, რომ ეს არის ნებისმიერი ტიპის დავა, რომლის გადაწყვეტილების შესრულებას უზრუნველყოფს სასამართლო. დანარჩენი რესპონდენტები (54%) ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ არბიტრაჟი ქონებივი დავების გადაწყვეტის საშუალებაა. რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებსაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს, არ აღემატება 24%-ს. არბიტრაჟის შესახებ ყველაზე ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ 18-24 წლის ასაკში გამოკითხულები, რომელთა შორის პასუხის გაცემა უჭირს ყოველ მესამეს (32%), ასეთების რიცხვი კი ყველაზე ნაკლებია 35-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (19%-22%).

**გრაფიკი 68.** თქვენი ინფორმაციით, რა არის არბიტრაჟი?

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	Total
ეს არის ნებისმიერი ტიპის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ნებაყოფლობითია	18%	25%	25%	24%	22%	26%	24%
ეს არის ნებისმიერი ტიპის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მიერ	16%	11%	12%	16%	10%	12%	13%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ნებაყოფლობითია	8%	12%	12%	11%	16%	8%	12%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ფიზიკურ პირსა და ბიზნესს შორის	9%	6%	7%	12%	10%	6%	9%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ფიზიკურ პირებს შორის	8%	13%	14%	10%	9%	4%	10%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ბიზნესებს შორის	8%	10%	7%	11%	12%	13%	10%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მიერ	7%	8%	9%	9%	12%	7%	9%
ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგით ორივე მხარე კმაყოფილია	5%	4%	5%	5%	5%	5%	5%
არ ვიცი/ მიჭირს პასუხი	32%	29%	22%	20%	19%	26%	24%

არბიტრაჟის ეფექტურობა, თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, გაცილებით დიდია დავის ორ ბიზნესს შორის არსებობის შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარეს დაახლოებით ერთი და იგივე მიზნები და ინტერესები ამოძრავებს. მაგალითად, თუ ბიზნესების შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესი დავის დროული დასრულებაა, მოქალაქის და ბიზნეს ორგანიზაციას შორის არსებული დავის შემთხვევაში, მოქალაქის ინტერესებში შესაძლოა პირიქით, დავის დროში გაწვდის იყოს. არბიტრაჟის გამოყენებისას მეორე გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური არბიტრების არსებობა და მათ მიმართ ნდობის ხარისხი. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად არბიტრი შესაძლოა უფრო ლოიალური იყოს ბიზნესისადმი, როგორც მისი მუდმივი კლიენტისთვის, ფოკუსური ჯგუფების მონაწილე მოსახლეობის ნაწილს უჭირდა მის მიმართ ნდობის გამოხატვა და უპირატესობას სასამართლოს ანიჭებდა.

„ორ ბიზნესს შორის, ცხადია, ორივე ბიზნესს აწყობს არბიტრაჟის განხილვა იმიტომ, რომ დაზოგავს ხარჯებს და გრძელვადიან პროცესს. სამი ინსტანცია სასამართლოში უზენაესის ჩათვლით და შეიძლება 3-4 წელი გაგრძელდეს საქმის განხილვა, როცა არბიტრაჟში შეიძლება ნ თვეში დაასრულო. მეორე თემა არის კომპეტენტური არბიტრები საქართველოში და არბიტრაჟის სანდოობა თვითონ. როცა ბიზნესი და კლიენტი მოქალაქე, ხშირად არის, რომ ძლიერი მხარის, ბიზნესის ინტერესებში არის (ინტერესს გამოხატავს) არბიტრი, მიკერძობული და მოქალაქე არ ენდობა და ურჩევნია სასამართლოში წავიდეს.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

«არბიტრაჟებს შორის არის კონკურენცია და მათ უნდათ, რომ საარბიტრაჟო დათქმა ჩვენს მრავალრიცხოვან ხელშეკრულებებში ჩავდეთ კონკრეტული არბიტრაჟის სახელი, სადაც

წავილებთ საქმეს შემდგომ. ეს რომ მოხდეს, გვთავაზობენ სხვადასხვანაირ შემოთავაზებას, იგივე სატარიფო საკითხს, რამდენია განხილვის ვადები და ა.შ. სერვისებს შორის არის სხვაობა და კონკურენცია, რომ დიდმა ორგანიზაციებმა თავიანთ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ სწორედ ის არბიტრაჟი და ამიტომ უფრო სხვანაირად ეპყრობიან ასეთ დიდ კომპანიებს, რომ მიიზიდონ.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

„ერთის მხრივ, ფინანსური ინსტიტუტი როდესაც ხარ, ძალიან კარგია, [პრობლემური სესხების] ამოღების თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებ იმ მოქალაქეს, თუ ფიზიკურ პირს. მე ვთვლი, რომ თუ სასამართლო რეფორმა იმ დონეზე განვითარდება და დაიხვეწება, რომ ვადები უფრო შემჭიდროვდება და არ იქნება უსასრულო რიგები სასამართლოებში, მაშინ არბიტრაჟსაც უკვე შეიძლება მისცე გარკვეული მიზანი. ჩემთვის, ბანკების შემთხვევაში მისაღებია სწორია იმით, რომ ფინანსური ინსტიტუტია და სხვა საშუალება არ აქვს. იმისთვის, რომ დროში არ გაწელოს და ვთქვათ, სამი ინსტანცია არ იაროს. სიმართლე გითხრათ, არბიტრაჟთან ურთიერთობა არ მიყვარს. სამართლებრივად საინტერესო საერთოდ არ არის, მაგრამ უპირატესობა სასამართლოსთან შედარებით არის ის, რომ ვადებში სწრაფია, მაგრამ რისკია ის, რომ ვერ გაასაჩივრებ.“ [კერძო ბიზნეს წარმომადგენელი]

კვლევის შესაბამისი ნაწილის დასასრულს, ინტერვიუებმა ყველა რესპონდენტს გააცნეს არბიტრაჟის მოკლე აღწერა და უკვე შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე სთხოვეს აზრის გამოთქმა.

არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ მათი დავა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა. ნებისმიერი დავა, რომელიც განიხილება არბიტრაჟის, მიერ განიხილება მკაცრად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. მხარეთა შეთანხმება განსაზღვრავს ისეთ სა-

კვანძო საკითხებს, როგორცაა საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის არჩევის წესი, საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების ადგილი, გამოსაყენებელი ნორმები და ა.შ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. მაგალითად, გამსესხებლები, ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვ. სესხის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად განსაზღვრავენ დავის არბიტრაჟში გადაწყვეტას. არბიტრაჟის შემთხვევაში, სასამართლოსგან განსხვავებით, არ არსებობს შემდგომი ინსტანცია, შესაბამისად, დავა ერთი პროცესის ფარგლებში წყდება.

არბიტრაჟის არსის გაცნობის შემდეგ, გამოკითხულების 1/3-ზე მეტი ვერ ახერხებს აზრის გამოთქმას, ენდობა თუ არა მას (38%). ასეთია თბილისში გამოკითხულთა 33%, სხვა ქალაქებში კი მათი რიცხვი 45%-ს აღწევს. სოფლებში შესაბამისი მაჩვენებელი 37%-ია. სრულ ნდობას არბიტრაჟი 12%-ს აღუძრავს, 39% კი ამბობს, რომ არბიტრაჟი, გარკვეულწილად, აღუძრავს ნდობას.

რესპონდენტების ნახევარს უჭირს საუბარი არბიტრაჟის უპირატესობებზე სასამართლოსთან შედარებით, მის ნაკლოვანებებზე საუბარს კი კიდევ უფრო მეტი - 62% ვერ ახერხებს. არბიტრაჟის უპირატესობად მოსახლეობაშიც, ყველაზე ხშირად, აღქმულია პროცესის სწრაფი დასრულება (15%) და მისი უფრო მშვიდ ატმოსფეროში წარმართვა, ვიდრე სასამართლოში (13%). ყოველი მეათე გამოკითხული ასევე არბიტრაჟის კონკრეტულ უპირატესობად თვლის იმას, რომ ამ დროს ადვოკატის დაქირავება არ სჭირდება (10%). არბიტრაჟის ნაკლოვანებად სასამართლოსთან შედარებით კი ყოველი 5 გამოკითხულიდან ერთი მისი შედეგის გასაჩივრების შეუძლებლობას მიიჩნევს. რიგით მეორე სიხშირით კი ის სახელდება, რომ არბიტრაჟის შედეგი აღქმულია, როგორც ნაკლებად პროგნოზირებადი (11%).

**გრაფიკი 69.** თქვენი აზრით, რა წარმოადგენს არბიტრაჟის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით? რა წარმოადგენს არბიტრაჟის ნაკლოვანებას სასამართლოსთან შედარებით?

უპირატესობა	ნაკლოვანება		
მაღე სრულდება / არ ჭიანურდება	15%	შეუძლებელია შედეგის გასაჩივრება	18%
პროცესი მიმდინარეობს უფრო მშვიდ ატმოსფეროში	13%	შესაძლებელია, რომ არბიტრაჟი იყოს მიკერძოებული (მაგ. ბანკის, როგორც მსხვილი კლიენტის მხარეს)	4%
არბიტრის მიკერძოება გამოირიცხვება/ ნაკლებად მიკერძოებულია	5%	შესაძლოა, არბიტრაჟი იყოს ნაკლებად კომპეტენტური	6%
არ არის საჭირო ადვოკატის დაქირავება	10%	ზოგიერთი ბანკი / საფინანსო ინსტიტუტი პირდაპირ სთავაზობს მომხმარებელს არბიტრაჟს და არ უტოვებს მას არჩევანს	6%
არბიტრი არის უფრო კომპეტენტური კომერციულ/ფინანსურ საკითხებში, ვიდრე მოსამართლე	5%	ნაკლებად პროგნოზირებადია საბოლოო შედეგი	11%
არბიტრაჟში პროცესი წარმოებს მოდავე მხარეების ინტერესებს მაქსიმალურად მორგებული წესებით	6%	არ ვიცი/მიჭირს პასუხი	62%
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება	7%		
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	53%		

საჭიროების არსებობის შემთხვევაში, რესპონდენტთა მხოლოდ 28% გამოთქვამს მზადყოფნას არბიტრაჟს მიმართოს, მათ ნახევარს კი აღნიშნულზე მოსაზრების გამოთქმა უჭირს (47%). თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბიზნესების აზრით, ფიზიკური პირის ინტერესად იშვიათად არის აღქმული არბიტრაჟით სარგებლობა, სავარაუდოდ, იმ მიზეზით, რომ დროში გაწელილი პროცესი და ზოგჯერ „სოციალურად განწყობილი“ (ემოციურად მოქალაქის მხარეს მყოფი) სასამართლო მომგებიან პოზიციაში აყენებს მოქალაქეს ხოლო მიკერძოებული და გარკვეული ინტერესების მატარებელის იმიჯის მქონე არბიტრაჟი ნაკლებად მიმზიდველია ფიზიკური პირებისთვის.

„ხარტუეფექტური არის დრო ამ შემთხვევაში, დრო წყვეტს ყველაფერს. კონკრეტულ მოქალაქეს დავალიანება აქვს ბანკის, არ იხდის, ბანკი ავტომატურად იყენებს არბიტრაჟს,

ამუშავებს იმ მუხლს, არბიტრაჟში მიდის და 99%-ით არბიტრაჟი მის სასარგებლოდ გამოითანს იმიტომ, რომ ცალსახა და უდავო ფაქტია, რომ ამ ადამიანს დავალიანება აქვს, რომელსაც არ იხდის და, შესაბამისად, ბანკს უჩნდება ძალიან მოკლე დროში გზა, რომ მიიღოს მის მიმართ არსებული დავალიანება. სასამართლოს შემთხვევაში ეს მინიმუმ 1.5-2 წელი ისე გაიწელება, როგორც არაფერი და ბანკი რეალურად ფულს კარგავს თუნდაც იმიტომ, რომ დღეს 10 ლარს რა ღირებულებაც აქვს, მისი შესაბამისი ღირებულება არ ექნება 2 წლის შემდეგ.“ [კერძო ბიზნესის წარმომადგენელი]

კვლევის ჩატარების ეტაპზე არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილება 5002 გამოკითხულიდან მხოლოდ 30-ს აღმოაჩნდა, რომელთაგან არბიტრაჟით კმაყოფილია 22, უკმაყოფილებას გამოთქვამს 4, 4-ს კი კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.